მომავალი მთავრობა - პოსტები და კანდიდატები A2

პუტინის საომარი სულისკვეთება ახალ ჩეჩნურ ბომბებს აფეთქებს A5

წერილები მთავრობას A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 10 თებერვალი, 2004 წელი. №33 (582)

ფასი 50 თეთრი

## "24 საათი" აღმოსავლეთ ევროპის გაზეთების კონკურსზეა წარდგენილი

ოსლოში დაფუძნებული "სიტყვის თავისუფლების ფონდი" ("Freedom of Expression Foundation") და გერმანული ZEIT-Stiftung Ebelin und Gerd Bucerius, აღმოსავლეთ ევროპის გაზეთებისთვის ყოველწლიურად ატარებენ კონკურსს და გამარჯვებულებს გადასცემენ ფულად პრემიას, რომელიც გამოცემის განვითარებას უნდა მოხმარდეს. კონკურსს ჰყავს დამოუკიდებელი მრავალეროვნული ჟიური, რომელშიც შედიან ევროპელი მეცნიერები, იურისტები და ჟურნალისტები.

2004 წლის კონკურსში მონაწილეობისთვის, ევროპის კომისიის წევრმა ქრისტოფერ პატენმა, ევროპის კონსულმა ვალტერ შვიმერმა და გერმანელმა პროფესორმა, საქართველოს დიდმა მეგობარმა იოჰანეს ზემლერმა, წარადგინეს გაზეთი "24 საათი."

### ეკონომიკა

## სომხეთის დენი რეგიონებისთვის

საქართველოს უშუქობით გაწამებული რეგიონებიდან ორს მაინც, როგორც იქნა, სინათლე ეღირსა. "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო...

A4

### უცხოეთი

## ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ირანში ჩადის

პრინცი ჩარლზი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პირველი წარმომადგენელი გახდა, რომელიც 1979 წლის რევოლუციის შემდეგ ირანს ესტუმრა. ყველასათვის გასაოცრად, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე მიწისძვრით დაზიანებულ ქალაქ ბამში ჩავიდა.

A5

## მაკდონალდსი ხუთი წლის იუბილეზე საუკეთესო ხარისხის პროდუქტისა და მომსახურებისთვის დააჯილდოვეს

დღეს საქართველო იმ 130 ქვეყანას შორისაა, სადაც მაკდონალდსს თავისი რესტორნების ქსელი აქვს. მთელ მსოფლიოში მაკდონალდსის მთავარი ღირებულებაა მაღალი ხარისხი, სწრაფი მომსახურება და სისუფთავე. საქართველოში მაკდონალდსმა თავის 5 წლის იუბილეზე უამრავ საერთაშორისო სერთიფიკატს კიდევ ერთი, ქართული "ხარისხის ნიშნის" სერთიფიკატი შემატა, რომელიც მას საუკეთესო ხარისხის, მომსახურებისა და მენეჯმენტისთვის მიენიჭა.

A6

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 16 | |
| სოხუმი | 10 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 13 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 11 | |
| ახმეტა | 13 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0700 |
| ევრო | 2.6370 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8540 |
| რუბლი | 0.0726 |

# რუსეთის მთავარი გასაჭირი - იმპერიული ოცნებები და იმპერიული აზროვნება

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

რუსი პოლიტიკური მეოცნებეების ლაიტმოტივის ჩამოყალიბება პირობითად ასე შეიძლება: დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ეს ყველაფერი არა მარტო ახლანდელი რუსეთის ფარგლებში იარსებებდა, არამედ - კრახგადატანილ საბჭოთა კავშირშიც. მაშინ ჩვენ (ისე, ვინ არიან ეს "ჩვენ"? – მ.ს.) არა მარტო დემოკრატიული თავისუფალი ბაზარი ვიქნებოდით, არამედ ზესახელმწიფოც.

რუსეთის პოლიტიკურ მეოცნებეებს ან რაღაცა არ ესმით, ან ეშმაკობენ. არ ესმით, რომ დემოკრატიული რუსეთი მხოლოდ საბჭოთა თვითმპყრობელობის ნანგრევებზე შეიძლება აშენდეს. ან ეშმაკობენ, რადგან სწორედ ამ თვითმპყრობელობის აღდგენა უნდათ. ორი გამოთქმა მახსენდება: За державу обидно იგივეა, რაც Даешь Дарданеллы! იბადება კითხვა – რა სახელმწიფოს დარდი კლავთ, რა თვალსაზრისით?

გაგრძელება A3 გვერდზე



*ამჟამად რუსეთმა მიწები კი არა, ნიჭიერი ხალხი უნდა მოიხვეჭოს.*

# "ბიჟები არ არსებობენ!"

ნესტან ნიჟარაძე
იუსტინა მიელნიკიევიჩი

ის, რაც დღეს ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ კლინიკაში ხდება, რთული წარმოსადგენია. თუმცა, რაც სხვებისთვის რთული წარმოსადგენია, კლინიკის კედლებს მიღმა მყოფთათვის ყოველდღიური რეალობაა.

კლინიკის პაციენტთა გარკვეული ნაწილი წლების მანძილზე არ და ვერ ტოვებს საავადმყოფოს. აქ არიან ქრონიკული ავადმყოფები, რომელთა მოვლაც ოჯახის პირობებში შეუძლებელია; პაციენტები, რომლებზეც უარს ამბობენ ახლობლები და ნათესავები; ისინიც, ვისაც წასასვლელი აღარ აქვს; აქვე არიან ლტოლვილები აფხაზეთიდან; ისინიც, ვინც ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით მხოლოდ იმიტომ თავსდებიან კლინიკაში, რომ ოჯახს ავადმყოფის შენახვის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნია და, რა თქმა უნდა ისინიც, ვინც მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ მალევე ტოვებს კლინიკას.

გაგრძელება B6 გვერდზე



# პარიზული რევოლუცია ვარდების რევოლუციის ქალაქში

რაზე ოცნებობს ბერნარდო ბერტოლუჩი?

ზურაბ ქიაბერაშვილი

ქალაქში, რომელმაც ეს-ესაა განვლო რევოლუციის პიკი – სავსე მიტინგებით, დემონსტრაციებით, პოლიციელთა და სამხედროთა კორდონებით, დროშების ფრიალით და ხმამაღალი ლოზუნგებით – უჩვენებენ ფილმს რევოლუციაზე. ქალაქს, რომელიც სავსეა მეოცნებეებით, სტუმრობს "მეოცნებენი". ბერნარდო ბერტოლუჩი სვამს კითხვებს.

ყოველი ხელოვანის ოცნებაა, დიადი საკაცობრიო მოვლენები კონკრეტული ადამიანების შინაგანი სამყაროდან დაინახოს. ბერტოლუჩი ამ ხერხს კი მიმართავს, მაგრამ "კონკრეტულ ადამიანებს" – თეოს, იზასა და მეთიუს – იმდენად უხვად ტვირთავს სიმბოლოებით, რომ 1968 წლის პარიზში მცხოვრები სამი ახალგაზრდისგან მხოლოდ საშუალება რჩება: საშუალება, ვნახოთ რეჟისორის მიერ კინოხელოვნებისა თუ რევოლუციის, ევროპისა თუ ამერიკის ირონიული და, იმავდროულად, მორალისტური ხედვა.

გაგრძელება B1 გვერდზე



*ბერნარდო ბერტოლუჩი რევოლუციური კითხვებით "ეწვია" თბილისს.*

## რუსეთის მოულოდნელი ტაქტიკა სამხედრო ბაზების გასაძლიერებლად

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"*

*რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც არ ეთმობა სამხრეთ კავკასია, საქართველოში განლაგებული სამხედრო ბაზების დაკომპლექტების წესს, საკუთარი მოქალაქეების სასარგებლოდ ცვლის. ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების ტერიტორია უკვე მზად არის რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურის მისაღებად. ამასთან, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა არა მხოლოდ ამცირებს ადგილობრივთა კვოტას ბაზების საშტატო განრიგში, არამედ ცდილობს, პერსპექტივაში კიდევ უფრო დაამძიმოს ბაზების დახურვის პრობლემა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## სოხუმში წინასწარ იცოდნენ მოსკოვის ტერაქტის შესახებ

აფხაზ სეპარატისტთა ჯაშუში მოსკოვის ტერაქტში პანკისურ კვალს ურევდა

ინგა ალავიძე

*ახალი მთავრობის დაკომპლექტების გეგმაში, რა თქმა უნდა, უშიშროების სამინისტროც მოყვა. საქმე ისაა, რომ უშიშროების სამინისტროს ყველა თანამშრომელი, მინისტრის ჩათვლით, ფაქტობრივად, დათხოვნილია სამსახურიდან, ისინი "ზემოდან" - უშიშროების საბჭოდან მისულ მოთხოვნას დაემორჩილნენ და "საკუთარი სურვილით" სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები რამდენიმე დღის წინ დაწერეს. ახალი მინისტრი, სავარაუდოდ - ზურაბ ადეიშვილი, იმ უწყებას ჩაიბარებს, რომლის ყველა თანამშრომელიც კადრების განკარგულებაში იმყოფება.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## ხელისუფლება საგადასახადო შემოსავლების 1,5-ჯერ გაზრდას გეგმავს

ნოღაიდელი "დაცული მუხლების" დავალიანებების გასტუმრებას აპრილიდან აპირებს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს 2004 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, რომლის დეტალები "24 საათმა" მკითხველს გასულ ხუთშაბათს გააცნო, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკვე შეთანხმებულია. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების მეშვეობით, 2004 წელს, გასულ წელთან შედარებით, 400 მლნ. ლარით მეტის დახარჯვას გეგმავს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 კანონიერების კულტურა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 რეალიები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## მონოლოგი დისკუსიის ნაცვლად



ზურაბ ჭიაბერაშვილი ამტკიცებს, რომ საარჩევნო სიები მარტის დასაწყისისათვის მზად იქნება.

პარლამენტის გადაწყვეტილებით, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში დეპუტატებმა საარჩევნო კანონმდებლობას უნდა გადახედონ და მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანონ. ამის მიუხედავად, პროცესი ადგილიდან მაინც არ იძვრის. მართალია, პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგში მაინც შეიტანეს ეს საკითხი, მაგრამ საეჭვოა, მისი განხილვა მიმდინარე კვირას მოესწროს.

ამის მიუხედავად, პოლიტიკური სპექტრი, უფრო ზუსტად კი, მისი ოპოზიციური ნაწილი საარჩევნო კანონში ცვლილებებსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების წესის შეცვლას დაჟინებით ითხოვს.

გუშინ ამ თემაზე სასაუბროდ არასამთავრობო ორგანიზაცია "მედია-ცენტრის" წარმომადგენლებმა პოლიტიკოსები და დამოუკიდებელი ექსპერტები მიიწვიეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე საუბარი ვერ მოხერხდა – დებატები, ძირითადად, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესს შეეხო. პოლიტიკოსებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მოისმინეს.

არადა, ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის ანგარიშში ახალი არაფერი იყო – მისი თქმით, ამომრჩეველთა სიის კომპიუტერული ვერსიის შექმნა მარტის დასაწყისისათვის დასრულდება. დიდუბის საგამოფენო ცენტრში განთავსებული კომპიუტერული ცენტრი სრული დატვირთვით მუშაობს და კომპიუტერებში დღეში 100 ათასამდე ამომრჩევლის მონაცემი შედის. ჭიაბერაშვილის განცხადებით, გარკვეული სირთულეები არსებობს მისამართის დაზუსტებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

ზურაბ ჭიაბერაშვილის გამოსვლის შემდეგ პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე დიდხანს საუბრობდა ყველა იმ შესაძლო მექანიზმზე, რომელიც საარჩევნო კარუსელებისა და მარაოების დატრიალების შესაძლებლობას ეხებოდა, დაწვრილებით იხილავდა ყველა იმ საარჩევნო "ხრიკს", რომელიც "არაკეთილსინდისიერ ამომრჩეველს ან პოლიტიკურ პარტიას" შეუძლია გამოიყენოს და ა.შ. ამასობაში, პოლიტიკოსებს სხვა საქმეები გამოუჩნდათ და იძულებულები გახდნენ, "მედია-ცენტრი" დაეტოვებინათ. თუმცა, ეს ვახტანგ ხმალაძემ გვიან შეამჩნია. როგორც კი მან საუბარი დაასრულა, შეხვედრა მაშინვე დამთავრდა.

*24 საათი*

## აკაკი ჩხაიძემ "60 წუთთან" დავაზე უარი თქვა

სასამართლო დავა, რომელიც გადაცემა "60 წუთსა" და "საქართველოს რკინიგზის" ყოფილ ხელმძღვანელს, კორუფციული ბრალდებით ახლა ორთაჭალის ციხეში დაპატიმრებულ აკაკი ჩხაიძეს შორის თვეების წინ დაიწყო, გუშინ დასრულდა.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა, კანონიერი იყო თუ არა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი 2-სა" და გადაცემა „60 წუთს" აკაკი ჩხაიძისათვის ბოდიშის მოხდა და 50 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

თუმცა, საკასაციო პალატას საქმის განხილვაზე დრო არ დაუკარგავს, რადგან გადაწყვეტილება თავად მოსარჩელე მხარემ – აკაკი ჩხაიძის ადვოკატმა მიიღო. ადვოკატის თავდაპირველი მოთხოვნა, რომ საქმის განხილვა გადადებულიყო მანამდე, სანამ პროცესს თავად მომჩივანი - "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორი არ დაესწრებოდა, სასამართლომ არ მიიღო. ამის შემდეგ აკაკი ჩხაიძის ადვოკატმა ახალი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და საქმის სასამართლო განხილვაც, ფაქტობრივად, "60 წუთის" სასარგებლოდ გადაწყდა.

საქმე ისაა, რომ აკაკი ჩხაიძის ადვოკატმა მომჩივანის წინადადება გაახმოვანა და თვეების წინ სასამართლოში შეტანილი სარჩელი - 50 ათასი ლარის გადახდისა და ბოდიშის მოხდის შესახებ - უკან გაიტანა. "ნოლით – ნოლი, - ასე დამთავრდა ეს საქმე," – განაცხადა პროცესის დასრულების შემდეგ აკაკი ჩხაიძის ადვოკატმა.

*24 საათი*

## "მზიური ველის" საკითხს გენპროკურატურა განიხილავს

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი ამ კვირაში დაბა ბაკურიანში მდებარე ახალგაზრდული ცენტრ-კომპლექსის „მზიური ველის" შესახებ მომზადებულ დოკუმენტურ მასალას გენერალურ პროკურატურას გადასცემს.

დეპარტამენტის ბორჯომის რაიონულ ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მათ მოიძიეს დაბა ბაკურიანის მიწის მართვის სამმართველოს ხელმძღვანელობის მამხილებელი დოკუმენტები, რომლებიც „მზიური ველის" კუთვნილი მიწის ნაკვეთების უკანონოდ გასხვისებას ეხება. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტ შევარდნაძის 1999 წლის 12 ოქტომბრის (N1250) განკარგულების თანახმად, „მზიური ველი" ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა, თუმცა ამ კომპლექსის ყოფილი დირექტორი ამირან ტყეშელაშვილი პოზიციების გამყარებას საოლქო სასამართლოს ძალით ცდილობდა და სარჩელი რამდენჯერმე შეიტანა.

**„საოლქო სასამართლომ 2003 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად ცნო პრეზიდენტის №1250 განკარგულება, რაც ჩვენი აზრით, უკანონოა,"** — ამბობს ვარძელაშვილი, რომელმაც უზენაეს სასამართლოში საკასაციო სარჩელი უკვე შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ „მზიური ველის" ძველ და ახალ მფლობელებს შორის დაპირისპირება 2000 წლიდან დაიწყო. **„ყოფილი დირექტორი ამირან ტყეშელაშვილი შესაძლოა იმ კლანის მარიონეტი იყოს, ვისაც ამ კომპლექსის ხელში ჩაგდება უკანონოდ სურს,"** — ვარაუდობს ვარძელაშვილი. მისი თქმით, დაპირისპირებულ მხარეს, რომელთა შორის არიან პარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე (პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე) და ქონების მართვის ყოფილი მინისტრი მიხეილ უკლება, საკუთარი ბიზნესინტერესები ამოძრავებთ.

*მედია-ნიუსი*

## საქართველოში ფინანსური პოლიცია შეიქმნება

გუშინ ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ საქართველოში ფინანსური პოლიცია შეიქმნება. მან ისიც თქვა, რომ ფინანსური პოლიციის შექმნა საგანგებო ლეგიონის აღდგენას არ ნიშნავს. მინისტრის განმარტებით, ამ უწყების ფუნქციებში ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაც შევა, რაც აქამდე შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ევალებოდათ.

**"შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის უფლებები ჩამოერთმევათ და ისინი ფინანსურ პოლიციას გადაეცემა. ამასთან, პოლიციას ოპერატიული ფუნქცია მიენიჭება, რომელიც აქამდე სამინისტროებთან ერთად საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებსაც ჰქონდა,"** - აღნიშნა მან.

ნოღაიდელის თქმით, პოლიციას საგამოძიებო ანალიტიკური დაზვერვითი ფუნქციები ექნება და ეყოლება ფიზიკური ძალა, რომელიც გადასახადების ამოღებისა და სხვა ღონისძიებების გატარებისთვის დასჭირდება.

*24 საათი*

## პრეზიდენტის შეხვედრა საპარლამენტო ფრაქციებთან

პრეზიდენტთან შეხვედრა ყველაზე კმაყოფილებმა გუშინ "მრეწველებმა" დატოვეს. საამისოდ ერთბაშად რამდენიმე მიზეზი ჰქონდათ. ჯერ ერთი, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პარტიების პოლიტიკურ წარსულს არ უყურებს; მეორე - "თამაშის ახალი წესების" შემოღებას აპირებს, პირველ რიგში, ბიზნესისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად, და მესამე, "მრეწველთათვის" მთავარი - საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, საქართველო სსფ-ს რეკომენდაციების ბრმა შემსრულებელი არ იქნება და საგადასახადო კოდექსში სერიოზული ცვლილებები შევა.

პრეზიდენტისთვის მთავარია პარლამენტი ანტიკორუფციული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის დროსაც ისეთივე ერთსულოვანი იყოს, როგორიც საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას იყო. სააკაშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება მასმედიაში გაჩენილ მოსაზრებას, თითქოს გარიგების ინსტიტუტი "ჩაშვების ინსტიტუტი" იყოს. ქვეყნის მეთაური დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლება, ნაკლებად კორუმპირებული ხალხის ნაცვლად, დიდი მადის მქონე ხალხზე ინადირებს, იმათზე, ვისაც მსხვილი ქონების მითვისების გამო უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

**"მოსკოვში მყოფმა აბაშიძემ საქართველოში დამატებით 100 მეგავატი ელექტროენერგიის შემოტანაზე აწარმოა მოლაპარაკებები. ჩემი ვიზიტის დროს ანატოლი ჩუბაისთან ამ საკითხზე მეც მექნება საუბარი",** - განაცხადა სააკაშვილმა და მადლობა გადუხადა ასლან აბაშიძეს.

პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას გუშინ მხოლოდ "ტრადიციონალისტები" არ დასწრებიან. თუ ყველაზე კმაყოფილები "მრეწველები" იყვნენ, უკმაყოფილოთა შორის უკვე "სოციალისტები" აღმოჩნდნენ, რომლებიც, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის ქარ-ცეცხლში გატარების შემდეგ, პრეზიდენტისაგან მასმედიაზე ხელისუფლების ზეწოლის აღსაკვეთად კომისიის შექმნას ითხოვდნენ. კომისიის თავმჯდომარის საუკეთესო კანდიდატურად კი მათ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ გოგელია დაასახელეს.

საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, სააკაშვილთან გვიან ღამემდე გაგრძელებულ თათბირზე სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი შემორჩნენ. შეხვედრიდან გამოსული სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, ძალოვანი მინისტრების თანამდებობებს სამოქალაქო პირები დაიკავებენ, თავდაცვის მინისტრის პოსტზე კი ამჟამად თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის კანდიდატურა განიხილება.

*24 საათი*

## მომავალი მთავრობა - პოსტები და კანდიდატები

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოსკოვში გამგზავრებამდე პრემიერ-მინისტრის პოსტზე ზურაბ ჟვანია დაასახელა. მოულოდნელი ამაში ნამდვილად არაფერი გახლდათ. ოფიციალური ვერსიით ზურაბ ჟვანია მოსკოვში არ მიემგზავრება, რადგან უახლოეს პერიოდში მინისტრთა კაბინეტის სავარაუდო მონახაზს კიდევ ერთხელ გადაამოწმებს და ამ საკითხზე პარლამენტთანაც გამართავს კონსულტაციებს. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ **"ზურაბ ჟვანია, რომელსაც მართვის როგორც ცუდი, ისე კარგი გამოცდილება აქვს, პროფესიონალების ახალგაზრდულ მინისტრთა კაბინეტს დააკომპლექტებს".** გუშინ, საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, უშიშროების მინისტრის პოსტზე სააკაშვილმა სულ ახალხან იუსტიციის მინისტრად გამწესებული ზურაბ ადეიშვილი დაასახელა. თუ ზურაბ ადეიშვილის კანდიდატურის დასამტკიცებლად პარლამენტის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა არ არის მოსალოდნელი, სამაგიეროდ პატარა უსიამოვნებებს უკვე ჟვანია უნდა ელოდოს. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა კარგა ხნის წინ იყო ანონსირებული, ოპოზიციის ნაწილი, ვთქვათ "სოციალისტები", მის მიმართ აგრესიას პრეზიდენტთან გუშინდელი შეხვედრის დროსაც არ მალავდნენ.

კიდევ ერთი ახალი კადრი ირაკლი ჩუბინიშვილია, რომელიც გუშინ დილით სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ და სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ თავის თანამშრომლებს წარუდგინა, მაგრამ მისი თანამდებობა არ დაუსახელებია. მცირე ხნის დაბნეულობის შემდეგ კანცელარიის მეცხრე სართულზე მსხდარმა თანამშრომლებმა დაასკვნეს, რომ ჩუბინიშვილის ამგვარი არაფორმალური გაცნობა მამრაძის მხრიდან სხვა არაფერი იყო, თუ არა მომავალი მემკვიდრის წარდგენა, მაგრამ კანცელარიის გამოცდილი თანამშრომლები ოდნავ შეცდნენ. ირაკლი ჩუბინიშვილი მიხეილ სააკაშვილს მოსკოვში მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სტატუსით მიჰყვება. ამ სამსახურს ეკისრება კონტროლი პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება-განკარგულებების შესრულებაზე, საპარლამენტო და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა და ა.შ.

პრაქტიკულად გადაწყვეტილია გოკა გაბაშვილის გამინისტრებაც. იგი კულტურისა და სპორტის გაერთიანებულ სამინისტროს უხელმძღვანელებს.

მიხეილ სააკაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მსგავს გამოცდილ კადრს თანამდებობის გარეშე არა დატოვებს, თუმცა რა თანამდებობას მიიღებს ხაბურძანია, აღარ დაუკონკრეტებია.

საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, პრემიერ-მინისტრის პოსტთან ერთად შენარჩუნებულია სახელმწიფო მინისტრის პოსტიც. ასეთ სტატუსს სამი ჩინოვნიკი მიიღებს. მათ ჩაბარდებათ კონკრეტული მიმართულებები, მაგალითად ევროკავშირთან ურთიერთობა, ენერგეტიკის სფერო და ა.შ. რაც შეეხება ვიცე-პრემიერს (რომელიც პრემიერ-მინისტრის არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას შეასრულებს), ამ თანამდებობას შეითავსებს რომელიმე მოქმედი მინისტრი. ვიცე-პრემიერის პოსტზე ყველაზე სერიოზულად ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის კანდიდატურა განიხილება.

*ლელა მჭედლიძე*

## ისრაელის საელჩომ "ტუ-ბიშვატის" დღესასწაული აღნიშნა



სადღესასწაულო რიტუალი ისრაელის საელჩოში.

8 თებერვალს ისრაელის ელჩის, ქალბატონ რივკა ქოენის რეზიდენციაში "ტუ-ბიშვატის" დღესასწაული აღინიშნა. იგი წარმოადგენს ნაყოფის მომცემი ხეების ზეიმს, რომელიც ისრაელში ყოველწლიურად აღინიშნება. "ამ დღეს ისრაელში ყველა ხეების დარგვითაა დაკავებული და ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ებრაულ ნაციონალურ ფონდს – პირველ სიონისტურ ორგანიზაციას, რომელმაც ისრაელის დაარსების დღიდან ათეულ ათასობით ჰექტარზე გააშენა ხეები და უდაბნო ტყედ აქცია", - აღნიშნა ისრაელის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა რივკა კოენმა.

*24 საათი*

## რეაბილიტაციის დასაწყისი



ბუკმაიერი, ჩარკვიანი და გამყრელიძე ობიექტზე.

საქართველოში მიწისძვრით დაზარალებული შენობების აღსადგენად გერმანიის მთავრობამ 2,5 მილიონი ევრო გამოყო. ამ თანხის ნაწილი მოხმარდება სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასაც. გუშინ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო ქალაქის № 1 საავადმყოფოს ტერიტორიაზე, სადაც გამაგრდება მიმღები განყოფილების შენობა და აღდგება მორგი. ამავე პროექტის ფარგლებში აღდგება ინფექციური პათოლოგიების ცენტრის ორი კორპუსი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას დაესწრნენ გერმანიის ელჩის მოადგილე იოჰან ბუკმაიერი, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ჩარკვიანი და ჯანდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ამირან გამყრელიძე.

*24 საათი*

## "პოლიციური კვირეული" გადაიდო

"პოლიციის კვირეული", რომელიც გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის დაპირებით, გუშინ უნდა დაწყებულიყო, ერთი კვირით გადაიდო. ამის მიზეზი გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის მოსკოვში ვიზიტი გახდა.

თუმცა, გენერალურ პროკურორს დრო უქმად არ დაუკარგავს და პოლიციელთა რიგების წმენდისკენ სტარტი მან გუშინვე აიღო.

გენერალური პროკურორის დავალებით, პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გიორგი ლაცაბიძე გუშინ თბილისის საგზაო პოლიციის უფროსს გია ბერაძეს შეხვდა და საქართველოში შემოყვანილი განუბაჟებელი ავტომანქანების სია ჩაიბარა.

ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, საქართველოში 15 ათასამდე ავტომანქანა უკანონოდაა განბაჟებული ანუ, ფაქტობრივად, განუბაჟებელია. გენერალური პროკურორის განცხადებით, უკანონო განბაჟების პროცესში ჩართულნი იყვნენ შსს-სა და საგზაო პოლიციის მაღალჩინოსნები. გენერალურმა პროკურატურამ ანტიკორუფციული საბჭოს მიერ თვეების წინ მოკვლეული მასალების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე ავტომანქანების უკანონო განბაჟების ფაქტზე რამდენიმე დღის წინ აღძრა.

გენერალური პროკურორის მიერ "პოლიციის კვირეულად" გამოცხადებული ოპერაციისას დაიკითხებიან შს მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით თოდუა, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი დავით კობახიძე, შსს-ს სამძებრო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, ამჟამად გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსი თამაზ ალანია და სხვა მაღალჩინოსნები.

*24 საათი*

## პური ისევ გაძვირდა

თბილისში ზოგიერთი დასახელების პური ისევ 5 თეთრით გაძვირდა. მეწარმეებმა, როგორც ჩანს, დაპირება შეასრულეს და პურპროდუქციას ფასი მოუმატეს.

როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს" პურის მეწარმეთა თავისუფალი კავშირის „სოლიდარობის" თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა განუცხადა, ხორბალიც და პურიც მთელ მსოფლიოში გაძვირდა და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ექსპერტთა გაანგარიშებით, პურის ერთი კილოგრამის რეალური ღირებულება 1,1-1,2 ლარი უნდა იყოს, რომ მეწარმემ არ იზარალოს. ამჟამად მსხვილი ქარხნების პურპროდუქტები 10-15 თეთრით იაფია, ვიდრე მცირე საწარმოების. ამის მიზეზი, ვახტანგ ზენაიშვილის აზრით, ხორბლის ბირჟაზე ამერიკული ხორბლის არასწორი განაწილებაა - მსხვილი მეწარმეები ხორბალს უფრო იაფად ყიდულობენ, ვიდრე მცირე მეწარმეები.

ვარაუდობენ, რომ პურის გაძვირების შესაჩერებლად აუცილებელია საგადასახადო შეღავათების შემოღება, რასაც მხარს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროც უჭერს, თუმცა ამ საკითხის განხილვა და კანონპროექტის დამტკიცება ჭიანურდება. თუკი საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება სახელმწიფოსთვის ამჟამად შეუძლებელია, არსებობს მეორე გამოსავალიც: მეწარმე გადაიხდის გადასახადებს და პურს გააძვირებს, ხოლო სახელმწიფო სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ბიუჯეტიდან ხელფასებსა და პენსიებზე კომპენსაციებს დაუმატებს.

*მედია-ნიუსი*

## პოსტრევოლუციურ ოზურგეთში სიტუაცია უცვლელია

თუ ქვეყნის დედაქალაქში მართლაც რევოლუციური განახლების ქარი ქრის, ოზურგეთსა და გურიას, ჯერჯერობით, მხოლოდ სიომ წამოუქროლა და თან ძველი ხელისუფლების პირველი პირები წაიყოლია. სანაცვლოდ, მოვიდნენ ახლები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გურიის გუბერნატორად ახალი მემარჯვენე ვახტანგ გოლიაძე დაინიშნა; ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარედ მისი თანაპარტიელი იოსებ ნაკაიძე; რაც შეეხება ოზურგეთის რაიონის გამგებელს, ეს პოსტი დაიკავა ერთ-ერთი პატარა სოფლის ყოფილმა გამგებელმა თამაზ სალუქვაძემ, რომელიც რაღაც განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორიენტაციას არც ადრე ამჟღავნებდა; სამივე ახალწვეულს კი ერთი ნიშანი აერთიანებს - ისინი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ივანე ჩხარტიშვილის რეკომენდაციით დაინიშნენ, რასაც არც ბატონი ივანე და მისი ფავორიტები მალავენ.

ამ ფაქტმა თავდაპირველად "ნაციონალების" და "დემოკრატების" პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ისინი დააშოშმინეს, ეს დროებითი რამ არისო. ასეა თუ ისე, ახალმა ხელისუფლებამ უმძიმესი ტვირთი აიკიდა, რადგან, არათუ საქართველოში, შეიძლება დედამიწის ზურგზეც არ მოიძებნოს გურიის მსგავსი გაჭირვებული და გალატაკებული მხარე, სადაც ადამიანთა დიდი ნაწილი ფულის კუპიურას შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ შეავლებს ხელს, დანატრებულია ლუკმა-პურს და ის ერთი მტკაველი მიწა რომ არა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ებოძა, სომალიში ცხოვრებას ინატრებდა. მიზეზი ყველაფრისა კი ეკონომიკის მოშლაა; სტაგნაციამ გურიაში პიკს მიაღწია. სოფლის მეურნეობა დანგრეულია, ეს კი აგრარული რეგიონისათვის კატასტროფის წინაძღვრაა. ფაქტობრივად, წლეულს ჩაი არ მოკრეფილა, ტონობით ციტრუსი მოსახლეობას სახლში ელუპება, რადგან რეალიზებას ვერ ახერხებს. ამას ემატება უმწვავესი ენერგოკრიზისი; მოსახლეობის დიდი ნაწილი ბნელსა ზის და ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევს იქ ყოფნა; ქალაქ ოზურგეთს, ფაქტობრივად, აღარ მიეწოდება წყალი და რომც მიეწოდოს, სპეციალისტების დასკვნით, იგი სასმელად უვარგისია.

რევოლუციამ კი მოსახლეობას თითქმის არარსებული იმედი გაუღვივა. ამ იმედს რომ ჩრდილი მიადგეს, ტრაგედიის ტოლფასი იქნება. ოზურგეთში შეიქმნა კიდეც საზოგადოებრივი ორგანიზაცია "23 ნოემბერი", რომელიც აქტიურ პოზიციას იკავებს და ცდილობს, ხელისუფლების საქმიანობის ერთგვარ კატალიზატორად იქცეს. პოსტრევოლუციური ოზურგეთი მდგომარეობის რადიკალურ შეცვლას ელოდება.

*თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთი*

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 110

*2004 წლის 9 თებერვალი ქ. თბილისი*

ზ. აბაშიძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ზურაბ აბაშიძე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან.

*მიხეილ სააკაშვილი*

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 111

*2004 წლის 9 თებერვალი ქ. თბილისი*

კ. კემულარიას რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს კონსტანტინე კემულარია რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### მოკლედ

## ზურაბ ნოღაიდელი პრეზიდენტთან ერთად მიემგზავრება

რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის იმედით, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ხვალ მოსკოვში მიემგზავრება.

როგორც ნოღაიდელმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მოსკოვში ვიზიტისას იგი პრეზიდენტთან ერთად რუსეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შეხვდება.

**"ვიზიტის მიზანს რუსეთსა და საქართველოს შორის ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგება და საქართველოში რუსული ინვესტიციების განხორციელება წარმოადგენს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, ორდღიანი ვიზიტის პროგრამა დატვირთულია მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრებით.

## ფინანსთა სამინისტრომ ფირმებს 13 მილიონის ყალბი აქტივი გააუქმა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ოპერატიული ღონისძიებების პირველი ეტაპი დაასრულა და რამდენიმე ფირმას 13 187 899 ლარის ყალბი აქტივი გაუუქმა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ეს თანხა ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების ნაცვლად, დამნაშავეთა ჯიბეებში უნდა წასულიყო.

**"რაც მთავარია, მეწარმეების მხრიდან რადიკალურად იცვლება არსებული მდგომარეობისადმი ტენდენცია. ყალბი აქტივების გამოყენების ნაცვლად, ბიუჯეტში ნაღდი ფულის შემოსვლა რეალურად დაიწყო,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

ფინანსთა მინისტრმა ყალბი აქტივების მქონე ფირმების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ ფირმების უმეტესობამ აქტივები თავად გააუქმა.

**"ამის გამო მათ ამიერიდან საქმის პატიოსანი წარმოების შესაძლებლობა მივეცით,"** - აღნიშნა მინისტრმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში ამ დროისათვის სისხლის სამართლის 28 საქმეა წარმოებაში. მათ შორის ორი საქმე, ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით, გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

შ.პ.ს. "ომეგას", "ოჯთ"-ს და "ჯიბოს" ხელმძღვანელების მიმართ საქმეები გენერალურ პროკურატურაშია გადაგზავნილი. 11 საქმე დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებისა და ყალბი ანგარიშსწორების გამოყენების ფაქტებს ეხება, ხოლო 13 საქმე უაქციზო საქონლით - სიგარეტით ვაჭრობას. საქმე აღძრულია, აგრეთვე, დედოფლისწყაროს საგადასახადო ინსპექციის უფროსი ინსპექტორის კიკილაშვილის მიმართ. ყალბი აქტივებით ვაჭრობის დანაშაულებრივი პრაქტიკა 2003 წლის დეკემბერში, ფინანსთა მინისტრის მკაცრი ინსტრუქციის საფუძველზე აიკრძალა.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბათუმში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე დამატებითი სამხედრო კონტინგენტის შეყვანის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რუსულ სამხედრო ბაზებში სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდას არ გეგმავს. ამის შესახებ დღეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა ვიაჩესლავ სედოვმა განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით, დღეს თბილისში ჟენევის ფორმატის ფარგლებში უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ქართული და აფხაზური სამუშაო ჯგუფების შეხვედრა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ქართული მხარის მიერ აფხაზეთში საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის კატეგორიული წინააღმდეგია. იგი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ, უბრალოდ, არ იცის, რომ თბილისში დღეისათვის დაგეგმილ შეხვედრაზე ქართული და აფხაზური მხარეები სწორედ თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებაზე განაახლებენ მოლაპარაკებებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის ასლან აბაშიძის დავალებით, რამდენიმე დღეა აშშ - ში იმყოფება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილის ვაკანტური ადგილი ადგილობრივმა კადრმა დავით ნადაშვილმა დაიკავა. გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილის თქმით, მისი ახალი მოადგილე "ენერგიული და, რაც მთავარია, პატიოსანია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარე ვლადიმირ ჟირინოვსკი აფხაზეთში ჩასვლას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" წევრი მაია ნადირაძე აცხადებს, რომ ის აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავების კატეგორიული წინააღმდეგია. პრეზიდენტი სააკაშვილი ნადირაძეს არ გულისხმობდა, როცა მთავრობის ქალთა სქესის წარმომადგენლებით შესაძლო დაკომპლექტების შესახებ განცხადება გააკეთა, - ამბობს ნადირაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი მიესალმება საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებულ ბრძოლას დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ, თუმცა შეშფოთებას გამოთქვამს იმ ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო, რომელთაც ბრალი ედებათ სისხლის სამართლის დანაშაულში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"ნეოლიბერალური პარტიის" ლიდერი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია მზადაა, "იდეოლოგიური მოსაზრებებიდან" გამომდინარე, "ერთობასთან" 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნების წინ გაერთიანდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე მიუნჰენიდან მოსკოვში ჩავიდა. იგი პრეზიდენტ სააკაშვილისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის 11 თებერვლისთვის დაგეგმილ შეხვედრას მოამზადებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პარლამენტისგან ახალ "გმირობებს" ითხოვენ

*საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ, პარლამენტს პატარ-პატარა "საგმირო" საქმეები კიდევ აქვს საკეთებელი. მათ შორის აღსანიშნავია ანტიკორუფციულ ღონისძიებათა საკანონმდებლო პაკეტის მიღება, საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა (კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის გადასინჯვა), ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა და სხვა.*

გიორგი ასანიშვილი

კორუფციასთან ბრძოლის გასაძლიერებლად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების პაკეტი ამ ჩამონათვალში პირველ ადგილზე შემთხვევით არ დაგვისახელებია. საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომას პარლამენტი დღეს სწორედ მისი განხილვით დაიწყებს. აღნიშნული პაკეტის ირგვლივ მსჯელობა იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გუშინ გაიმართა და, პლენარული სხდომის მიმდინარეობის პარალელურად, დღესაც გაგრძელდება. თუ გავიხსენებთ, გასულ კვირას როგორ დაიცვეს პარლამენტარებმა თავისი სადეპუტატო იმუნიტეტი, სავარაუდოა, რომ ეს კატეგორია დიდი ხალისით არც კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტებს შეხვდება. თუმცა, საკონსტიტუციო ცვლილებებისგან განსხვავებით, მის მიღებას გაცილებით ნაკლები - "სულ რაღაც", 79 ხმა სჭირდება.

28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მოახლოების კვალობაზე, თანდათან წინა პლანზე გადმოდის საარჩევნო თემატიკა. ამის "ნიშნები" პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც შეინიშნებოდა. "სოციალისტების" ლიდერი ირაკლი მინდელი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ცაიტნოტი ახლოვდება, საარჩევნო კოდექსის დახვეწა კი ჭიანურდება. საარჩევნო საკითხებზე მსჯელობის დაწყებას ითხოვს, აგრეთვე, "ახალი მემარჯვენეების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე და ვიცე-სპიკერი ოპოზიციას "ამშვიდებენ" და ჰპირდებიან, რომ ჯერ ცესკო-ს თავმჯდომარესთან გაიმართება კონსულტაციები, მოგვიანებით კი (სავარაუდოდ, ხუთშაბათს ან პარასკევს), საარჩევნო კანონმდებლობის გარშემო უკვე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იმსჯელებენ.

საარჩევნო "განხრით" ირაკლი მინდელი გუშინ ერთი ინიციატივითაც გამოვიდა. ბიუროს სხდომაზე მან დეპუტატებს საპარლამენტო არჩევნების ერთი თვით გადადება და რიგგარეშე ადგილობრივ არჩევნებთან ერთად მისი ჩატარება შესთავაზა.

ეს ნოვაცია პარლამენტის ხელმძღვანელობამ უარყოფითად შეაფასა. **"თავის დროზე, საერთაშორისო ორგანიზაციების კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთად არ ჩაგვეტარებინა. იგივე სიტუაციაა ახლაც: "დუბლირების" შემთხვევაში, ვერც საპარლამენტო და ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ნორმალურად ვერ ჩატარდება",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.



*ბიუროს ძველი სახეები ახალ საარჩევნო კოდექსზე მსჯელობენ.*

პოლიტიკურ კულუარებში დღეს ასევე ბევრი მითქმა-მოთქმაა მერებისა და გამგებლების დანიშვნა-არჩევითობის, აგრეთვე, მერების "ხარჯზე" პრემიერების უფლებათა გაფართოების გარშემო. საპარლამენტო დებატები ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, არ გაიმართება, რადგან მიმდინარე კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგში ეს საკითხი "ვერ მოხვდა".

სამაგიეროდ, გუშინ ბიუროს სხდომაზე გაიხსნა დისკუსია, რომელიც რამდენიმე ტელეკომპანიის მიერ ღამის საინფორმაციო პროგრამების შეწყვეტას შეეხებოდა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამ ფაქტს მასმედიაზე ზეწოლად აფასებენ. გუბაზ სანიკიძე, ფიქრია ჩიხრაძე და ირაკლი მინდელი ითხოვენ, დაკმაყოფილდეს საზოგადოების ინტერესი და სიმართლე ხმამაღლა ითქვას.

**"ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიებზე ზეწოლას ადგილი ნამდვილად არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია არ გამაჩნია. მასმედიას ვინმე რომ ჩაგრავდეს, ამის თაობაზე თავად მეოთხე ხელისუფლება ატეხდა აჟიოტაჟს. ამ საკითხზე სხვადასხვა ხმები და ჭორები ჩემამდეც მოდის. აღნიშნულ თემაზე დღეს უკვე ვესაუბრე საქართველოს პრეზიდენტს. არ გამოვრიცხავ, რომ რაც მოხდა, თავად ტელეკომპანიების შეთანხმების შედეგია. ისე, თუ პროგრამები უნდა დახურულიყო, ალბათ, ჯობდა, ეს ადრე მომხდარიყო. მაშინ ასეთი ეჭვები არ გაჩნდებოდა",** - არც თუ ბოლომდე აკმაყოფილებს ოპოზიციონერი დეპუტატების "ცნობისმოყვარეობას" პარლამენტის სპიკერი.

დღეს დაწყებული პლენარული სხდომა, ალბათ, უკანასკნელი იქნება ამ მოწვევის პარლამენტის "ბიოგრაფიაში". მორიგი საარჩევნო კამპანიის პერიოდში საკანონმდებლო კორპუსი მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში შეიკრიბება.

# რუსეთის მოულოდნელი ტაქტიკა სამხედრო ბაზების გასაძლიერებლად

პირველი გვერდიდან

ორი დღეა, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში რუსეთის ბაზებთან დაკავშირებულმა ახალმა პრობლემამ იჩინა თავი. საქართველოს საგარეო და თავდაცვის სამინისტროები ცდილობენ, ახსნა მოუძებნონ რუსეთის სამხედრო უწყების გადაწყვეტილებას, რომელიც ბათუმსა და ახალქალაქში მდებარე სამხედრო ბაზებში პირადი შემადგენლობის მასობრივ როტაციას ითვალისწინებს. საქართველოს დიპლომატიური უწყების ინფორმაციით 400-მდე რუსი სამხედრო მოსამსახურე უნდა ჩაენაცვლოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც, თავის მხრივ, რუსეთისთვის ლოიალობისა და ერთგულების დადასტურება ამიერიდან, შესაძლოა, თვალუწვდენელი რუსეთის ნებისმიერ წერტილში მოუხდეთ.

რუსეთის ასეთი მოულოდნელი ტაქტიკის გამო სერიოზული იმედგაცრუება ელოდებათ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც წლების განმავლობაში სწორედ იმით ამართლებდნენ რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობას აჭარის ტერიტორიაზე, რომ იქ ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ დასაქმებულნი.

თბილისში არსებული აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა გვითხრა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა აშკარად არ ენდობა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთა ხვედრითი წილი 1700 კაციან რუსულ სამხედრო ბაზაზე, დაახლოებით, 60 პროცენტს შეადგენს.

**"რუსეთის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობას მიაჩნია, ადგილობრივი მცხოვრებლები "მისიანები" არ არიან, იმ გაგებით არ არიან, რომ, ელემენტარულად, ეს ხალხი ყოველდღიურად მუშაობს ნაწილში და როდესაც სამუშაოს ასრულებს, სახლში მიდის. ესე იგი რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ეს სისტემა აღარ უნდა – რუს ოფიცრებს სურთ ადგილობრივთა ნაცვლად ჩამოიყვანონ რუსები, რომლებიც არა მხოლოდ სამუშაო საათებში, არამედ არასამუშაო საათებშიც დარჩებიან სამხედრო ბაზაზე და იქნებიან უფრო მორჩილნი. ქართველებს კი სთავაზობენ სამსახურს რუსეთში. თუ არა და, ისინი იძულებულნი იქნებიან, უარი თქვან სამსახურზე, რაც მათთვის ტრაგედია იქნება,"** - ამბობს ჭიპაშვილი.

მოლოდინი იმისა, რომ რუსეთი, ადრე თუ გვიან, უარს იტყოდა საკუთარი გადასახადის გადამხდელების ხარჯზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების დაფინანსებაზე, საქართველოში მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეგობარი ჯგუფის წევრებმა და შეერთებულმა შტატებმა გამოთქვეს მზადყოფნა, დაეფინანსებინათ რუსეთის დარჩენილი ორი ბაზის გაყვანისთვის აუცილებელი სამუშაოები. ამ ჩამონათვალში შედის რუსეთში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ან ფულადი კომპენსაცია იმ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ვისაც ბაზების გატანის შემთხვევაში, საბინაო პრობლემა შეექმნება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის, **გიორგი მანჯგალაძის** თქმით, რუსეთი ამ შემთხვევაში ორი კურდღლის მონადირებას შეეცდება.

**"მიდის ბაზების პერსონალის რაოდენობის ზრდა, რათა უფრო საფუძვლიანი გახადონ თავის ეს აბსოლუტურად დაუსაბუთებელი 11 წელი, რასაც ბაზების გაყვანის ბოლო ვადად მიიჩნევენ. რაც უფრო მეტი ჯარისკაცი იქნება ორ ბაზაზე, ცხადია, მით მეტ წელს ჩაებღაუჭებიან რუსი ექსპერტები. მეორე კი ისაა, რომ თუ ბაზების გაყვანის შემთხვევაში მოსკოვს, სიტყვაზე, ბინებით 1700 კაცის უზრუნველყოფა უნდა მოეხდინა, ახლა ამ რაოდენობას 3000-მდე ზრდის, რითაც ასევე ამძიმებს ბაზებთან დაკავშირებულ პრობლემას."**

მაგრამ ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდებია, რადგან რუსეთის საელჩოს საქართველოსთვის არ მიუმართავს შესაბამისი რაოდენობის ვიზებისთვის და არ შეუთანხმებია როტაციის ვადები. მიუხედავად ამისა, ბათუმის ბაზაზე დასაქმებული ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებსაც რუსეთი უხდიდა ხელფასებს, სერიოზული დილემის წინაშე დგანან - მათ ან უარი უნდა თქვან რუსეთის მოქალაქეობაზე, ანდა საკუთარი ლოაილობა მოსკოვს "ცხელ წერტილებში" სამსახურის გავლით დაუმტკიცონ.

# რუსეთის მთავარი გასაჭირი - იმპერიული ოცნებები და იმპერიული აზროვნება

პირველი გვერდიდან

პერესტროიკის დამარცხებულ თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს პასუხი მზადა აქვთ: საბჭოთა კავშირს მისტირიან, რომელიც საკავშირო ხელშეკრულებაზე – გორბაჩოვისა და სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების "სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის" უსიცოცხლო ნაშიერზე იყო დაფუძნებული. ერთიც და მეორეც ქიმერა იყო, და მოვლენათა შემდგომი განვითარება ამის დასტური გახლდათ. მეტსაც მოგახსენებთ: ეს ქიმერული საბჭოთა კავშირი რომც შექმნილიყო, ის მხოლოდ ბაქანი იქნებოდა, საიდანაც "ჩვენი მატარებელი" ან წინ გასწევდა და "კომუნაში გაჩერდებოდა", ან უბრალოდ, გადაიჩეხებოდა. პირველ შემთხვევაში ტოტალიტარული სისტემის რესტავრაცია მოხდებოდა, მეორეში კი ის მოხდებოდა, რაც მოხდა. ადამიანის სახის მქონე სოციალიზმი არ არსებობს. მაქსიმუმი ადამიანის სახის ნიღბის მქონე სოციალიზმია.

ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს ეს ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური კართაგენის პერსონიფიკაცია მისთვის კრემლის მეოცნებე გორბაჩოვი იყო. ბელოვეჟის პუშჩას ყბადაღებული ეიფორიაც, სუვერენიტეტის "დატაცების" მოწოდებაც დანაშაული ან შეცდომა კი არ იყო, არამედ იმის შეგრძნების შედეგი, რომ თავისუფალი რუსეთი მხოლოდ საბჭოთა ნაჭუჭის ნამტვრევებიდან შეიძლება გამოიჩეკოს. "შეგრძნებას" იმიტომ ვწერ, რომ ელცინს არ ესმოდა, რას აკეთებდა, მაგრამ როგორც დიად ვიზიონერს, მიწაზე ყური ჰქონდა დადებული და ისტორიის ნაბიჯების ხმა ესმოდა, მაშინაც კი, როცა მიწაზე ხშირად სპირტიანი სასმელების უზომო მოხმარების გამო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მაშ, ასე: ერთი კრემლის მეოცნებე მეორემ შეცვალა. პირველი ადამიანის სახის მქონე სოციალიზმზე ოცნებობდა, მეორე – კაპიტალისტური სახის, მაგრამ იმპერიული ტვინისა და ორგანიზმის მქონე რუსეთზე. "სუვერენიტეტების დარიგების" შემდეგ ის სულ უფრო ხშირად ფიქრობდა იმაზე, რომ მათთვის კვლავ თავის უზარმაზარ მუშტში მოეყარა თავი. სწორედ ამით განისაზღვრებოდა კრემლისა და გენშტაბის გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინები; იგივე განსაზღვრავდა მოუხელთებელი ნაციონალური იდეოლოგიის ძიებასაც. "ძმა ბორისისა" და "ძმა ბილის" (კლინტონის – მ.ს.) კარნავალური დუეტის და "ვლადის" – ასე ეძახის პუტინს ბუში - და "ჯორჯის" უფრო პრაგმატული ალიანსის მიუხედავად, ახალი რუსეთის გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინები საბჭოთა კავშირის აწ გარდასული ანალოგიური დოქტრინებისგან დიდად არ განსხვავდება. რუსეთის ძირითად მოწინააღმდეგედ კვლავ შეერთებული შტატები რჩება. ამერიკას რომ "სისხლიან იმპერიალიზმს" აღარ უწოდებენ, ამით ბევრი არაფერი იცვლება. დამკვიდრდა ისეთი ევფემიზმები, როგორიცაა ჰეგემონიზმი, გლობალიზმი, იუნილენტარიზმი. მაგრამ ეს ყველაფერი, პრინციპში, ერთია.

როცა ნაპოლეონმა ენგიენის ჰერცოგი დახვრიტა, ბრძენმა ტალეირანმა ამას დანაშაულზე უარესი შეცდომა უწოდა. ვაშინგტონზე დოქტრინების აგება მცდარია და საშიში, და ამიტომ - დანაშაულებრივი. ეგრეთ წოდებული საღი აზრი, რომელიც არც საღია და არც აზრი, გვკარნახობს: რუსეთი ამერიკასთან ქიშპობას ვერ შეძლებს, თუ ძველ, ზესახელმწიფოს სტატუსს არ დაიბრუნებს. სწორედ ამითაა განპირობებული "მიწების მოხვეჭის" წადილი – მშვიდობიანად თუ ომით.

სწორედ ესაა კრემლის პროტესტების ლოგიკა, როცა ის რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან (ბალტიისპირეთი) და კავკასიაში (აზერბაიჯანი და საქართველო) ნატო-ს ექსპანსიის წინააღმდეგ გამოდის; როცა ის ყოფილ შუააზიურ რესპუბლიკებში ამერიკული სამხედრო ბაზების წინააღმდეგია, ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის "სოცბანაკის" ტოტალური ატლანტიზაციის შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველა ამ ქვეყანას შვეიცარიის ან ფინეთის ნეიტრალური სტატუსი ბევრად უფრო მეტად მოსწონს. მათი ეკონომიკა და ცხოვრების დონე ნატო-ს სამხედრო დატვირთვას ძნელად უძლებს. ნატო-ს წევრობა მათ მხოლოდ და მხოლოდ იმდენად იზიდავს, რამდენადაც ის რუსეთის "მიწების მოხვეჭის" წინააღმდეგ გარანტიას წარმოადგენს, რადგან მათ დღესაც არ სჯერათ – და ვერც გაამტყუნებ – რომ რუსეთში დემოკრატიული ცვლილებები შეუქცევადი პროცესია (ჩვენ რა, გვჯერა?).

პირადად მე მიმაჩნია (და ეს სულაც არაა პარადოქსული), რომ ნატო-ს რუსეთის საზღვრებთან მიახლოება ომის საფრთხის კი არა, დემოკრატიზაციის მოახლოებას ნიშნავს. რაც უფრო ნაკლები იქნება "მიწების მოხვეჭის" და "გავლენის სფეროების შენარჩუნების" ცდუნება, მით უფრო მეტია ზესახელმწიფოებრივი ქიმერებისგან გათავისუფლების შანსი, მით მეტი დრო, სახსრები და რუხი ნივთიერება გამოთავისუფლდება დემოკ-



*რუსეთი კვლავ ისეთ ამბიციებს ეყრდნობა, რომლის განხორციელების ძალა არ გააჩნია.*

რატიული და აყვავებული რუსეთის შესაქმნელად.

როცა ამას რუს პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებს და, მით უმეტეს, სამხედროებს ვეუბნები, მათი უმრავლესობა პასუხად ან ზურგს მაქცევს, ან მეუბნება: "შენ რა, გაგიჟდი? რა, ვერ ხედავ, რომ ბუშის ვაშინგტონი თავს გავიდა? ნახე, ავღანეთსა და ერაყში რას სჩადიან! ჩვენი რიგიც დადგება!"

არ დადგება, თუმცა ვაშინგტონი მართლაც თავს გავიდა. არ დადგება იმიტომ, რომ ვაშინგტონი მოსკოვზე თავდასხმას არ აპირებს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტოტალურ ბირთვულ ომს და ადამიანთა ცივილიზაციის აღსასრულს ნიშნავს. ბირთვულმა პარიტეტმა მაშინაც კი იმუშავა, როცა საბჭოთა კავშირი და აშშ მოსისხლე მტრები იყვნენ. მით უმეტეს, დღესაც იმუშავებს. მეტსაც მოგახსენებთ: დღევანდელ რუსეთს ბირთვული იარაღი რომც არ ჰქონოდა, ვაშინგტონი მოსკოვს ომს მაინც არ გამოუცხადებდა. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ღია კარის მტვრევა უხერხულიც კი გამოდის. მაგრამ კრემლისა და რუსეთის გენშტაბის სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინა მაინც ამ აბსურდზეა დამყარებული.

ზოგი ჭირი მარგებელია. რუსეთის საზღვრებისკენ ნატო-ს ექსპანსია პოსტსაბჭოთა რევანშისტებსა და "მიწების მომხვეჭველებს" ძალას აცლის. სასწაული რომ მომხდარიყო და რუსეთს თავიდან მოეცილებინა თავისი სტრატეგიული იარაღი, ის მარაგი, რომელიც, როგორც ამბობენ, არც არსებობს, დემოკრატიის და ქვეყნის ეკონომიკური კეთილმოწყობის საქმეს გიგანტური იმპულსი მიეცემოდა და უზარმაზარი პერსპექტივა გაეხსნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდება (ახლო მომავალში რუსეთის პენტაგონი პრეზიდენტს ქვეყნის სარაკეტო-ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის სფეროში მიღწევათა დემონსტრირებას ჰპირდება).

დიახ, ზოგი ჭირი მარგებელია. ვაშინგტონის "თავს გასვლა", სინამდვილეში, მოსკოვისთვის ხელსაყრელია. თალიბების დამარცხება და განადგურება რუსეთის სასარგებლოდ მოხდა. სადამის ერაყის დამარცხება და განადგურება რუსეთის სასარგებლოდ მოხდა. ალბათ იკითხავთ – მერე, ნავთობი? დიახ, ნავთობი. მაგრამ რატომ აირჩია მოსკოვმა ერაყის ომის დროს არასწორი მხარე? სიმბოლური მხარდაჭერა – თუნდაც ჯარისკაცთა ერთი ასეულის გაგზავნა – რუსეთს ერაყის ნავთობისკენ გაუხსნიდა გზას. ახლა კი მათხოვრობა უწევს და ერაყსაც მრავალმილიარდიან ვალებს "პატიობს". განა რუსეთის სასარგებლოდ არ მოხდა ის, რომ სადამის ბედის გათვალისწინებით ლიბიის ლომმა, კადაფიმ, ქედი მოიხარა? განა რუსეთის სასარგებლოდ მოხდა ის, რომ ტოტალიტარული ჩრდილოეთ კორეა და აიათოლების ირანი ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყნები გახდნენ? ცხადია, არა! 800 მილიონი დოლარი ბიშარისთვის – ეს ეშმაკთან გარიგების ტოლფასია!

რუსეთმა შეერთებული შტატები კი არ უნდა წყევლოს, არამედ, უნდა ლოცოს იმისთვის, რომ მათი ხელით ის ყოველი მხრიდან მომდგარი ნატო-ს ექსპანსიას კი არა, მეომარი, რადიკალური ისლამის და მის სათავეში მდგომი საერთაშორისო ტერორიზმის ლიკვიდაციას ახდენს. განა ნათელი არაა, რომ შეერთებული შტატების გარეშე რუსეთი ამ საფრთხეს ვერ გაუმკლავდებოდა? საბჭოთა კავშირმა, მარტომ, ვერაფერი მოუხერხა ავღანეთს და რუსეთი ჩეჩნეთს ვერ გაუმკლავდა. საერთაშორისო ტერორიზმზე რაღა უნდა ვთქვათ! გარდა ამისა, აშშ-ს შუა აზიაში ყოფნა იმის გარანტიაა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი დიდ სლავურ ქვეყანას ზურგიდან დარტყმას ვერ მიაყენებს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინის თავი და თავი შეერთებულ შტატებთან ალიანსი უნდა იყოს. "თავს გასული" ვაშინგტონის შესაკავებლად სამკუთხედები რუსეთი–ჩინეთი–ინდოეთი ან რუსეთი–გერმანია–საფრანგეთი იმთავითვე განწირულია. პეკინსა და დელის ვაშინგტონი უფრო იზიდავს, ვიდრე მოსკოვი, ხოლო საფრანგეთი და გერმანია, ასე თუ ისე, ნატო-ს წევრები არიან. მათ შეერთებულ შტატებთან სხვა რამ აქვთ გასარჩევი – იანკების ეკონომიკური და კულტურული იმპერიალიზმი.

რასაკვირველია, ვაშინგტონთან ალიანსში რუსეთი "უმცროსი ძმა" იქნება. მისთვის, რომელიც ყველაგან და ყოველთვის – საბჭოთა კავშირშიც და "სოცბანაკშიც" – "უფროს ძმობას" იყო მიჩვეული, ასეთი "გაახალგაზრდავება" უჩვეულო განცდა იქნება. სწორედ ამაში მდგომარეობს დემაგოგიური და საშიში За державу обидно. მაგრამ სადღეისოდ, გინდაარ გინდა, ჩინეთის გარდა, ყველა ქვეყანა ამერიკის "უმცროსი ძმაა". განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზოგი აყვავებულია და ზოგი – არა. ასე რომ, რუსეთის ნაციონალური იდეა ამერიკის აყვავებული "უმცროსი ძმის" სტატუსი უნდა გახდეს, როცა ის თავის სასარგებლოდ გამოიყენებს მის ფარს და მახვილს, მის დოლარს და ტექნოლოგიას. ამაში დამამცირებელი არაფერია.

ამჟამად რუსეთმა მიწები კი არა, ნიჭიერი ხალხი უნდა მოიხვეჭოს, რომელმაც არამარტო იმპერიული ოცნებებითა და იმპერიული აზროვნებით გამსჭვალული ევკლიდეს პოლიტიკური გეომეტრია, არამედ ლობაჩოვსკი-რიმანის პოლიტიკური გეომეტრიაც იცის. ეს თანამედროვე მსოფლიოს უფრო შეესაბამება. ეს ორმაგი ცოდნა მათ ბრტყელი აზროვნებისა და უსუსური ოცნებებისგან იხსნის და რეალობისკენ მიმართავს. რუსეთის სანკტპეტერბურგელი პეტრეებისა და მოსკოველი ივანეებისკენ დაბრუნება არ შეიძლება. ის წინ უნდა მიიწევდეს – მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში, მის ავანგარდში. ამ გზის გაკვალვა წყალბადის ბომბებითა და საკონტინენტთაშორისო რაკეტებით არ ხდება, არც ურა-პატრიოტული შეძახილებით და ნახევრადგაგუდული საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებით, არც ხმაჩაწყვეტილი მასმედიითა და ძირგამოთხრილი მეწარმეთა კლასით.

თუკი ოდესღაც ბორის ნიკოლოზის ძე ელცინი სუვერენიტეტის მოხვეჭისკენ მოუწოდებდა, ამჟამად ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინი სიტყვითა და საქმით თავისუფლების მოპოვებისკენ უნდა მოუწოდებდეს. დიადი რუსეთი მხოლოდ თავისუფალი, დემოკრატიული რუსეთი შეიძლება გახდეს, მაშინაც კი, თუ ამერიკის "უმცროს ძმად" დარჩება.

# ხელისუფლება საგადასახადო შემოსავლების 1,5-ჯერ გაზრდას გეგმავს

პირველი გვერდიდან

კერძოდ - 2004 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1,773 მლნ. ლარი იქნება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 18,9 პროცენტია.

მიმდინარე წელს 1,522 მლნ. ლარის ოდენობის საგადასახადო შემოსავლების მობილიზება იგეგმება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 16,2 პროცენტს შეადგენს. გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში გადასახადების მობილიზება, ადმინისტრირების გაუმჯობესების ხარჯზე, 1,5 პროცენტით არის გაზრდილი.

არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრი 90 მლნ. ლარით განისაზღვრა, ამას ემატება 45 მლნ. ლარის ოდენობის თანხა, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ აქამდე გაცემული კრედიტების სახით უნდა დაიბრუნოს. წლევანდელი ბიუჯეტის ხარჯვითი პარამეტრი 1,922 მლნ. ლარია.

ზურაბ ნოღაიდელი არ უარყოფს, რომ პარამეტრები ოპტიმისტურია და მეტიც - ამბიციური.

**"ამგვარი ამბიციური პარამეტრების შესრულების გარანტად მთავრობის ერთობლივი მუშაობა და პირადად მე გამოვდივარ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა, რომელიც ვარაუდობს, რომ საქართველოს პარლამენტი 2004 წლის ბიუჯეტის მიღებას მარტის დასაწყისში შეძლებს.

თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ნოღაიდელის ამ პოზიციას დღევანდელ ხელისუფლებაში ყველა არ იზიარებს. საქმე იმაშია, რომ "ძირითადი პარამეტრებიდან" ცალკეულ მუხლებად გაწერილ ბიუჯეტამდე არც ისე მოკლე გზაა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ახალი ხელისუფლება ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია, ბიუჯეტი კი არ არის ის კანონი, რომელიც ერთი უწყების - ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში შეიძლება დაიწეროს. ცალკეული უწყებების დასაბუთებული ინტერესებისა და გუნდური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ბიუჯეტების პარამეტრების შეთანხმებას, სავარაუდოდ, არცთუ ცოტა დრო დასჭირდება.

სხვათა შორის, ბიუჯეტის შედგენაში და შესრულებაში უწყებებს შორის განსაკუთრებული კოორდინაცია რომ მოხერხდეს, სწორედ აქედან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ ვიცე-პრემიერის იმ პოსტს, რომელიც მოქმედმა მინისტრმა უნდა დაიკავოს, სწორედ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს არგუნებენ.

ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ დღევანდელი პარლამენტისთვის ქვეყნის მთავარი საფინანსო კანონის დამტკიცების უფლების მიცემა არანაკლები დანაშაული იქნება, ვიდრე ამ პარლამენტისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე იმპროვიზირების უფლების მიცემა გახლდათ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნოღაიდელი ბიუჯეტის შესრულებაზე პირად პასუხისმგებლობას კისრულობს.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში არსებობს მოსაზრება, რომ მაისამდე, ანუ ახალი პარლამენტის არჩევამდე და ამოქმედებამდე 2004 წლის ბიუჯეტის მიღება ვერ მოხდება.

თუმცა, მეორე მხრივ, უპრეცედენტოდ მორჩილი "გარდამავალი" პარლამენტი, შემოთავაზებული ახალი ბიუჯეტის დამტკიცებისას, შესაძლოა, ხელისუფლების მიერ ისევე მარტივად დასაყოლიებელი აღმოჩნდეს, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებების დროს.

ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი უდავოდ აქვს ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ოპტიმიზმით გამორჩეულ ზურაბ ნოღაიდელს, რომელიც აპრილიდან საპენსიო და სოციალური დახმარებების დავალიანების გასტუმრებას გეგმავს.

მისი ინფორმაციით, აპრილიდან ფინანსთა სამინისტრო გასულ წლებში გაყინული ხელფასებისა და პენსიების სახით დაგროვილი დავალიანების გასტუმრებას დაიწყებს. 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ძველი დავალიანებების დასაფარად 91 მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული. შემუშავებულია ვალის გასტუმრების წინასწარი გრაფიკი. სამინისტრო ჯერ საპენსიო დავალიანების ნაწილს, შემდეგ ლტოლვილთა შემწეობებს და სახელფასო დავალიანებებს გაისტუმრებს.

შეგახსენებთ - საქართველოში, საბიუჯეტო კრიზისის გამო, ხელფასები და პენსიები 1997 წლიდან 2000 წლამდე რამდენჯერმე გაიყინა. დავალიანების საერთო ოდენობა 280 მილიონ ლარს შეადგენს.

# ხაზინამ უცხოური პროექტების თანადაფინანსება დაიწყო

## დავალიანება შვიდ მილიონ ლარამდეა

*საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოში უკვე განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტები, რომელთა პროფილის განსაზღვრა უცხოელი პარტნიორების მიერ ქვეყნის მოთხოვნილებების შესაბამისად ხდება და რომელთა ბიუჯეტები საკმაოდ სოლიდურ უცხოურ ფინანსებს ითვალისწინებს, ყოველთვის იდგა ერთი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე - ქართული მხარის მიერ თანადაფინანსების გადაუხდელობა.*

ნინო ნარჩემაშვილი

აღსანიშნავია, რომ თითოეული პროექტის მიმდინარეობა სხვადასხვა ვადით განისაზღვრება, ხოლო ქართული მხარის თანადაფინანსების საპროცენტო განაკვეთი, საშუალოდ, 20 პროცენტს შეადგენს.

ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს და გამიზნულია საქართველოში არსებული კანონით მოქმედი გადასახადების დასაფარად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის უფროსის სოსო სხირტლაძის ინფორმაციით, 2003 წელს მიმდინარე პროექტების რიცხვი 22 იყო, რომლებზეც ბიუჯეტის გეგმის მიხედვით თანადაფინანსებისათვის 28 მილიონი ლარი უნდა გამოეყო. მისივე თქმით, გასულ წელს 18 მილიონ 700 ათასი ლარის დაფარვა მოხერხდა.

რაც შეეხება ამჟამად არსებულ მდგომარეობას, ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, სამინისტროსათვის თებერვლის თვიდან პრიორიტეტები ენერგოსექტორისა და თანადაფინანსების ხარჯების გასტუმრება უნდა გახდეს. რამდენიმე დღის წინ, ფინანსთა სამინისტრომ ხაზინას, სხვადასხვა პროექტების თანადაფინანსებაში არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით, ოთხი მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ ოფიციალურად მიმართა. სოსო სხირტლაძის თქმით, თანხის გაცემა უკვე დაიწყო და იგი პროპორციულად გადანაწილდება ყველა პროექტზე. სხვა საკითხია, რომელი თანხებით აპირებს ოთხი მილიონი ლარის გადახდას სახელმწიფო ხაზინა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მისი დაფარვა სამინისტროს საკუთარი შემოსავლების (საგადასახადო და საბაჟო მოსაკრებლები და სხვა) ხარჯზე მოხდება.

უნდა ითქვას, რომ პროექტების უშუალო შემსრულებლების წინაშე ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის (თანადაფინანსების გადაუხდელობა) გამო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა თუ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს საქართველოში მიმდინარე პროექტები არ შეუჩერებიათ, თუმცა აღნიშნული თანხების გაუცემლობის გამო გარკვეული სამუშაოები პერიოდულად მაინც ფერხდებოდა.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, თანადაფინანსებაში არსებული დავალიანება დღეისათვის შვიდ მილიონ ლარამდეა. სახელმწიფო ხაზინის მიერ ოთხი მილიონი ლარის გადახდის შემდეგ კი დარჩენილი დავალიანება გეგმაზომიერად, ხაზინის შემოსავლების მიხედვით დაიფარება.

# სომხეთის დენი რეგიონებისთვის

*საქართველოს უშუქობით გაწამებული რეგიონებიდან ორს მაინც, როგორც იქნა, სინათლე ეღირსა. "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ 7 მეგავატის ოდენობით, ეს კი ძალიან მცირე სიმძლავრეა და მხოლოდ ორ რეგიონს ჰყოფნის. თუმცა, მას შემდეგ, რაც გსეკ-ი სომხური დენის შემოტანას შეუდგა, დენის პრობლემა, ფაქტობრივად, მოხსნილი აქვს ნინოწმინდას, რომელსაც 2 მეგავატი სიმძლავრე მიეწოდება და ახალქალაქს, რომელიც 5 მეგავატი სიმძლავრის დენს იღებს.*

მაია ურუშაძე

ჯერჯერობით, სომხეთიდან შემოტანილი დენი მხოლოდ ამ ორ რაიონს უნაწილდება.

იმ შემთხვევაში, თუ კარგად მოიქცევიან და გსეკ-ს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის გარანტიებს წარუდგენენ, ენერგოკომპანია სომხეთს უფრო მეტ სიმძლავრეს სთხოვს და სომხურ დენს ბაკურიანს, ასპინძისა და ადიგენის რაიონებსაც მიაწვდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ენერგოკომპანია მათთვის სომხეთიდან შემოტანილი დენის მიწოდებას ვერ გარისკავს.

რეგიონების ელექტრომომარაგების შანსები მას შემდეგ გაჩნდა, რაც გსეკ-ს გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა მის მიერ გამოყოფილი 12-მილიონიანი კრედიტის ელექტროენერგიის იმპორტის მიზნით დახარჯვის უფლება მისცა. სომხურმა მხარემ კი იმპორტის დაწყება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ამ თანხის გამოყოფის თაობაზე ბანკის მიერ გაცემული ოფიციალური საბანკო გარანტია მიიღო.

სხვათა შორის, გსეკ-ი ამავე გარანტიით ახორციელებს 200 მეგავატი სიმძლავრის დენის იმპორტს რუსეთიდან. ენერგოკომპანიაში მიიჩნევენ, რომ რუსული დენით საქართველოს რეგიონების განებივრების საშუალება მხოლოდ 19 თებერვლამდე ექნებათ.

ამჟამად გსეკ-ი რეგიონებს მხოლოდ იმპორტირებულ ელექტროენერგიას აწვდის. ანუ, ენერგოკომპანია სახელმწიფო ელექტროსისტემიდან დენს საერთოდ არ იღებს.

სამაგიეროდ, "ელექტროსისტემა" ამარაგებს "თელასს", რომელიც მისი მომსახურებით, ტრადიციულად, უკმაყოფილოა. "თელასს", მართალია, 200 მეგავატი რუსეთიდან შემოაქვს, მაგრამ დანაკლისს საქართველოს ელექტროსადგურებზე გამომუშავებული დენით ივსებს. სწორედ ეს დენი უნდა მიაწოდონ "რაოს" ქართულ შვილობილს "ელექტროსისტემის" ირლანდიელმა მენეჯერებმა. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ენგურჰესზე წყლის დონე კატასტროფულად დაბალია, სხვა ელექტროსადგურების გამომუშავება კი იმდენად მცირე, რომ მათი დენი თბილისამდე ვერ აღწევს, "ელექტროსისტემა" დიდ გასაჭირშია და "თელასის" პრეტენზიებს ველარ აუდის.

"თელასის" პრეტენზიებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილიც იზიარებს და, "თელასის" კვალდაკვალ, თბილისის ელექტრომომარაგებაში შექმნილ პრობლემას "ელექტროსისტემის" დისპეტჩერების არაპროფესიონალიზმს აბრალებს.

დისპეტჩერების არაპროფესიონალიზმის გარდა, ნიკოლაიშვილს დარგში პასუხისმგებლობის არარსებობის საკითხი აღელვებს. მისი აზრით, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტის არსებობას არავითარი დატვირთვა არა აქვს, თუ მას არსებულ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ეს მოსაზრება მინისტრმა გუშინ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში გამართულ საგანგებო თათბირზე გააჟღერა. თათბირზე თბილისის მერიის, საკრებულოს, საბითუმო ბაზრის, "თელასისა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენლები თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ – ქვეყანას საკუთარი ენერგორესურსები გამოელია, იმპორტის შესაძლებლობები კი, ფაქტობრივად, მთლიანად ათვისებულია.

ამის გამო, თბილისის სრულფასოვანი ელექტრომომარაგება კვლავ შეუძლებელი რჩება. დედაქალაქის მოსახლეობას დენი კვლავ მონაცვლეობით – 2-4-საათიანი შეზღუდვებით მიეწოდება.

## საწყობის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საწყობის ასისტენტი** თანამდებობის დასაკავებლად. **საწყობის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

უზრუნველყოფს სამუშაოების ყოველდღიურად დაუბრკოლებლად და საიმედოდ წარმოებას აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის კუთვნილ საწყობში, რომელიც უმთავრესად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტს ემსახურება.

**ფუნქციები და მოვალეობანი:**

- კონკრეტულ მოვალეობებში შედის (არ შემოიფარგლება რა ამით):
- საწყობში დაცული ყველა სახის მასალების ზუსტად აღნუსხვა.
- საწყობში დაცული მასალების იმგვარი ორგანიზებისა და აღნიშვნის უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი იყოს ყველა მასალის იოლად და სწრაფად გამოყენება.
- ყველა მასალის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რომ გამოირიცხოს ერთი მასალის მეორე მასალით დაბინძურება.
- საწყობში მომუშავე ან შესული პერსონალისთვის პოტენციური საშიშროების შემცირება საწყობში არსებული ყველა საგნის საიმედოდ შენახვით.
- ყველა საგნის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რაც გამორიცხავს ქურდობის შესაძლებლობას.
- პერსონალისთვის დახმარების გაწევა საწყობში მასალების ფიზიკურად შეტანასა და საწყობიდან გამოტანაში.
- საწყობში და საწყობიდან საქონლის ტრანსპორტირების სწრაფად და შეუფერხებლად განხორციელება.
- მოთხოვნის საფუძველზე ზოგიერთი საგნის ტრანსპორტირებისა და შესყიდვის მოვალეობა.
- საწყობში საერთო წესრიგის უზრუნველყოფა.
- სხვა მოვალეობანი საჭიროებისდა მიხედვით.

**გამოცდილება და განათლება:**

- სამუშაოზე აყვანილ პირს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარი და კვალიფიკაცია:
- საწყობის პრაქტიკული ორგანიზაციის ცოდნა.
- მიწოდების შესახებ დაკვეთებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების უნარი.
- ტექნიკური განათლების მქონეთ უპირატესობა ენიჭებათ.
- ინგლისური ენის ცოდნა - საშუალოზე მაღალი დონისა ან უკეთესი.
- მასალების მენეჯმენტის გამოცდილება უპირატესობად ჩაითვლება.
- კომპეტენტურობა მაიკროსოფტ ოფისის პროგრამებში.
- მაიკროსოფტ ექსელისა და აქსესის პროგრამების კარგი ცოდნა.
- მანქანის მართვის უფლების მოწმობა.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 თებერვალი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება:** ბაქო-თბისლისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP-საქართველო, საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## მოკლედ

### 3-ზე და 5-ზე დაწყებული ყველა ნომერი ახალ ქსელებზე გადაჰყავთ

ელექტროკავშირი დიდუბე-საბურთალოს აბონენტებს სიახლეს სთავაზობს. 3-ზე და 5-ზე დაწყებული ყველა ნომერი ახალ ქსელებზე გადაჰყავთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ნომრები სხვა კომპანიის - "ახალი ქსელების" აბონენტებად იქცევიან. უბრალოდ, საუბარია არსებული ქსელების განახლება-მოდერნიზაციაზე. ეს ცვლილება ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე მოხდება. აბონენტებს არ დასჭირდებათ არსად მისვლა, **"ყველაფერი მექანიკურად, აბონენტების ყოველგვარი შეწუხების გარეშე მოხდება,"**- განაცხადეს დიდუბე-საბურთალოს საკვანძო განყოფილებაში. ნომრების გადაყვანასთან დაკავშირებით მომსახურება უფასოა. ყოველთვიური საფასური ჯერ არ არის დადგენილი, **"ამაზე მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ, სავარაუდოდ, 4 ლარი იქნება,"**- განაცხადეს განყოფილებაში.

წუთობრივი გადასახადები გაუქმდება.

რაც შეეხება "ბლოკებს", ანუ ერთ ხაზზე განთავსებულ ტელეფონის ნომრებს - ისინიც გაუქმდება და ყველა ნომერი ინდივიდუალურად იმუშავებს. მსურველებს დამატებითი კაბელების ჩართვის მეშვეობით, ახალი ნომრების დაყენების საშუალებაც ექნებათ. როგორც დიდუბე-საბურთალოს საკვანძო განყოფილებაში განაცხადეს, ინტერნეტით მუშაობა ძალიან გაადვილდება.

*დიანა ჩაჩუა*

### ექსპერტები ოქროს შენახვას გვირჩევენ

*2003 წელს ფასები ოქროზე და სხვა ძვირფას ლითონებზე ძალიან გაიზარდა. 2004 წლის დასაწყისისთვის უნცია ოქროს ფასმა 431,5 დოლარს მიაღწია. საერთო მაჩვენებლით კი, ოქროს ფასი 35 პროცენტით გაიზარდა, პლატინის ფასმა 40 პროცენტით იმატა.*

გასულ წელს დანაზოგის ფულად ანგარიშებზე შენახვა საკმაოდ წამგებიან საქმედ იქცა. ეს არა მარტო არა მომგებიან, პირიქით - წამგებიან საქმედაც კი იქცა. ისინი კი, ვინც დანაზოგი ძვირფას ლითონში დააბანდა, გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. წელსაც პროგნოზები ძვირფას მეტალთან დაკავშირებით საკმაოდ ოპტიმისტურია. სავარაუდოდ, უნცია ოქროს ფასი 420 დოლარს შეადგენს რაც 15 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. ეს აღმავლობა ფასებში, ექსპერტების ვარაუდით, არა მარტო ოქროს შეეხება, ყველა ძვირფასი ლითონის ფასი რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწევს.

სავარაუდოდ, ეს პროცესი მანამ გაგრძელდება, სანამ დოლარის კურსი მერყეობს. მსხვილი ინვესტორები დოლარის ასეთი მერყეობის და სისუსტის პერიოდში ფულის დაბანდების ალტერნატიულ გზებს ეძებენ, კერძოდ - ძვირფას მეტალებში, რომლის ფასიც სწრაფად იზრდება. ხოლო პროგნოზები დოლართან მიმართებაში ოპტიმიზმის საშუალებას ნაკლებად იძლევა. სავარაუდოდ, 2004 წლის ბოლოსთვის დოლარის კურსი ევროსთან მიმართებაში 1,25—1,4–ით დაეცემა.

იმისთვის, რომ რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ, ექსპერტები დანაზოგის ორ ნაწილად გაყოფას ურჩევენ: დანაზოგის 10-30 პროცენტი ძვირფას ლითონებში დააბანდონ, დანარჩენი კი - ანგარიშებზე. ერთის კურსის დაცემისას იზრდება მეორის ფასი და პირიქით. ასე რომ, სავარაუდოდ, მომავალ წელს ფულის დაბანდება, ძირითადად, ძვირფას მეტალებში მოხდება, რომლის ფასიც ასტრონომიულ მაჩვენებელს მიაღწევს.

*ანი გახარია*

# ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ირანში ჩადის

*პრინცი ჩარლზი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პირველი წარმომადგენელი გახდა, რომელიც 1979 წლის რევოლუციის შემდეგ ირანს ესტუმრა. ყველასათვის გასაოცრად, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე მიწისძვრით დაზიანებულ ქალაქ ბამში ჩავიდა.*



*პრინცი ჩარლზი პრეზიდენტმა ჰათამიმ მიიღო.*

REUTERS

პრინცი ჩარლზი, რომლის ვიზიტი ლონდონსა და თეირანს შორის ურთიერთობების განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს, ორშაბათს მოსახლეობასა და ოფიციალურ პირებს შეხვდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანის უძველეს ციხე-ქალაქ ბამში, სადაც გასული წლის 26 დეკემბერს მიწისძვრის შედეგად 40 ათასი ადამიანი დაიღუპა.

ირანში ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა ბოლო ვიზიტი 33 წლის წინ შედგა, როდესაც ჩარლზის მამა პრინცი ფილიპი და დედოფლის და პრინცესა ანნა ირანის მაშინდელ მონარქს მოჰამედ შაჰს ეწვივნენ.

ირანი ამჟამად უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე მძიმე პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება.

პრეზიდენტი ჰათამი და მისი რეფორმისტი მომხრეები დიდ ზეწოლას განიცდიან რეაქციონერი კლერიკალების მხრიდან, რომელთაც რეფორმისტთა დიდ ნაწილს არჩევნებში კანდიდატურების წამოყენება აუკრძალეს.

ირანის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, პრეზიდენტმა ჰათამიმ თეირანში ხანმოკლე შეხვედრისას პრინც ჩარლზს განუცხადა, რომ ირანის ბოლოდროინდელი მოლაპარაკებები ევროპულ ქვეყნებთან ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, დასავლეთთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბების ნიშანი იყო.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ოფიციალური პირები ერაყში ბრიტანელი ჯარისკაცების გასამხნევებლად მიმავალი პრინცის ირანში ჩასვლას მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული მოსაზრებებით ხსნიან, მაშინ, როდესაც ირანის ლიბერალური მედია ვიზიტის მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვაზე საუბრობს. “ეს სიმბოლური ვიზიტი გარდამტეხი იქნება ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში”, - აცხადებს ლიბერალური გაზეთი “შარკი”.

ამავდროულად, რეაქციულმა პრესამ და სახელმწიფო ტელევიზიამ და რადიომ, რომლებიც ხშირად ადანაშაულებდნენ ლონდონს ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულებაში, ქვეყანაში ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის ვიზიტის გაშუქებას თავი აარიდა.

# პუტინის საომარი სულისკვეთება ახალ ჩეჩნურ ბომბებს ააფეთქებს

*გაზეთ “თაიმს”-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ვანორა ბენეტი ჩეჩნური ტერორიზმის ანალიზს აკეთებს და მისი გამომწვევი მიზეზების ერთგვარ ახსნასაც გვთავაზობს.*

რუსეთში სისხლი და პოლიტიკა სულ უფრო გაითქვიფა ერთმანეთში. მომავალ თვეში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული; მიმდინარე თვეში კი მოსკოვის მეტროპოლიტენში ტერორისტული აქტი განხორციელდა. მსგავსი მოვლენები ხდებოდა გასული წლის დეკემბერშიც - საპარლამენტო არჩევნების დროს: წითელ მოედანთან ახლოს თავი აიფეთქა თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა, ხოლო რუსეთის სამხრეთში ელექტრომატარებელი ააფეთქეს.

ჯერ დანამდვილებით არავინ იცის, ვინ მოაწყო ეს სასტიკი აქცია მეტროში. თუმცა, თვითმკვლელი ტერორისტები, მეტწილად - ქალები, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე პუტინის რუსეთის საშინელ რეალობად იქცნენ. მოსკოველებს მუდამ ემახსოვრებათ გასულ ზაფხულს სტადიონზე გამართული როკ-კონცერტი (14 ადამიანი დაიღუპა, ორ შაჰიდთან ერთად). იყო კიდევ ერთი მცდელობა თვითმკვლელი ტერორისტის გამოყენებით, რომელიც ვერ განხორციელდა (ერთი გამნაღმველი დაიღუპა, ტერორისტი დააკავეს). და დავიწყებას არასოდეს მიეცემა ორი წლის წინანდელი თეატრის აღება ტერორისტების მიერ (რუსეთის სპეცსამსახურებმა გაზით დახოცეს ტერორისტები დანარჩენ 157 მძევალთან ერთად).

გამორიცხული არ არის, რომ უკანასკნელი ტერაქტის უკანაც ჩეჩნების სურვილი დგას - არჩევნებისწინა მომენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გასაახლებლად გამოიყენონ.

მეტროში სისხლისღვრა, ეჭვგარეშეა, 14 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენას იქონიებს. ეს ტერაქტი აიძულებს - ხმა სწორედ პუტინს მისცენ - არამხოლოდ დაღუპულთა ახლობლებს, არამედ მოსკოვის მეტროს 2 მილიონ მგზავრსაც, რომლებიც გადაჭედილ ესკალატორებზე, პლატფორმებზე და ვაგონებში შიშით შეხედავენ სამხრეთ რეგიონების შავგვრემან მცხოვრებთა სახეებსა და ხელჩანთებს, და პუტინის მილიონობით მომხრესაც.

მისი პოლიტიკური კარიერა თავიდანვე ანტიჩეჩნური იყო. სწორედ პუტინმა განაახლა დამოუკიდებლობის მოთხოვნით ამბოხებული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა. ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა დევიზმა – საპირფარეშოში ჩაეხოცათ ტერორისტები. ეს სიუხეშე, რომელიც ახლა უკვე მისი ავტორიტარული ხელისუფლებისათვის საფრთხის შემქმნელ პოსტსაბჭოთა პერიოდის მილიარდერებზეც ვრცელდება, რუს ამომრჩევლებში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

ჯერ კიდევ აფეთქებამდე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები უჩვენებდნენ, რომ ამომრჩეველთა 80 პროცენტს პუტინის მეორედ გაპრეზიდენტება სურს. ტერაქტის შემდეგ პუტინმა მომხდარში ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერი ასლან მასხადოვი დაადანაშაულა და კატეგორიულად გამორიცხა საპრეზიდენტო მარათონში მისი ერთადერთი ლიბერალი ოპონენტის მტკიცება, რომ სინამდვილეში ჩეჩენთა კონტრშეტევის პროვოცირებას მათ მიმართ პუტინის უსაზღვრო სისასტიკე იწვევს.

თუმცა, პუტინი, ალბათ, სწორედ ამაზე უნდა დაფიქრდეს. რა არის ომის მიზანი, რომელმაც 5-დან 15 ათასამდე რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, დღეს უკვე არავინ იცის. 10 წლის წინ პირველი ჩეჩნური ომი ჩაფიქრებული იყო, როგორც ჩეჩნური ნაციონალიზმის აღმოფხვრის სწრაფი მეთოდი. არ გამოვიდა. დღეს ომმა წარმოშვა მებრძოლების ახალი, “პალესტინიზირებული” თაობა: ახალგაზრდები, რომლებმაც ნახეს, თუ როგორ უხოცავდნენ თვალწინ ოჯახებს, რომელთაც აღარაფერი დარჩათ ისეთი, რისი გულისთვისაც ღირს ცხოვრება ნანგრევებად ქცეულ მიწაზე, მზად არიან ამ ბრძოლას სიცოცხლე შესწირონ.

პუტინი მოლაპარაკებებზე არ წავა. ამის ნაცვლად, გასულ წელს მან უბრალოდ განაცხადა, რომ ომი დასრულდა. მშვიდობის აღდგენის ილუზიური პროგრამა მოიცავდა ამნისტიას, რომელსაც არავინ გამოეხმაურა, და ჩეჩნეთის მარიონეტული პრეზიდენტის აშკარად ფალსიფიცირებულ არჩევნებს. შედეგად, პუტინის სიტყვებით, მივიღეთ რეგიონი, რომელმაც უარი თქვა სეპარატიზმზე და გადაწყვიტა, მშვიდობიანად იცხოვროს რუსეთის შემადგენლობაში.

მაგრამ ამ “მშვიდობის” არავის სჯერა. რუსი ჯარისკაცები კვლავაც იღუპებიან. სამხედრო კონტინგენტი ჩეჩნეთში თითქმის ორჯერ, 40 ათასამდე შემცირდა. მაგრამ თავად გენერლებიც აღიარებენ, რომ გასულ წელს ჩეჩნეთში 263 ჯარისკაცი დაიღუპა. გარდა ამისა, ჩეჩნეთში იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დაზვერვის სამსახურების 30 ათასი სამხედრო, რომლებიც ასეთივე ოდენობით განიცდიან ზარალს.

შესაძლოა შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ რუსები ომისაგან გადაიღალნენ, ვინაიდან მათ ტერორისტთა შურისძიებისა და ჩეჩნეთში გაგზავნილი თავიანთი შვილების სიცოცხლის გამო მუდმივ შიშში უწევთ ცხოვრება.

მაგრამ ეს ასე არ არის. და ნაწილობრივ, ამას რუსეთის მასმედიის მიერ მოვლენების ცალმხრივად გაშუქება უწყობს ხელს, რომელიც ჩეჩნური სისასტიკის რუსული კონცეფციითაა ნასაზრდოები; ნაწილობრივ კი - უცხოელთა მიმართ ზიზღით, როემლიც ასე ღრმადაა გამჯდარი რუსულ ცნობიერებაში. ევროპის ცენტრში მცხოვრები ხალხი არაერთხელ გამხდარა მტრული შემოსევების მსხვერპლი. რუსები ეჭვით უყურებენ უცხოელებს და ეს რუსეთის პოლიტიკაზე ყოველთვის აისახება.

რუსი პოლიტიკოსები მუდამ იყენებდნენ “გარეშე მტრის” შიშის ფაქტორს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი – გერმანელი, პოლონელი თუ ებრაელი. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მათ რიცხვს შეემატნენ ჩეჩნები. შავგვრემანი გარეგნობითა და კანონდამრღვევის მენტალიტეტით, ისინი ახალ რუსულენოვან “ცუდ ბიჭებად” იქცნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსებს არ სჯერათ ჩეჩნეთზე მათი ლიდერების გამონათქვამებისა, მათ იმდენად არ უყვართ ჩეჩნები, რომ ლიდერების ვერსიები უარყონ.

და ბოლოს, ჩეჩნეთის ომი პოსტსაბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემის გამოსავალს წარმოადგენს: რა უყონ არმიას? მილიონზე მეტი რიცხოვნების არმია ძალიან დიდი აღმოჩნდა დღევანდელი რუსეთისათვის. თუმცა, სწორედ არმია წარმოადგენს რუსეთისათვის საკუთარი თავის შეფასების საზომს. რუსეთის არც ერთ პრეზიდენტს არ ეყო გამბედაობა გაენახევრებინა იგი და პროფესიონალურ პრინციპებზე გადაეყვანა.

პრობლემის ერთ-ერთი გამოსავალი ჩეჩნეთია. გენერლებს შესაძლებლობა ეძლევათ უკვდავყონ თავიანთი სახელები და ამასთანავე, ჯარისკაცებიც ნახულობენ გარკვეულ სარგებელს. კონფლიქტის “ეკონომიკა” შემაძრწუნებელია: რუსი ჯარისკაცები მძევლად იყვანენ სამოქალაქო პირებს მათი ნათესავებისაგან გამოსასყიდის მიღების მოლოდინით. გვამზე გადასახადი გაცილებით დიდია. ყველა მდიდრდება, ჯარისკაცებთან გარიგებაში მყოფი ჩეჩნური დაჯგუფებებიც კი. მხოლოდ ჩეჩნეთის სამოქალაქო მოსახლეობა ნადგურდება.

მსოფლიო თანაუგრძნობს მოსკოვის მეტროში მომხდარი მხეცური ტერაქტის მსხვერპლთ, მაგრამ საომარი განწყობა არსებული სიტუაციიდან არასწორი გამოსავალია. პუტინი დიდ სამსახურს გაუწევდა რუს ხალხს, თუ სიმართლეს თვალებში ჩახედავდა, აღიარებდა, რომ ჩეჩნეთში ომი ისევ გრძელდება, და მშვიდობის რეალურად დასამყარებლად პირველ ნაბიჯებს გადადგამდა.

# ავღანური ნარკოტიკები - მსოფლიო საფრთხე

ლევან ღირსიაშვილი

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ თხოვნით მიმართა მსოფლიო თანამეგობრობას, რათა მის ქვეყანას ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო აქტიური და ქმედით დახმარება აღმოუჩინონ. კარზაი ამ განცხადებით ქაბულში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა, რომელიც ავღანეთში ნარკობიზნესის დღემდე მოუგვარებელ პრობლემას ეძღვნება. მისი თქმით, ნარკობიზნესი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგანაც ნარკობიზნესიდან შესული თანხები ტერორისტული აქტების დაფინანსებას ხმარდება და საერთაშორისო ტერორიზმში ჩართული ორგანიზაციების ანგარიშებზე ჯდება.

როგორც ცნობილია, ჰამიდ კარზაიმ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ოპიუმის კულტივირება და გაყიდვა კანონგარეშე საქმიანობად გამოაცხადა, თუმცა ამ ღონისძიებამ რეალური შედეგი ვერ გამოიღო. ავღანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ ამ სფეროშია დასაქმებული, რადგანაც ეს მათთვის შემოსავლის ერთადერთ და საკმაოდ სარფიან წყაროს წარმოადგენს.

ავღანეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ამ ბრძოლაში მარტოა, რაც წარმოუდგენელს ხდის ნარკობიზნესის დამარცხებას. სწორედ ამიტომ, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა უნდა დაინტერესდეს ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების შემცირებით და ეს უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს.

ჰამიდ კარზაიმ განაცხადა, რომ ავღანელ გლეხთა უმეტესობას ოპიუმის ყაყაჩო სიღარიბის გამო მოჰყავს, თუმცა ამ შეფასებას ექსპერტთა უმრავლესობა არ ეთანხმება, რადგანაც ფერმერები ამ საქმიანობით საკმაოდ დიდ მოგებას ნახულობენ. ექსპერტების თქმით, ავღანელი ფერმერებს ოპიუმის ყაყაჩოს კულტივირებით ზუსტად ისეთივე რაოდენობის სარგებელი აქვთ, რამდენსაც ავღანეთი საერთაშორისო დახმარების შედეგად ღებულობს. არსებული მონაცემებით კი, ნარკობიზნესში ავღანეთის მოსახლეობის დაახლოებით 7 პროცენტია ჩართული, თუმცა ექსპერტები ამ ციფრსაც სკეპტიკურად უყურებენ, რადგან რეალური შედეგები სულ სხვაა.

პრობლემის მთავარი არსი კი შემდეგში მდგომარეობს: ავღანელი გლეხები ყაყაჩოს მოყვანით გაცილებით დიდ მოგებას ნახულობენ, ვიდრე სხვა ალტერნატიული კულტურების მოყვანით. თანაც, ყაყაჩოს პლანტაციების მოვლა არცთუ მძიმე შრომას საჭიროებს.

ავღანეთში ნარკოტიკების წარმოების შემცირების მიზნით, ჰამიდ კარზაის ადმინისტრაციამ სპეციალური ბრძანება გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც ავღანელ გლეხებს ყაყაჩოს პლანტაციის ერთი ჰექტარის განადგურებისათვის 300 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდნენ. რასაკვირველია, ამ ნაბიჯმაც ვერ გაამართლა. უფრო მეტიც, ამ ღონისძიებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო და მოსახლეობამ პლანტაციების მოშენება გაორმაგებული ძალით განაგრძო. მოსავლის აღების და "დაბინავების" შემდეგ, ისინი ამ პლანტაციებს ანადგურებდნენ და გაზრდილ მოგებასაც ნახულობდნენ. ძალიან მალე ჰამიდ კარზაი იძულებული გახდა, ეს დადგენილება გაეუქმებინა. ამდენად, ავღანეთში ჩაკეტილი წრე განვითარდა. გაუნათლებელ და დაუსაქმებელ მოსახლეობას შემოსავლის მიღების იოლი გზა აქვს არჩეული.



*ავღანელი გლეხები ყაყაჩოს მოყვანით გაცილებით დიდ მოგებას ნახულობენ, ვიდრე სხვა კულტურების მოყვანით.*

## ნარკობიზნესი - ტერორიზმის წყარო

საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსების ძირითად წყაროს რომ ნარკობიზნესი წარმოადგენს, ამაზე დღეს უკვე აღარ დავობენ. როგორც ცნობილია, "თალიბების" ავღანეთი საერთაშორისო საზოგადოების მიერ სამართლიანად ითვლებოდა მსოფლიოს ტერორიზმის ბუდედ, სადაც 21-ე საუკუნის "რაინდები" ოპიუმის პლანტაციებიდან მიღებული დოლარებით იკვებებოდნენ. 2000 წელს ავღანეთში ნარკოტიკების წარმოებამ არნახულ რაოდენობას მიაღწია. ევროპისაკენ, შუა აზიის, რუსეთის, და კავკასიის გავლით კოლოსალური რაოდენობის ნარკოპარტიებით დატვირთული სიკვდილის ქარავნების სვლა არ წყდებოდა. "თალიბების და "ალ-ქაიდას" მოგებაც შესაბამისი იყო. სხვადასხვა შეფასებებით, ამ შემოსავალმა 1999-2000 წლებში 27 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

მართალია, 2000 წლის ბოლოს "თალიბებმა" ოპიუმის და ჰეროინის წარმოებას ქვეყანაში "დაუნდობელი" ბრძოლა გამოუცხადეს, მაგრამ მათ ტრიუკს დასავლელი ექსპერტები მალევე მიხვდნენ. "თალიბებმა" ავღანეთში ოპიუმის და ჰეროინის წარმოების ხელოვნური შემცირებით, საერთაშორისო ბაზარზე ამ ნივთიერების ფასი მკვეთრად გაზარდეს. მაგრამ "თალიბებმა" ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად აწეული ფასებით ნარკოტიკების დიდი პარტიების გაყიდვა ველარ მოასწრეს. აშშ-ს მიერ დაწყებულმა ანტიტერორისტულმა კამპანიამ ავღანეთში "თალიბთა" მმართველობა დაამხო.

თუმცა, ბევრის მოლოდინი, რომ ოკუპაცია ავღანეთში ოპიუმის და ჰეროინის წარმოებას თუ არ აღმოფხვრიდა, მკვეთრად მაინც შეამცირებდა, არ გამართლდა. პირიქით, ყაყაჩოს წარმოებამ ამ ქვეყანაში კვლავ დიდი ტემპებით დაიწყო ზრდა. დღევანდელი მონაცემების თანახმად, რაც სხვადასხვა ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნება, ავღანურ ჰეროინს და ოპიუმს მსოფლიო წარმოების ორი მესამედი უკავიათ. ასევე სხვადასხვა დონის ექსპერტული შეფასებებით, ავღანეთში ყაყაჩოს მოსავალმა შარშან 4 ათას ტონას მიაღწია. ეს 2002 წლის მაჩვენებელს, თითქმის, ხუთასი ტონით აღემატება. გაერო-ს ნარკოვაჭრობასთან და დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს შეფასებით, 2002 წელს ყაყაჩოს მოსავალმა ავღანეთში 3422 ტონა შეადგინა. ამდენად, ავღანეთი ჰეროინით რუსეთის ბაზარს ასი პროცენტით აკმაყოფილებს და ევროპის ბაზრის ორ მესამედს უზრუნველყოფს.

ევროპაში ჰეროინი რომ ავღანეთიდან რუსეთის და კავკასიის, კერძოდ, საქართველოს გავლით ხვდება, ესეც არავისთვის არის საიდუმლო. ნარკოტვირთების უსაფრთხოებას, რასაკვირველია, ადგილობრივი ხელისუფალნი და მაღალი თანამდებობის პირები უზრუნველყოფენ. მათ ამისათვის არც თუ მცირე მოგება რჩებათ. ამ ქარავნების უსაფრთხოების და სარფიანი რეალიზაციის შედეგად გაკეთებული მილიარდები, სხვადასხვა ბანკებში ანგარიშებზე უკვე გათეთრებული სახით ჯდება, საიდანაც დიდი ნაწილი საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერებას ხმარდება, ნაწილი კი გზების და მარშრუტების "უსაფრთხოებას" ანუ იმ ჩინოვნიკთა მფარველობაზე მიდის, რომელთაც ოპიუმით და ჰეროინით დატვირთული ქარავნების გაცილება ევალებათ.

ამდენად, ავღანეთში ნარკობიზნესის არნახული მასშტაბები არა მხოლოდ ამ ქვეყნის უსაფრთხოებას და ეროვნულ ინტერესებს აზარალებს, არამედ ეს უკვე საერთაშორისო პრობლემაა, რომლის მოგვარების რეცეპტი ერთადერთია - მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების მობილიზება ამ შავი ჭირის დასამარცხებლად.

## ნაღვლიანი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### ნიუანსები

ამ ბოლო დროს იმდენი რამ ხდება ყოველდღიურად, შეიძლება თავბრუ დაგეხვას კაცს. ძალიანაც რომ მოინდომო, შეუძლებელია ერთ რომელიმე მოვლენაზე ყურადღების კონცენტრაცია. ყველაფერზე ცოტ-ცოტას თქმა კი, ფაქტობრივად, არაფრის თქმას ნიშნავს. მაგრამ რას იზამ, ხანდახან იძულებული ხარ. თუმცა, საერთო ფონის გათვალისწინებით, ცოტა უხერხულიც კია ბედს დავემდურო – მთელი ასი სტრიქონი და აუარებელი დრო მაქვს. ზოგიერთმა მიმომხილველმა, მაგალითად, ეკა კვესიტაძემ იკითხოს, დილის რვა საათზე "რუსთავი 2"-ზე ტოროლასავით რომ დასკუპდება და წუთნახევარში მთელი(!) ქართული პრესის მიმოხილვას ცდილობს. ეს-ეს არის გაღვიძებული შევყურებ ამ ჩემს კოლეგას და სულ ის ობოლი გოგო მიდგას თვალწინ, დედინაცვალმა ერთი პური რომ მისცა – ამვლელსაც აჭამე, ჩამომვლელსაც და შინაც მთელი მოიტანეო. მიმოხილვა კი არა, ისიც მიკვირს, გაზეთების სახელწოდებებსა და ზოგიერთი წერილის სათაურის წაკითხვასაც რომ ასწრებს.

ყველაზე საინტერესო და აზარტული, ალბათ, მაინც საკონსტიტუციო ცვლილებებზე გამართული კამათის თვალყურის დევნება იყო. საინტერესო - იურიდიული, აზარტული კი იმ თვალსაზრისით, რომ მოურჩენელი შევარდნაძისტების ერთი ყველაზე ერთგული ჯგუფისა და რევოლუციის ყველაზე აქტიურ მხარდამჭერთა უარყოფითი აზრი ამ ცვლილებებზე წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს. წყლისა და ცეცხლის ამ შერიგებას ერთი, ხელისუფლებისთვის არცთუ სასიამოვნო ფაქტიც დაემატა – წმინდა სამართლებრივი, განსაკუთრებით კი დემოკრატიული მწვერვალების სამზერიდან ეს ყველაფერი ალალზე ალალ სიმართლედ მოჩანდა. მოჩანდა კი არა, თუ გულახდილი ვიქნები, სიმართლე იყო. ქუცნაშვილის, მინდელის, ბათიაშვილის, ტრადიციონალისტებისა და პარლამენტსგარეთა კონტრების შენიშვნები, თუ ტონალობას არ მივიღებთ მხედველობაში, ლამის დეტალებში დაემთხვა დავითაშვილის, ბოკერიას, ხიდაშელის, უსუფაშვილისა და სხვა არასამთავრობოების მოსაზრებებს.

მოდი და ნუ დაიბნევი კაცი. ამ ვითარებით ისარგებლეს აქამდე მიყუჩებულმა ვირთხებმა-მეთქი, რომ ვთქვა, ეწყინებათ, მაგრამ სხვაც ვერაფერი მოვიფიქრე, შეგულიანდნენ, მზეზე გამოეფინნენ და, ცოტა რომ შეთბნენ, მოქმედების საღერღელიც აეშალათ.

ერთხანს მეც ავირიე. მერე კი ისევ ჩემმა ბოდბისხეველმა ბიძაშვილმა დამამშვიდა: თითქოს ერთი და იგივეს ამბობენ, მაგრამ ნიუანსებს, ნიუანსებს მიაქციე ყურადღებაო და ერთი ქიზიყური, თან ძალიან ყოფითი ანეკდოტიც გამახსენა.

აი, ნიუანსებზე რომ არის. მიხომ მეზობლის მაყვალაზე, უფრო კონკრეტულად კი, იმის მუხლებს სულ ოდნავ აცილებულ იუბკაზე რომ შეაჩერა ცოლის ყურადღება – ხო ნიუანსია, მაგრამ სასიამოვნო საყურებელიაო. მერე ისევ მაყვალას მტკავლიან და ორი თითის დადება დეკოლტეზეც გამოთქვა იგივე მოსაზრება. მარომ ესეც აცალა და, აი, ზემოუბნელ თედოს ხო იცნობო, სულ რაღაც ერთი-ორი სანტიმეტრით გრძელი აქვს. ხო ნიუანსია, მაგრამ იცი, რა სასიამოვნოაო?

თუმცა, დავუბრუნდეთ პოლიტიკურ ნიუანსებს.

არასამთავრობოების პოზიცია ცალკე საუბრის თემაა. იმათ იმაზე ბევრად უკეთესი უნდათ, ვიდრე იყო და ეს ნორმალურია. აი, ამ მზეზე გამოშლილებზე კი აუცილებლად უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

მაგათ რომ ყური დაუგდო, ქაოსისა და დიქტატურისკენ მივდივართ, არადა, იყო დემოკრატია და იყო სტაბილიზაციაო.

რა თქმა უნდა, იყო დემოკრატია, თუ დემოკრატია ჰქვია ისეთ თავისუფლებას, როცა ნებისმიერი მინისტრი, ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე თავს უფლებას აძლევდა, თავისუფლად ეპარა მილიონები, თავისუფლად ეყვლიფა ბიუჯეტი, ანუ თითოეული ჩვენგანი; როცა ამ უმსგავსობებზე ხმის ჩაწყვეტამდე ყვირილი, პრესა იქნებოდა თუ ტელევიზია, სულ ფეხებზე ეკიდა პრეზიდენტს და, რაღა თქმა უნდა, მის მომყოლებსაც.

რა თქმა უნდა, იყო სტაბილიზაციაც, თუ სტაბილიზაცია ჰქვია ჯარისა და პოლიციის პირდაფჩენილ ჯდომას, როცა დემოკრატიული ხელისუფლების მიერ წაქეზებული ბანდები დღისით-მზისით იტაცებდნენ ვინც უნდოდათ და როცა უნდოდათ. როცა რუსეთის არხებზე მალიმალ გამოჩნდება ხოლმე საქართველოს ვირტუალური რუკა და წითლად შეღებილი სამი რეგიონი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ერთს ნიშნავს – შესვლა და მოძრაობა აკრძალულია!

სტაბილიზაციასა და დემოკრატიის მწვერვალებზე ლაპარაკი ფარისევლობაა და მეტი არაფერი, სანამ საქართველო ომის მდგომარეობაშია, სანამ ცხინვალსა და სოხუმში პრეზიდენტები სხედან, ბათუმში კი – ნახევარპრეზიდენტი; სანამ ჩვენს ნახევარპრეზიდენტს, თუნდაც დროდადრო და თუნდაც შემთხვევით, მაგრამ მაინც წამოსცდება ხოლმე – "რაც შეეხება ჩვენს წარმომადგენლობას საქართველოშიო"; სანამ აბაშიძისნაირ წარმატებულ მეურნეს საქვეყნოდ, ტელევიზიით, თუნდაც, "იბერიით", შესაძლებლობა მიეცემა, თქვას – "ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში აჭარის ბიუჯეტი 1700 (ათას შვიდასი) პროცენტით გაიზარდაო".

როცა ეგეთებზე ვფიქრობდი, დაბნეულობამ ნელ-ნელა გაიარა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე კამათსაც უფრო მშვიდად მივადევნე თვალი.

ძალიან მომეწონა ბათიაშვილის პათეტიკური ფრაზა: გავა დრო და პასუხს აქ მყოფებს მოგვთხოვენო, რაზეც მაია ნადირაძის ერთობ პროზაული რეპლიკა მიიღო: ნუ ღელავ, შენ ამაზე პასუხს არავინ მოგთხოვსო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო კონტრჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენლის, დეპუტატ ადა მარშანიას გამოსვლა-სადღეგრძელო, რომელიც ტრადიციული კავკასიურის კვალობაზე მაინცდამაინც სიტყვაუხვი ვერ გამოდგა, თუმცა, ამაში არც დარბაზის აკუსტიკას მიუძღვის ბრალი და არც სხდომის თავმჯდომარეს, სხვებთან ერთად რომ ცდილობდა ამ არაბუნებრივი ინტერვალებით ამოღერღილი სიტყვებიდან აზრის გამოტანას.

საკონსტიტუციო ცვლილებებს დაემთხვა და შესაბამისად დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია "რუსთავი 2"-ისა და "მზის", უფრო ზუსტად კი, ეკა ხოფერიასა და ინგა გრიგოლიას ეკრანიდან გაუჩინარებამ. რას აღარ ლაპარაკობს ხალხი ამ უცნაურ დამთხვევაზე, მაგრამ ფაქტია – სრული სიმართლე მხოლოდ ამ ორმა მომხიბლავმა ქალმა იცის. თუმცა, მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ "რუსთავი 2" "ღამის კურიერის" ფორმატს ცვლის, ბუნებრივია, მეც ჩემი სიმართლე ჩამომიყალიბდა.

არავის უკვირს, როცა სარკეში საკუთარ თავს ხედავს. არც ის, როცა ეს ორეული დედნის ნებისმიერ მოძრაობას ზუსტად იმეორებს. ახლა მკითხველს ვთხოვ, წამით მოუხმოს ფანტაზიას და წარმოიდგინოს, რომ "რუსთავი 2"-ია, სარკის წინ დგას და შიგ ორეულის ნაცვლად "მზეს" ხედავს.

მას მერე, რაც ეს ექსპერიმენტი საკუთარ თავზე ჩავატარე, ეკას კვალდაკვალ ინგას გაქრობა სულაც აღარ მომჩვენებია უცნაურად. ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, თუ შენი ექსპერიმენტი ასეთივე შედეგით დასრულდა, მაშინ ყველაფერი რიგზეა.

დაბოლოს. არ მინდოდა, მაგრამ ვითარებამ მაიძულა. ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, ყვავი ნეხვში იჯდა და ფრთებს არიდებდაო. ჩვენს ყოფას რომ ვუყურებ, სულ ის ყვავი მახსენდება. არ გამოდის ყელყელაობა და რა ვქნა, არ გამოდის ეს ოხერი ყველაფერი ჩქარა და ერთდროულად. ქურდად ქცეული ლამის მთელი ქვეყანა ერთ დღეში მოპარვას ვერ გადაეჩვევა; ორი საუკუნე რუსის ხელში შემყურე, ერთ დღეში საკუთარ თავს ვერც მიხედავს და ვერც არჩენს. დრო და საკუთარ თავზე ვალდებულებების აღებაა საჭირო. გიგა ბოკერიას, თინათინ ხიდაშელს, ხელისუფლების რაღაც ნაწილს, თვით პრეზიდენტსა და მათნაირებს შეუძლიათ და აღებულიც აქვთ ასეთი ვალდებულებები. სხვებს ან არ შეუძლიათ, ან არ სურთ. ვისაც არ შეუძლია, უნდა მოინდომოს და შეიძლოს, ვისაც არ სურს, სხვა გზა არ არის, ის ძალით უნდა მოაქციო ამ ვალდებულებების ჩარჩოში. ის ავადსახსენებელი ავტოკრატიისა და დიქტატურის ლანდებიც მაშინ გამოდიან ასპარეზზე, როცა დემოკრატიის ცნებას სიტყვა "ვალდებულებას" ჩამოაცილებენ ხოლმე. ისე კი, თავისუფალს, ადამიანი იქნება თუ ერი, ქაღალდის დიქტატურის არ ეშინია, სულ ერთია, ორგანული კანონი ერქმევა ამ ქაღალდს თუ კონსტიტუცია.

ერთი მაკვარანცხი აზრი მომივიდა თავში. უახლოეს მომავალში ჭკვიან ადამიანებთან ვაპირებ ამ მოსაზრების შემოწმებას. ახლა კი მოახლოებული ავტოკრატიისა თუ დიქტატურის მოლოდინში მაინც გავუმხელ მკითხველს – რა ვიცი, მექნება კი მომავალ სამშაბათს ამის საშუალება?

მოკლედ, თანდათან ვრწმუნდები, რომ რაც უფრო მეტ უფლებებს გაიფორმებს ხელისუფლება, მით უარესი მისთვის. იმიტომ რომ, წერია თუ არ წერია, შესაბამისად იზრდება მოვალეობებიც. ამას კანონი არ სჭირდება, ეს ცხოვრების კანონია.

# მაკდონალდსი ხუთი წლის იუბილეზე საუკეთესო ხარისხის პროდუქტისა და მომსახურებისთვის დააჯილდოეს

თამარ დვალი

*ხუთი წლის წინ რუსთაველის გამზირზე, ძმები კაკაბაძეების ქუჩის პირველ ნომერთან, დილიდანვე დიდი რიგი იდგა. ცნობისმოყვარე ქართველები ახალი ტიპის რესტორნის ნახვას ცდილობდნენ. დღეს საქართველო იმ 130 ქვეყანას შორისაა, სადაც მაკდონალდსს თავისი რესტორნების ქსელი აქვს. მთელ მსოფლიოში მაკდონალდსის მთავარი ღირებულებაა მაღალი ხარისხი, სწრაფი მომსახურება და სისუფთავე. საქართველოში მაკდონალდსმა თავის 5 წლის იუბილეზე უამრავ საერთაშორისო სერთიფიკატს კიდევ ერთი, ქართული "ხარისხის ნიშნის" სერთიფიკატი შემატა, რომელიც მას საუკეთესო ხარისხის, მომსახურებისა და მენეჯმენტისთვის მიენიჭა.*



ჟენევაში თენგიზ კაპანაძეს ოქროს კატეგორიის სერთიფიკატით აჯილდოებენ.

### მაკდონალდსის შექმნის ისტორია

ყველაფერი კალიფორნიის შტატის ქალაქ სან ბერნარდინოში დაიწყო. 1948 წელს ძმებმა მაკ და დიკ მაკდონალდსებმა მიაგნეს წარმატების იმ რეცეპტს, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს. მათ სავსებით სწორად იფიქრეს, რომ შეზღუდული მენიუს, დაბალი ფასებისა და სამზარეულო პროცესის სისტემატიზაციის გზით შეძლებდნენ შედარებით მცირე დროში მეტი მომხმარებლის მომსახურებას. 1954 წელს, როდესაც რეი კროკი ეწვია ძმებ მაკდონალდსებს, იგი გააოცა იმან, თუ რა სწრაფად და ხარისხიანად ახერხებდნენ ძმები უამრავი მშიერი მძღოლის მომსახურებას. მანქანები ჩერდებოდნენ, მომხმარებლები იძენდნენ საკვებ პროდუქტებს და იმ წამსვე ტოვებდნენ იქაურობას.

რეი კროკმა გააკეთა სავსებით ლოგიკური დასკვნა: "ადამიანებს ესაჭიროებათ ხარისხი, რაც გულისხმობს ხარისხიან, მაგრამ, პირველ ყოვლისა, სწრაფ მომსახურებას. ისინი ცდილობენ, ალტერნატივა მოუძებნონ კვების ტრადიციულ წესებსა და მეთოდებს.

რეი კროკმა მის მიერ დანახულ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, გააფორმა კონტრაქტი ძმებ მაკდონალდსებთან, რითაც მას საშუალება მიეცა, გამოეყენებინა კომპანიის სახელი და ძმების მიერ აღმოჩენილი ვაჭრობის სისტემა. ერთი წლის შემდეგ მან ძმების მუშაობის პრინციპები დანერგა საკუთარ რესტორანში, რომელიც გაიხსნა 1995 წელს დეს ფლეინესში, ილინოისში.

### მაკდონალდსი საქართველოში

სან მარინო, საქართველო და აზერბაიჯანი - ეს ის სამი ქვეყანაა, რომელიც 1999 წელს მაკდონალდსის დიდ ოჯახში გაწევრიანდა. იმავე წელს მაკდონალდსის ქსელს მსოფლიო მასშტაბით კიდევ 1.790 რესტორანი შეემატა. წლეულს მაკდონალდსის დიდ ოჯახს მიემატება სომხეთიც, რომელსაც საქართველო გაუწევს კოორდინაციას. საუბარია მმართველობაზე, ანუ იქ ჩავა ჩვენი მენეჯმენტი და დააფუძნებს "know how"-ს. მაკდონალდსის წარმატების საფუძველი მაღალი ხარისხი, სწრაფი მომსახურება და კარგი გარემოა.

ხუთწლიანმა მუშაობამ დაამტკიცა, რომ მაკდონალდსის საქართველოში შემოსვლამ გაამართლა. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა მაკდონალდსის საუკეთესო შენობათა კრებულში შედის. ეს მისმა არქიტექტურულმა ფაქტორმა და



მაკდონალდსის ხუთი წლის იუბილეზე.

ინტენსიურად გამოყენებულმა ქართულმა ელემენტებმა განაპირობა.

"ნაკლები პომპეზურობა და მაღალი ხარისხის მომსახურება" – ასეთი დევიზით შეხვდა ხუთი წლის იუბილეს მაკდონალდსი. საგანგებოდ ამ დღისთვის აქ წამახალისებელი აქცია მოეწყო. ყოველი მომხმარებელი, რომელიც happy meal-ს შეიძენდა, დამატებით კიდევ ერთ საჩუქარს იღებდა. დილის ცხრა საათიდან საღამოს თორმეტ საათამდე მაკდონალდსი შეუსვენებლად ემსახურება მომხმარებლებს. პერიოდულად კი დიდ სიურპრიზებს სთავაზობს. რამდენიმე დღეა, მაკდონალდსში ლათინური დღეები დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მენიუში გაჩნდა ახალი მექსიკური ჩიქენ-მაკმექსი.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში მაკდონალდსთან დაკავშირებით კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა. შედგა საექსპერტო კომისია, რომელიც პროფესიონალებითა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. შემოწმდა მაკდონალდსის ხარისხის მენეჯმენტი, მომსახურება და პროდუქცია, რის შემდეგაც ფონდ "ქართული ხარისხის" საექსპერტო კომისიამ დაადგინა, რომ მაკდონალდსის რესტორნებს საუკეთესო ხარისხისა და მომსახურებისთვის დამსახურებულად მიენიჭოს "ხარისხის ნიშანი". **"პროცედურა, რომელიც ჩვენი ფონდის მიერ ჩატარდა, არ იყო ერთჯერადი შემოწმება. გარკვეული დროის განმავლობაში ხდებოდა სამომხმარებლო იმიტაციები, ანუ ჩვენს მიერ მივლენილი ადამიანები იძენდნენ პროდუქციას და აკვირდებოდნენ მომსახურებას. მოვიწვიეთ სპეციალისტები, რათა ჩატარებულიყო ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზი არა მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომლებიც მენიუშია შეტანილი, არამედ იმ ადგილებისაც, სადაც ინახება, მზადდება და იყიდება პროდუქცია. აქ ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზეა. დასკვნა რამდენიმე დღით ადრე დაიწერა, მაგრამ დაბადების დღეს დავამთხვიეთ და სრულიად დამსახურებული საჩუქრით მოვედით. ამ სერთიფიკატით ვადასტურებთ, რომ ისინი მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ნეტა ასეთი დონის ობიექტები მრავლად იყოს საქართველოში, "** – განაცხადა "ქართული ხარისხის" ფონდის პრეზიდენტმა გიგა კუჭუხიძემ.

მაკდონალდსში ხარისხის, უსაფრთხოებისა და მომსახურების კონტროლი უმაღლეს დონეზეა. ყველასთვის საყვარელ ჰამბურგერსა და ჩისბურგერში გამოიყენება უმაღლესი ხარისხის საქონლის ხორცის მკერდის ნაწილი, რომელიც უნგრეთიდან შემოდის. მას ევროპის სხვადასხვა ანალიტიკურ ცენტრსა და შიდა ლაბორატორიებში უტარდება ტესტირება. შეიძლება ცოტა ხანში ქართველმა მომხმარებელმა მაკდონალდსის მენიუში ქართული პროდუქტიც აღმოაჩინოს. ამჟამად ხუთი-ექვსი სახის პროდუქტია წარდგენილი და თუ სისტემას ხარისხობრივად მოერგო, მაშინ ეს პროდუქტები მაკდონალდსის რესტორნებში დაინერგება.

**"ქართულ სამზარეულოს არანაირ კონკურენციას არ ვუწევთ, არამედ ალტერნატიულ კვების საშუალებას ვთავაზობთ. ვცდილობთ, ქსელში ქართული საამქროები ჩავრთოთ. ფუნთუშას ვიღებთ თემქის პურკომბინატის ბაზაზე არსებული "სოტეს" ფირმიდან, რომელიც მაკდონალდსის პარალელურად დაარსდა. რძის პროდუქტებს "სანტე" გვაწვდის. ჩვენთან კოკა-კოლაც ქართულია. იმისთვის, რომ მომხმარებელმა გამუდმებით ცხელი პროდუქცია მიიღოს, მას 10 წუთზე მეტ ხანს არ ვაჩერებთ, "** – გვითხრა მაკდონალდსის აღმასრულებელმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ.

დაარსების დღიდან მაკდონალდსს უამრავი საქველმოქმედო აქცია აქვს მოწყობილი. მან დააფინანსა რამდენიმე კონცერტი, სპორტული თუ კულტურული ღონისძიება, დაეხმარა უპატრონო ბავშვთა სახლებს.

# ლადო ჭიპაშვილის მხარდამჭერთა შეკრება

*გუშინ საბურთალოს სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის დარბაზში ლადო ჭიპაშვილის მხარდამჭერები შეიკრიბნენ და საქართველოს პრეზიდენტის სახელზე მიმართვა მიიღეს. ისინი მიხეილ სააკაშვილს სთხოვენ, რომ ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე ლადო ჭიპაშვილი დანიშნოს. წერილი, რომელსაც მთელმა დარბაზმა მოაწერა ხელი, დღესვე შევა კანცელარიაში.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ლადო ჭიპაშვილის მხარდამჭერები მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე სხვა კანდიდატურების განხილვაც დაიწყეს, თუმცა, ამის შესახებ, ჯერჯერობით, მხოლოდ არაოფიციალური ინფორმაცია არსებობს. ამასთან დაკავშირებით, ექიმთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ ზედიზედ გამართა ორი პრესკონფერენცია და სხვა კანდიდატურებთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა.

ამას მოჰყვა პრესით გავრცელებული ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელშიც უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა ლადო ჭიპაშვილის სახელი.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი გუშინდელი შეკრება კი მთლიანად ლადო ჭიპაშვილის კანდიდატურას მიეძღვნა. გამომსვლელები აღნიშნავდნენ, რომ ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე დასახელებულ კანდიდატურებს შორის, მათი აზრით, ერთადერთი ღირსეული ლადო ჭიპაშვილია. მათი თქმით, როცა ექიმებს უჭირდათ, მხოლოდ ლადო ჭიპაშვილი ამოუდგა მხარში.

დარბაზში მყოფ ორასზე მეტ ექიმს მიმართვის ტექსტი გააცნო პროფესორმა დავით თელიამ. ეს ის ტექსტია, რომელიც პრესით გამოქვეყნდა და რომელსაც რედაქციაში მიტანამდე 50 ექიმი აწერდა ხელს. შემდეგ 11-მა მათგანმა სიიდან საკუთარი გვარი ამოაღებინა. დავით თელიას განცხადებით, ამის მიზეზი იყო მუქარანარევი ზარები ჯანდაცვის სამინისტროდან. დარბაზი დაინტერესდა, თუ ვინ და რატომ ამოიღო სიიდან საკუთარი სახელი, მაგრამ, გარკვეული მოსაზრებების გამო, დავით თელიას ეს გვარები არ დაუსახელებია.

დარბაზის ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს "24 საათი", რომელმაც რამდენიმე ექიმს ერთადერთი კითხვით მიმართა: **რატომ ამოიღეთ სიიდან საკუთარი გვარი?**

პროფესორი ფრიდონ თოდუა: **"წერილი არ მქონდა წაკითხული და არ ვიცოდი, რომ ეს კონკრეტული პიროვნების მხარდამჭერთა მიმართვა იყო. ვფიქრობ, ჩემი საქმე არ არის, ვის დანიშნავს პრეზიდენტი მინისტრად, თორემ სულაც არა ვარ ლადოს წინააღმდეგი. ის ჩემი მეგობარია, ვიცნობ როგორც პროფესიონალს და კარგ ადამიანს."**

პროფესორი გოგი ნანეიშვილი: **"მე მითხრეს, რომ წერილი პერსონალიებს არ ეხებოდა და იყო ზოგადი მოთხოვნები მომავალი მინისტრის პროფესიონალიზმისა და მაღალკვალიფიციურობის აუცილებლობაზე, რასაც დავეთანხმე. მაგრამ, როცა გავიგე, რომ საქმე სხვაგვარად იყო, გვარი ამოვაღებინე. ჩემი პრინციპია: პერსონალიებს მხარს არ ვუჭერ და არც ის მიმაჩნია სწორად, პრეზიდენტს ვუკარნახო, როგორ ჩამოაყალიბოს მინისტრთა კაბინეტი."**

პროფესორი ბაადურ მოსიძე: **"მე გვარი იმიტომ ამოვაღებინე, რომ არ ვეთანხმები აბზაცს, რომელშიც წერია მანკიერი მმართველობისა და ღრმა კრიზისის შესახებ. აქამდე საქმე იმიტომ მივიდა, რომ ფული არ იყო. უფულოდ კი საქმეს ვერავინ გააკეთებს, მათ შორის, ვერც ლადო ჭიპაშვილი. ისე, თუ გაინტერესებთ, ლადო ჭიპაშვილის კანდიდატურას მე მხარს ვუჭერ."**

პროფესორი გიორგი ხეჩინაშვილი: **"გუშინ ექიმთა დარბაზიდან დამირეკეს და მკითხეს, დავუჭერდი თუ არა მხარს იმას, რომ ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე განხილული ყოფილიყო საზოგადოებისთვის მისაღები კანდიდატურები. ცხადია, ამ პოზიციას მხარს ვუჭერ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს პერსონიფიცირებასთან. მე კი მიმაჩნია, რომ მინისტრის დანიშვნა მთავრობის პრეროგატივაა.**

**ამის გარდა, კატეგორიულად არ ვეთანხმები იმას, რომ ჯანდაცვაში არის მანკიერი მმართველობა და ღრმა კრიზისი. ამის გამო ამოვიღე ჩემი გვარი, თორემ ჭიპაშვილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით."**

პროფესორი მერაბ კილაძე: **"ლადო ჭიპაშვილი ჩემი მეგობარია, მოსკოვიდან ვიცნობ, უკეთილშობილესი, უწესიერესი ადამიანია და მის კანდიდატურას ორივე ხელით ვუჭერ მხარს, მაგრამ არ ვეთანხმები იმას, რომ ჯანდაცვაში არაფერი გაკეთებულა. ამას ვერ ვიტყვი თუნდაც იმიტომ, რომ ევროპული დონის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, სადაც მე ვმუშაობ, სწორედ რეფორმის შედეგია."**

პროფესორი მერაბ დვალი: **"წერილი წაკითხული არ მქონდა და როცა გავიგე, რომ ლაპარაკია ჯანდაცვაში მანკიერ მმართველობაზე, ჩემი გვარი ამოვაღებინე. ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ახლანდელი მინისტრი ამირან გამყრელიძე დიდი პროფესიონალი, თავისი საქმის ღრმა მცოდნე და კარგი ორგანიზატორია.**

**აი, ეს ფრაზა რომ არ ყოფილიყო, მე, რასაკვირველია, ლადო ჭიპაშვილის მომხრე ვიყავი, იმ კანდიდატურების ფონზე, რაც დღეს განიხილება."**

# 20 ათასი - ყოფილ სიკვდილმისჯილს

20 ათასი ლარი – ეს ის თანხაა, რომლის გადახდაც უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე ირაკლი დოკვაძისთვის სახელმწიფოს დააკისრა.

"მხედრიონის" ლიდერის, ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ბრალდებით გასამართლებული (შეგახსენებთ, ტერაქტს ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის - მცირეწლოვანი ბავშვიც), თავის დროზე სიკვდილმისჯილი, შემდეგ, პრეზიდენტის ბრძანებულებით სასჯელშემსუბუქებული, მოგვიანებით კი ვადამდე ადრე გათავისუფლებული ირაკლი დოკვაძე რეაბილიტაციას და სახელმწიფოსგან საკმაოდ სოლიდურ თანხას – 10 მილიონ ევროს (ლარებში) ითხოვდა.

გუშინდელ პროცესზე პროკურატურამ პოზიცია დათმო და გამოძიების ის დარღვევები აღიარა, რომელთა გამოც პროკურორ კახა მაჭავარიანის თქმით, ირაკლი დოკვაძემ ორწელიწადნახევარი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა.

**"ჩემ მიმართ ადგილი ჰქონდა არა მარტო საქართველოს კანონმდებლობის სასტიკ დარღვევას, არამედ საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფას. ჩემ მიმართ განხორციელდა სისხლის სამართალწარმოების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) უკანონო ქმედებები, რის გამოც მე მივიღე ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანი. ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ თითქმის სამი წლის განმავლობაში ვიჯექი სიკვდილმისჯილთა საკანში და კარის ყველა შემოღებაზე ველოდებოდი სიკვდილს. დიდი პალატის დღევანდელი გადაწყვეტილების შემდეგ მე ბრძოლას საკუთარი თავისთვის არ შევწყვეტ, მივმართავ ევროპის სასამართლოს",** - აცხადებს ირაკლი დოკვაძე. მისივე განმარტებით, მოთხოვნილი თანხის სიდიდე საქმისათვის სერიოზულობის შესაძენად იყო გამიზნული. **"ამ ფულს არ ავიღებ, არ მჭირდება. მთავარია, სიმართლე გაირკვეს",** - ასეთ კატეგორიულ განცხადებებს აკეთებდა გუშინ უზენაეს სასამართლოში ყოფილი სიკვდილმისჯილი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი პალატის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი დოკვაძისთვის სახელმწიფოს მიერ ფულის გადახდის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, პროკურატურის წარმომადგენელი კი გადასახდელ თანხას მხოლოდ 5 ათასი ლარით საზღვრავდა, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მართლმსაჯულებასა და სახელმწიფოზე განაწყენებული მომჩივანის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სახელმწიფოსგან მას 20 ათასი ლარი არგუნა.

ირაკლი დოკვაძე არ გამორიცხავს, რომ მისი საქმის ხელახალი გამოძიების საკითხი დასვას. ის იმ პირთა დასჯასაც მოითხოვს, ვინც მის ბრალეულობას წლების წინ სამართალწარმოების სხვადასხვა ინსტანციაში იხილავდა.

*24 საათი*

# სოხუმში წინასწარ იცოდნენ მოსკოვის ტერაქტის შესახებ

პირველი გვერდიდან

საკადრო ცვლილების მოლოდინში მყოფმა ვალერი ხაბურძანიამ კი მინისტრის კაბინეტის დატოვებამდე ბოლო ხმაურიანი საქმე გახსნა. უშიშროების მინისტრმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე სენსაციური განცხადება გააკეთა.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს დადგენისა და ძებნის ცენტრის თანამშრომლებმა 28 წლის ნაზირ ნაიდაბოროვი დააკავეს, რომელიც წარმოშობით ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის სოფელ შასლივოედანაა. უშიშროების მინისტრის ინფორმაციით, მას გასულ წელს რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან პრობლემები შეექმნა, რის გამოც დეკემბრის თვეში ფსოუს საზღვარი გადაკვეთა და აფხაზეთს შეაფარა თავი.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ნაიდაბოროვი აფხაზ სეპარატისტთა სპეცსამსახურებმა გადაიბირეს და სამი კვირის წინ ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სპეცდავალებით შემოაგზავნეს. არძინბას სპეცსამსახურის დავალებით, ნაიდაბოროვი, რომლის ფსევდონიმიც იყო "ბალყარი", უნდა ჩასულიყო პანკისის ხეობაში, გაცნობოდა ადგილობრივ ჩეჩნებს, რომელთა ვინაობაც ზუსტად უნდა დაემახსოვრებინა, რის შემდეგაც უნდა ჩამოსულიყო თბილისში და მოსკოვის ტერაქტის წინა დღეს - 5 თებერვალს უნდა მისულიყო რუსეთის საელჩოში, სადაც ФСБ-ს წარმომადგენელთან შეხვედრას მოითხოვდა. ნაიდაბოროვს ФСБ-ს თანამშრომლისთვის "საიდუმლო" ინფორმაციის მიწოდება ევალებოდა. "ბალყარის" შეტყობინების მიხედვით, რუსეთში განხორციელდებოდა ორი ტერაქტი - ერთი მოსკოვში, ხოლო მეორე - სტავროპოლში მდებარე ერთ-ერთ დიდ ბაზრობა "ლიუდმილაზე". თანაც, "ბალყარს" შემსრულებელთა ვინაობაც - პანკისის ხეობაში მცხოვრებ ლტოლვილ ჩეჩენთა გვარები უნდა დაესახელებინა. **"ჩეჩნების ვინაობის დასახელების შემდეგ, ანუ, აფხაზეთის სპეცსამსახურების გეგმის სისრულეში მოყვანის შემდეგ, შეიქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვში განხორციელებული ტერაქტი პანკისის ხეობაში დაიგეგმა. ნაიდაბოროვი მივიდა კიდეც საქართველოში რუსეთის საელჩოში, თუმცა გეგმა ვერ განხორციელდა. მე არაერთხელ მითქვამს, რომ არსებობს აფხაზეთიდან ტერორიზმის ექსპორტის საშიშროება, ამის დასტური ნაიდაბოროვის დაკავებაცაა,"** – განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ, რომლის თქმითაც, დადასტურდა ფაქტი, რომ მოსკოვის მეტროში 6 თებერვალს მომხდარი ტერაქტის შესახებ აფხაზეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებისათვის წინასწარ იყო ცნობილი და მათ ამ პროცესებში საქართველოს გარევა სურდათ.

უშიშროების მინისტრის განცხადებით, ბოლო წლების მანძილზე ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართულმა სპეცსამსახურმა ჯაშუში დააკავა.

"ბალყარმა", რომელიც ამჟამად უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება, აღიარებითი ჩვენება უკვე ჩააბარა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლებს. ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, გარდა აღიარებისა, უშიშროების სამინისტროს სხვა დოკუმენტაციაც მოეპოვება. საუბარია იმ პირების სავიზიტო ბარათებზე, რომელთაც ჯაშუში სპეცდავალების შესრულებისას უკავშირდებოდა.

# ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

*"მიესაჯოს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი მოიხადოს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში", - ასეთი განაჩენი გამოუტანა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ქოიავამ საქმის ოთხთვიანი განხილვის ბოლოს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს უფროსის, ლევან ტაბაღუას მკვლელობაში ბრალდებულს, ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსს, თავის დროზე თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის დაცვის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს. მოსამართლის გადაწყვეტილებითვე, მსჯავრდებულს მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ 120 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. ამით მოსამართლემ დაზარალებულის, ლევან ტაბაღუას მეუღლის სამოქალაქო სარჩელი, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი



*განაჩენს არც ერთი მხარე არ ეთანხმება.*

განზრახ მკვლელობა ანგარების მიზნით – ასეთი გახლდათ ლევან ტაბაღუას გაუჩინარების შემდეგ მოწმის სტატუსით დაკითხვაზე საკუთარი ფეხით მისული, მოგვიანებით კი მკვლელობაში ეჭვმიტანილად ცნობილი მიხეილ კერესელიძის ბრალდება, რომელმაც ტაბაღუას მკვლელობა თავიდანვე აღიარა და სამართალდამცველები ჯერ საბურთალოზე, ფიზიკის ინსტიტუტთან მიიყვანა, სადაც მასსა და ტაბაღუას შორის მომხდარი შელაპარაკება სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა, შემდეგ - ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე, სადაც მან ტაბაღუა სიცოცხლეს გამოასალმა, ბოლოს კი კერესელიძემ სამართალდამცველები მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისის მიმდებარე ტყეში წაიყვანა და ის ადგილი აჩვენა, სადაც კვალის დაფარვის მიზნით, ტაბაღუას გვამი მიწაში ჩამარხა. მას ისიც არ დაუმალავს გამოძიებისთვის, რომ მკვლელობის შემდეგ, სიმამრის სახლიდან წაღებული ნიჩაბი და წერაქვი, მანქანის სისხლიანი შალითები და მკვლელობის სხვა მტკიცებულებები მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან გადაყარა. ერთი სიტყვით, ისევე, როგორც გამოძიების დროს, კერესელიძემ სასამართლო პროცესზეც აღიარა ჩადენილი მკვლელობა, თუმცა აცხადებდა, რომ მკვლელობის ჩადენის მომენტში "ყველაფერს შეუგნებლად და გაუცნობიერებლად აკეთებდა".

თუმცა, კერესელიძეს სასამართლო პროცესზე წამოსცდა, რომ ეგრეთ წოდებული "კონტროლკა" გააკეთა. **"სამხედრო სპეცმომზადება მქონდა გავლილი და გასროლა ჩვევაში მაქვს",** - განაცხადა დაკითხვისას განსასჯელმა. სხვათა შორის, საქმეში იმ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის პარალელურად, რომელიც კერესელიძის შერაცხადობას ადასტურებს და ამტკიცებს, რომ მკვლელობის ჩადენისას ის აფექტურ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, განსასჯელის ადვოკატების მოთხოვნით ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაც დევს, რომელიც საპირისპიროს ირწმუნება. **"საქმე გვაქვს პროფესიულ აფექტთან",** - ასეთი გახლდათ ალტერნატიული ექსპერტიზის შინაარსი, რომელიც მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას არ გაიზიარა. **"ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები დამაჯერებლობას მოკლებულია. მცნება – პროფესიული აფექტი არ არსებობს",** - ასე დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი ქოიავამ, რომელმაც ანგარებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა გადააკვალიფიცირა და ანგარების მოტივი გამორიცხა. **"კერესელიძემ განზრახ მკვლელობა განაწყენების ნიადაგზე ჩაიდინა",** - ასეთია განაჩენი.

"24 საათი" უკვე წერდა იმ მოწმეთა ჩვენებების შესახებ, რომელთაგან ზოგი ამბობდა, რომ მოკლულს მკვლელის ვალი ჰქონდა, ზოგი კი - პირიქით. ეს საკითხი, ისევე, როგორც გამოძიებისას, სასამართლოზეც დაუდგენელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ გამორიცხა მოსამართლემ მკვლელობის მოტივად ანგარება.

ის, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში ტაბაღუა და კერესელიძე მართლაც საერთო ბიზნესს აწარმოებდნენ და ერთმანეთთან ახლობლობა ჰქონდათ, ასევე, ის, რომ ტაბაღუა იარაღს არ ატარებდა, პროცესზე დადასტურდა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ მოწმედ დაკითხვისას განაცხადა, რომ კერესელიძე ტაბაღუას სწორედ მან გააცნო და შემდეგ მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თავდაპირველი ვერსია, რომ ლევან ტაბაღუა მიხეილ კერესელიძემ მისივე იარაღით მოკლა, კერესელიძისთვის გამოტანილი განაჩენით საბოლოოდ გამოირიცხა. **"მოწმეთა ჩვენებებისა და ჩატარებული ექსპერტიზების საფუძველზე დადგინდა, რომ ტაბაღუა მისთვის განკუთვნილ სამსახურებრივ იარაღს არ ატარებდა და ცეცხლსასროლი იარაღი არც მკვლელობის დღეს ჰქონდა თან. ტაბაღუამ ის უკანონოდ შეძენილი იარაღიდან სამჯერ გასროლით მოკლა",** - ასეთია ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძისთვის გამოტანილი განაჩენი, რომლის გასაჩივრებასაც ორივე მხარე აპირებს. გარდაცვლილის მეუღლე საკასაციო პალატას იმ დოკუმენტის მტკიცებულებად მიღებას მოსთხოვს, რომელშიც გარკვევით წერია – **"5 ათასი დოლარი მიხეილ კერესელიძეს",** - დაზარალებულის თქმით, ეს სწორედ ის დოკუმენტი გახლავთ, რომელიც გარდაცვლილის ხელით არის დაწერილი და რომელიც ადასტურებს, რომ კერესელიძეს ჰქონდა მოკლულის ვალი და არა – პირიქით. მსჯავრდებულის ადვოკატი კი საკასაციო პალატას იმ ალტერნატიული ექსპერტიზის გათვალისწინებას მოსთხოვს, რომლის მიხედვითაც ექიმი-ფსიქოლოგები ადგენენ, რომ მკვლელობის ჩადენის მომენტში ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ კერესელიძე აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

# საქართველო მზის ენერგეტიკაში შეიძლება მსოფლიო ლიდერი გახდეს...

## მოსამართლის არაპროფესიონალიზმის გამო სერიოზული პროექტი გაჩერდა, ხოლო გამომგონებელი დაზარალებულია

*1978 წელს დიდმა ამერიკელმა მეცნიერმა რ. ვინსტონმა თავის წერილში განაცხადა, რომ 2-ჯერ გადააჭარბა მზის სხივების კონცენტრაციის თეორიულ ზღვარს და იქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალწლიანი დაფინანსებისა, მისი ხელმძღვანელობით მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი წინ ვეღარ მიიწევს და გამოთქვა იმედი, რომ გამოჩნდებიან სხვა მეცნიერები, რომლებიც მეტ წარმატებას მიაღწევენ. ბატონი ვინსტონი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს მოხდებოდა ისეთ პატარა და ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, და არა მილიონებით დაფინანსებულ ლაბორატორიაში, არამედ - ჩვენი რიგითი მოქალაქის ბინაში.*

ნათია აბაშიძე

1999 წელს საქართველოს საპატენტო ბიუროში შევიდა განაცხადი მზის სხივების კონცენტრატორის დაპატენტებაზე (ავტორი ალექსანდრე მოსეშვილი), რომელიც ამერიკელი მეცნიერის მიერ მიღებულ შედეგს არათუ აჭარბებდა, არამედ, პრაქტიკულად, უსაზღვრო კონცენტრაციის საშუალებას იძლეოდა. ეს არა მარტო დიდი მეცნიერული ღირებულების ფაქტი იყო, არამედ დიდი პრაქტიკული შედეგების მიღწევაც შეუძლია. ამ განცხადების საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ამ ოპტიკური ხელსაწყოს დახმარებით მზის ბატარეებით მიღებული ელექტროენერგიის გაიაფება, დაახლოებით, 400 პროცენტით არის შესაძლებელი. ეს, რა თქმა უნდა, სენსაციაა, მაგრამ თავის დროზე ეს ფაქტი არ გახმაურებულა. ქართველი მეცნიერის გამოგონება, რომელიც მან ყოველგვარი დაფინანსების გარეშე საკუთარ ბინაში გააკეთა, იმითაც სჯობდა ამერიკულს, რომ იგი გაცილებით კომპაქტური და იაფია.

მოსეშვილის გამოგონების დანერგვას შეუძლია იაფი და სუფთა ელექტროენერგიით უზრუნველყოს მსოფლიო, სერიოზულად შეამციროს გარემოს დაბინძურების პროცესი, დაწვას გადაარჩინოს კოლოსალური რაოდენობის ნავთობი და ქვანახშირი - უძვირფასესი ნედლეული ქიმიური წარმოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოსეშვილის გამოგონების გამოყენებით კოსმოსში, ძლიერი ლაზერების ენერგომომარაგებაში და ნაწილაკურ ფიზიკაში გაცილებით მეტი შედეგების მიღწევა შეიძლება.

ძნელი შესაფასებელია დადებითი შედეგების მასშტაბები გამოგონების დანერგვის შემთხვევაში. ამ თამამ განაცხადს ზურგს უმაგრებს მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია – WIPO-ს ჰააგისა და მიუნხენის ექსპერტების მიერ მოსეშვილის საერთაშორისო განაცხადის - "სხივური ენერგიის კონცენტრატორი"-ს მრავალთვიანი შესწავლის შემდეგ მიღებული პასუხები: საუკეთესო კატეგორია, ტექნიკაში წინგადადგმული ნაბიჯი და წარმოებაში დანერგვადობა; ავტორი კიდევ ერთხელ მადლობას უხდის საგანმანათლებლო ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიის" თავმჯდომარეს ბატონ სოსო ცისკარიშვილს საერთაშორისო ექსპერტიზისათვის საჭირო თანხების მოპოვებისათვის და ყველა იმ კერძო პირს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გამოგონების საერთაშორისო არენაზე გატანას.

ადვილი წარმოსადგენია, რა შემოსავლები შეეძლო მოეტანა საქართველოსათვის ამ გამოგონების დანერგვას, რომ არა ერთი გარემოება – გამომგონებელს, სასამართლოს დახმარებით, მისივე დაუსწრებლად და საქმის განუხილველად პატენტს ართმევენ.

ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ გამომგონებელმა საერთაშორისო განაცხადის "სხივური ენერგიის კონცენტრატორი"-ს საზღვარგარეთის ქვეყნებში დაპატენტებისათვის, კომპიუტერული და ფიზიკური მოდელების შექმნისა და სხვა თანამდევი პრობლემების დაფინანსებისათვის თანაპატენტმფლობელობა თანაბარი უფლებებით დაუთმო ვიოლინოების ოსტატ ლევან ცინცაძეს. საქმე ნამდვილად დაიძრა და გამოგონება დაპატენტდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

შეერთებულ შტატებში გამოგონების დაპატენტება და გამოგონებისადმი ამ ქვეყანაში აღძრული ინტერესი, რომელიც დასაწყისისათვის ერთი მილიონის შემოთავაზებაში გამოიხატა, გამომგონებლისათვის საბედისწერო გახდა; თანაპატენტმფლობელმა და პარტნიორმა ლევან ცინცაძემ გადაწყვიტა, ესარგებლა გამომგონებლის მძიმე ფინანსური მდგომარეობით და იურიდიული ხრიკების მეშვეობით, მისთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა დაებრალებინა, ზიანის ასანაზღაურებლად მისთვის სოლიდური თანხების გადახდა დაეკისრებინა და შემდეგ ამ თანხების სანაცვლოდ გარკვეული პროცენტი დაეთმობინებინა მისთვის. ამ გეგმის შესრულებით ცინცაძე გამოგონების თავის ნებაზე გამოყენების, ფაქტობრივად, შეუზღუდავ შესაძლებლობებს ხელში ჩაიგდებდა. გეგმა მზაკვრული იყო, მაგრამ ხელმოსაჭიდი - თითქმის არაფერი, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული გამომგონებლის ვალდებულებები - კომპიუტერული მოდელისა და მოქმედი მოდელის შექმნა - უკვე შესრულებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ გამომგონებელმა გადააჭარბა კიდეც თავის ვალდებულებებს, რამდენადაც სასამართლო საქმეში ცინცაძისვე წარმოდგენილი ხელწერილი არსებობს, სადაც პარტნიორები თანხმდებიან, იმ დროისთვის შექმნილი ლაბორატორიული მოდელით დაკმაყოფილდნენ. გამომგონებელმა თავისი ინიციატივით და ხარჯებით დაამთავრა მოქმედი მოდელი, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის დამფინანსებელი ლევან ცინცაძე ვეღარ აფინანსებდა მოქმედ მოდელს და სხვა თანმდევ ხარჯებს, რაც აგრეთვე ჩანს საქმეში წარმოდგენილ მასალებში.

ალბათ საინტერესოა, როგორ შეძლებდა ლევან ცინცაძე, რომელსაც თვითონ არ ჰქონდა შესრულებული თავისი ვალდებულებები, ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დიდი თანხები დაეკისრებინა მისთვის, ვინც ვალდებულებები გადაჭარბებითაც კი შეასრულა. სამწუხაროდ, შევარდნაძის პერიოდში საქართველოში ასეთი უსამართლობის განხორციელება შესაძლებელი აღმოჩნდა სასამართლოშიც კი, რომლის სახელწოდების ფუძე სამართლიანობაა. როგორც ჩანს, ლევან ცინცაძემ გადაწყვიტა, სასამართლოს საშუალებით თავისი წილის გასაზრდელად ფული არ დაეშურებინა; დაიქირავა ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი ადვოკატი სოსო ბარათაშვილი, რომელიც სასამართლოში საქმის წარმოების როგორც არსებით, ისე პროცესუალურ მხარეს კარგად იცნობს. ლევან ცინცაძე, ალბათ, ვარაუდობდა, რომ რადგან გამომგონებელს ფული არ ჰქონდა, იგი ძლიერ ადვოკატს ვერ აიყვანდა და მისი ადვოკატი საქმის მოგებას სასამართლო პროცესში გამომგონებლის მხარის დაშვებული შეცდომების გამოყენებით შეძლებდა.

ასე იყო თუ ასე, სარჩელი ალექსანდრე მოსეშვილის წინააღმდეგ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივზე ააგეს. საქმე განსახილველად საოლქო სასამართლოს მოსამართლეს ნონა ზარქუას დაეწერა. მოსარჩელის შუამდგომლობით გამომგონებელმა სასამართლოს წარუდგინა კომპიუტერული და ფიზიკური მოდელები, რაც სასამართლომ გადაუგზავნა დანიშნულ ექსპერტებს პატენტთან შესადარებლად; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ექსპერტებთან გადაიგზავნა არა ის პატენტი, რომელიც ცინცაძემ დააფინანსა, არამედ მოსეშვილის მიერ ადრე აღებული პატენტი. სხვა პატენტების გადაგზავნა არ შეიძლება შეცდომა ყოფილიყო, რადგან ცინცაძე თვითონ იყო შემკვეთი და მას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს პატენტრწმუნებულთან; ცინცაძის მიერ დაფინანსებული პატენტი ექსპერტიზაზე გადაგზავნილი პატენტისაგან განსხვავდება სახელწოდებითაც და ნომრითაც; ამას გარდა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულია საექსპერტიზო მასალა. ექსპერტებმა თავიანთ დასკვნაში აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი მოდელი არ შეესაბამება სასამართლოს მიერ გადაგზავნილ პატენტს, მაგრამ შესაძლოა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ პატენტს, რომელიც მათ არ მიუღიათ.

სასამართლოს ძირითად სხდომას გამომგონებელი ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო (მან სასამართლოს დროულად მიმართა სხდომის გადადების თხოვნით, შეიტანა შუამდგომლობა დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მოსამართლე ნონა ზარქუას მიუთითა კიდეც კანონი, რომლის მიხედვითაც, არასრული ექსპერტიზის შემთხვევაში დამატებითი ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს), მაგრამ მოსამართლე ნონა ზარქუამ არათუ არ გადადო სხდომა, არამედ გამომგონებლის საწინააღმდეგოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა – კერძოდ, დააკისრა ისეთი თანხები, რომლის გადახდასაც არ ეყოფა არათუ მოსეშვილის ქონება, არამედ ყველა მისი გულშემატკივრისაც. ყველაზე გამაოგნებელი კი ის არის, რომ მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა დაუდასტურებელი გარემოებებით, არადა, ამ დროს მაგიდაზე ედო მხარის მიერ ხელმოწერილი განცხადება - ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ დავესწრები და გთხოვთ, გადადოთო. ასევე მაგიდაზე ედო მხარის წერილობითი შუამდგომლობა, ექსპერტიზა არასათანადო პატენტით ჩაგიტარებიათ და გთხოვთ, განმეორებითი ექსპერტიზა დანიშნოთო. დაუსწრებელი გადაწყვეტილება პირდაპირ ხსნა იყო ცინცაძისათვის. სხდომა რომ გადადებულიყო და განმეორებითი ექსპერტიზა ჩატარებულიყო, ეს მისი სარჩელის უსაფუძვლობას გამოაჩენდა. ახლა კი, რაკიღა მისი მოპასუხე მხარე ავადმყოფობის გამო პროცესზე ვერ მივიდა, ცინცაძეს შანსი მიეცა, როგორმე, ამ ხარვეზიან პროცესუალურ ნიუანსს ჩასჭიდებოდა და საქმე არსებითი განხილვის გარეშე მოეგო. მოსამართლე ნონა ზარქუამ მას ეს შანსი არ დააკარგვინა. მოსამართლის ამ არამოტივირებული გადაწყვეტილების ნამდვილი მოტივი ჩვენთვის უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ გამომგონებელმა გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოსამართლე ნონა ზარქუამ არ ჩათვალა განხილვის ღირსად საქართველოსათვის ასეთი სასახელო და მთელი მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი საქმე და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

რა ამოძრავებდა მოსამართლე ნონა ზარქუას ასეთი დაუფარავი და აშკარა მიკერძოებისაკენ, ამას, ალბათ, შესაბამისი უწყებები გაარკვევენ; ამის იმედს იძლევა პრეზიდენტისა და დღევანდელი მთავრობის უკომპრომისო ბრძოლა უსამართლობასა და კორუფციასთან.

გამომგონებლის მიმართ აღძრული უსამართლო დავების შედეგად დაყადაღებულია პატენტები და შეჩერებულია გამოგონების კომერციალიზაციის პროცესები; არადა, ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ამ პროგრამების დაუყოვნებლივ ამოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კეთილდღეობას. ამ საქმის გარშემო შექმნილი გარემოებები მოითხოვს სახელმწიფოებრივ მიდგომას და სწრაფ რეაგირებას პრეზიდენტისა და მთავრობის მხრიდან.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

# რეკომენდაცია ხელისუფლებას

ეკა პირთახია
71-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**ქალაქის მერს**

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ჰიგიენა და სისუფთავე. სხვა ქუჩები არ ვიცი, მაგრამ მე-3 და მე-4 პლატოები ძლიერ დაბინძურებულია - მოედნები, გაჩერებები და სადარბაზოები ნაგვით არის სავსე. ქუჩებში ერთჯერადი ბოთლები, ცელოფანის პარკები, კონსერვის ქილები, ქაღალდები ყრია. როგორი შესახედავია?! თუმცა ეს მოსახლეობის ბრალია, მათ ინტერესში ხომ შედის, რომ ქალაქი სუფთა იყოს. მერმა კი ხელი უნდა შეუწყოს, რომ სანაგვე ბუნკერები, ურნები იდგეს და მანქანებმაც დროულად გაიტანონ ნაგავი. საქართველოს ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მიეცა და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ქალაქის მერმა და პრეზიდენტმა ყურადღება უნდა მიაქციონ თბილისს.

**ჯანმრთელობის მინისტრს**

დღეს საქართველოში მოშლილია ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხი. მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა, რომ იმკურნალოს. მოსახლეობის ნებისმიერი ფენისთვის შესაძლებელი უნდა იყოს ელემენტარული მკურნალობა. ჯანმრთელობის მინისტრმა ეს უნდა შეძლოს.

**განათლების მინისტრს**

ჩემი აზრით მე-9 კლასის შემდეგ ყოველ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ აირჩიოს, თუ რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს სწავლა. ამიტომ მე-9 კლასი უნდა დაიყოს ჰუმანიტარულ და ტექნიკურ კლასებად. მოსწავლეები უნდა დადიოდნენ ფორმით. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს, სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. ამიტომ ჩემი აზრით სკოლაში დამამთავრებელი გამოცდების ნიშნებით რომ უმაღლეს სასწავლებელში გვრიცხავდნენ, ძალიან პრაქტიკული იქნებოდა.

ნანა კიკნაძე
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**განათლების სამინისტროს**

სკოლაში უნდა იყოს გათბობა. დიდი სურვილი მაქვს, რომ მეცხრე კლასიდან ისწავლებოდეს ინფორმატიკა. ძალიან მინდა, რომ გვქონდეს თანამედროვე დიზაინით შექმნილი ფორმები, რადგან ყველას არა აქვს საშუალება, რომ მრავალფეროვნად და ლამაზად ჩაიცვას და თავი დამცირებულად არ იგრძნოს. დღეს მოსწავლეების პრობლემაა, რა ჩავიცვათ.

**ფინანსთა სამინისტროს**

ასეთი ხელფასებითა და პენსიებით ცხოვრება შეუძლებელია. უნდა იყოს შრომის რეალური ანაზღაურება, რომ ადამიანი არც გადასახადებს არ გაექცეს და თავიც ირჩინოს. მინიმალური ხელფასი 250 ლარი იყოს.

სახელმწიფოს ნებით უნდა აილაგმოს მათხოვრობა, ე.ი. სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალურად დაუცველი ადამიანები - ჯანმრთელები სამუშაო ადგილებით და ავადმყოფები და მოხუცები მზრუნველობით.

და მაინც, ვფიქრობ, რომ ხალხის ნების და მონდომების გარეშე ვერც მთავრობა და ვერც პრეზიდენტი ვერაფერს გააწყობს. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველოში მდგომარეობა გამოსწორდეს. მინდა დიპლომატი გამოვიდე და დღევანდელი რჩევა ჩემთვისაც გამოსადეგია. მე მჯერა, რომ ყველაფერი გამოსწორდება და შემდგომში ჩემი დიპლომატიური მოღვაწეობაც ამ საქმეში წვლილს შეიტანს.

ნინო სამუსევა
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**პრეზიდენტს**

თავდაპირველად, საქართველომ უნდა დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან. შემდეგ უნდა შეიქმნას ძლიერი ჯარი. უნდა დამყარდეს მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, მოისპოს ურთიერთმტრობა. ჩვენ აფხაზეთს თუ დავიბრუნებთ, მარტო საქართველოს კურორტების შემოსავალი გადაარჩენს და კრიზისიდან გამოიყვანს საქართველოს ბიუჯეტსა და ეკონომიკას.

მაგრამ ამჯერად, უნდა დარიგდეს ხელფასები, პენსიები, დახმარებები, მაგრამ ისეთი თანხით, რომ ადამიანმა შეძლოს ცხოვრება - მინიმალური თანხა 250 ლარი მაინც რომ იყოს.

ასევე მისახედია აჭარის პრობლემებიც. ძალიან დაძაბული ურთიერთობაა აჭარის ლიდერთან. უნდა გაირკვეს, როგორ დააგროვა აჭარის ლიდერმა დიდი ქონება. რა თქმა უნდა, აბაშიძეს არა აქვს უფლება ხალხს წაართვას თავისუფალი აზრის გამოხატვის ნება და არც იმის უფლება აქვს, რომ ხალხს იარაღი დაურიგოს.

ნინო ზედგინიძე
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**თბილისის მერიას**

თბილისში უამრავი პრობლემაა-ნაგავი, ავარიული და დანგრეული სახლები, ოღროჩოღრო გზები და სხვა მრავალი. ამაზე მერიამ უნდა იზრუნოს. უნდა შეუმსუბუქოს ქალაქის ცენტრს მოშორებული უბნების მოსახლეობას ტრანსპორტის პრობლემები და საერთოდ, საინტერესო და სახალისო გახადოს ქალაქში ცხოვრება.

ძალიან მომეწონა ახალი მთავრობის ქმედება, როდესაც მათ აიღეს გარე ბაზრობა. ეს ქალაქის გასუფთავების პირველი ნაბიჯი იყო. თუმცა მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე ვერაფერი ვერ გაკეთდება.

**განათლების მინისტრს**

განათლებაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. კარგად რომ ისწავლო, სწავლის პროცესი საინტერესო უნდა იყოს. განათლების სამინისტრომ უნდა გაატაროს შემდეგი ხასიათის რეფორმები: სწავლება საინტერესო ფორმით უნდა მიმდინარეობდეს, უნდა შემოიღონ ახალი საგნები, უფრო საინტერესო და საჭირო, სკოლებში უნდა ტარდებოდეს ისეთი კონკურსები, რომელიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენის საშუალებას მისცემს. მე ფორმების შემოღებასაც ვუჭერ მხარს - მოსწავლეები მოსწავლეებს გარეგნულადაც დაემსგავსებოდნენ. მასწავლებლებს კი , თუ არ მოუმატებენ, დროულად მაინც გადაუხადონ ხელფასი, რომ გაკვეთილების ჩატარების ხალისი ჰქონდეთ.

**ჯანმრთელობის მინისტრს**

კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ყველა ცენტრალურ ქალაქში შექმნის ერთ ისეთ საავადმყოფოს მაინც, სადაც გაჭირვებულ ადამიანს მკურნალობა შეეძლება. არ შეიძლება ადამიანს არ უმკურნალო იმის გამო, რომ გადახდა არ შეუძლია.

**ყველას ერთად**

უსახლკარო, უმუშევარ, უნარშეზღუდულ და მზრუნველობამოკლებულ ადამიანებზე მთავრობამ უნდა იზრუნოს. დააარსოს ისეთი დაწესებულებები, რომლებიც იზრუნებენ ასეთ ადამიანებზე. მინიმალური ხელფასი უნდა გაიზარდოს, რომ ადამიანმა გადასახადების გადახდაც შეძლოს და ცხოვრებაც.

თუმცა, ყველაფერს მთავრობას ნუ მოვთხოვთ - საქართველოს ბედ-იღბალი თითოეულ მოქალაქეზეა დამოკიდებული.








პაატა ქველიძე
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**შინაგან საქმეთა მინისტრს**

ახლო წარსულში პოლიცია კორუმპირებული იყო, შეიძლება ეს გამოწვეული იყო დაბალი ხელფასებით, ან, სულაც, უხელფასობით - პოლიციელი ოჯახს ვერ არჩენდა. ასე არ უნდა გაგრძელდეს.

**თავდაცვის მინისტრს**

ჩემი აზრით, ყოველმა მამაკაცმა უნდა მოიხადოს თავისი ვალდებულება სამშობლოს წინაშე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ჯარში ძალიან ცუდი პირობებია. ეს პირობები საუკეთესო უნდა გახდეს, რომ ახალგაზრდა კაცებმა თავი არ აარიდონ სამხედრო ვალდებულებას.

**განათლების მინისტრს**

პროგრამა ძალიან გადატვირთულია, ამიტომ საგნები უნდა იყოს არჩევითი. წიგნები გაუგებარ ენაზეა დაწერილი და თანაც - ძვირი, მაგალითად, გეოგრაფიის სახელმძღვანელო. მასწავლებლების არაპროფესიონალიზმმა და საშინაო დავალების მოუზომლობამ შეიძლება მოსწავლეში პროტესტის გრძნობა გამოიწვიოს.

17 წლამდე მოსწავლეებისთვის ტრანსპორტი შეღავათიანი უნდა იყოს. სკოლები მთლიანად კომპიუტერულ ქსელზე უნდა გადავიდეს.

ნინო კიკნაძე
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**საქართველოს პრეზიდენტს**

ის, რომ მიხეილ სააკაშვილი წინ აღუდგა მექრთამეობასა და კორუფციას, ეს ყველა ქართველისთვის სასიხარულო ფაქტია.

ვარდების რევოლუციის ყველა ასაკის ადამიანი თვალს ადევნებდა და ყველას უხაროდა შევარდნაძის გადადგომა. ამ ყველაფრის შემდეგ მე ეჭვიც არ შემპარვია, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი გახდებოდა.

ინაუგურაციასაც რომ ვუყურებდი მაშინ მთელს ქართველ ერს იმედი ჩაესახა და ყველას იმედი აქვს ბატონი მიხეილ სააკაშვილის.

მე იმედი მაქვს, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი გაამართლებს თავის დაპირებებს და აღორძინებს საქართველოს, დაიბრუნებს აფხაზეთს.

ამაში, რა თქმა უნდა, მარტო პრეზიდენტის იმედად არ უნდა ვიყოთ, არამედ ხალხის, ხელისუფლებისა და მეზობელი ქვეყნების დახმარებით შევძლებთ ყველაფერს.

**განათლების მინისტრს**

სკოლები უნდა გარემონტდეს და თბებოდეს, მოსწავლე არ უნდა იტანჯებოდეს იმის გაფიქრებითაც კი, რომ სკოლაშია წასასვლელი, იქ კი ელემენტარულად წყლის დალევა არ უნდა ეზიზღებოდეს.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფულზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მე ვეთანხმები იმ პროექტს, რომ სკოლაში მე-11 კლასის გამოცდების ჩაბარებით უმაღლესში ჩარიცხვა შესაძლებელი გახდეს.

**გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს**

ამ სამინისტროს ფუნქცია მის დასახელებაში ჩანს. არ უნდა გაიჩეხოს ტყეები, არ უნდა გაიყიდოს "ვაკის პარკის" მსგავსად. თბილისი მცენარეებით უნდა გამდიდრდეს. ზოოპარკის ცხოველებს ხომ მიხედვა უნდა, რომ მათი უფლებები არ ირღვეოდეს. ქუჩის ძაღლებსაც უნდათ მიხედვა, რომ ადამიანებს არ აზარალებდნენ.

**თბილისის მერს**

თბილისი არაფრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს განვითარებული ქვეყნების დედაქალაქებს. ყველა უბანს, ცენტრალურია ის, თუ გარეუბანია, მიხედვა უნდა - ყველგან საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ.

კარლო ნიკოლეიშვილი
171-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

**პრეზიდენტს**

ჩემი აზრით, ყველა სამინისტრო უნდა გადახალისდეს, ანუ სამინისტროების სათავეში უნდა მოვიდნენ ახალგაზრდები, ახალი თაობის ადამიანები, რომლებსაც ახალი იდეები და რეფორმების მთელი დასტა ექნებათ.

**განათლების მინისტრს**

უნდა მოვიდნენ ახალგაზრდა მასწავლებლები და ლექტორები, რომლებიც სწავლების ახალ კურსს შესთავაზებენ მოსწავლეებს, რადგან ძველმა მასწავლებლებმა უკვე ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. ახალგაზრდა მასწავლებლები უფრო დააინტერესებენ მოსწავლეებს და ახალი პროგრამით სწავლებასაც იოლად აითვისებენ. სასწავლო დაწესებულებებში უნდა იყოს კომპიუტერული ქსელი, განახლდეს საბიბლიოთეკო სისტემა, შეიცვალოს მერხები. მოსწავლეებისთვის სტიპენდიის დანიშვნა სწავლებასაც დაეხმარება და სოციალურ პრობლემებსაც.

პედაგოგებს აუცილებლად უნდა გაეზარდოთ ხელფასი, რომ მასწავლებელ კაცებს თავისი პროფესიით შეეძლოთ ოჯახის რჩენა.

**ჯანმრთელობის მინისტრს**

ჯანმრთელობის სამინისტრომ უნდა გაატაროს ისეთი რეფორმები, რომ მოქალაქეებისთვის ავადმყოფობა ტრაგედიად არ იყოს გადაქცეული. ყველა რეგიონსა და ქალაქში უნდა იყოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პოლიკლინიკა და საავადმყოფო. ექიმებს და ექთნებს უნდა გაეზარდოთ ხელფასი.

**სპორტისა და კულტურის მინისტრს**

უნდა განახლდეს ძველი კულტურის ძეგლები. ხელი უნდა შეეწყოს თანამედროვე კულტურის განვითარებას - ქართული კინო,თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, ესტრადა...

უნდა მოიძებნოს მართვისა და დაფინანსებების ეფექტური ფორმები.

სპორტს უნდა შეეწყოს ხელი, საუკეთესო საწვრთნელი პირობებით და მაღალი ანაზღაურებით, განსაკუთრებით სპორტის ისეთ სახეობებს, რომლებიც დღევანდელ პირობებშიც კი კარგ შედეგებს აჩვენებენ. სპორტი ქვეყნისთვის სახელიცაა და შემოსავალიც, გარდა ამისა ახალგაზრდობისთვის კარგი მაგალითია.

**შინაგან საქმეთა მინისტრს**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ უნდა განაგრძოს რეფორმები, რათა საქართველოში მოისპოს ყოველგვარი კორუფციის წყარო.

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991




# პარიზული რევოლუცია ვარდების რევოლუციის ქალაქში

## რაზე ოცნებობს ბერნარდო ბერტოლუჩი?

A1 გვერდიდან

1968 წლის ერთ-ერთი იდეოლოგის, კონ-ბენდიტის ლოზუნგი - "იყავი რეალისტი – მოითხოვე შეუძლებელი" - ბერტოლუჩის ფილმს თან სდევს, როგორც რეფრენი. ფილმის გმირები უკიდურესად რეალისტები არიან და ჩვენგან, მაყურებლისგან მოითხოვენ ერთადერთ შეუძლებელს – მოხუცი რეჟისორის ლოგიკის გაგებას.

თავად ფილმის, 1968 წლის რევოლუციის ბერტოლუჩისეული ვერსიისა და ფილმის მთავარი გმირების შეხვედრის საწყისი წერტილი კინოთეატრია. კინოხელოვნება ბერტოლუჩისთვის გამოცდაა, რომლის ვერჩაბარებას გამოცდის ობიექტი აუცილებლად მიჰყავს იმ მომენტამდე, როდესაც მან (თეომ, იზამ თუ მეთიუმ) აუცილებლად უნდა დათმოს თავისი ღრმა ინტიმურობის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასევეა რევოლუციაც. მაგრამ რა არის რევოლუციის გამოცდის ვერჩაბარების საზღაური? თუ "მეოცნებენის" თბილისელ მაყურებელს ჯერ კიდევ წინ აქვს ამის გაგების "სიამოვნება", ევროპამ და ამერიკამ უკვე ნახეს 1968 წლის რევოლუციის შედეგი. შედეგი კი "მარტივია": რევოლუციიდან 35 წლის თავზე და ერაყის ომის ფონზე ევროპასა და ამერიკას განსხვავებული წარმოდგენები აქვთ (კითხვა "რაზე?" აქ ისევე უადგილოა, როგორც იზას სურათი მეთიუს ლაჯებს შორის, როდესაც მას შარვალს ჩახდიან).

კინოხელოვნების მორევში მყოფი ახალგაზრდების მიერ საკუთარ ქმედებაში (და არა მხოლოდ მეტყველებაში) მუდმივი აპელირება სცენებზე სხვადასხვა ფილმებიდან, ნამდვილად ამოატივტივებს ჩვენს გონებაში ფრაზას (უფრო სწორად, ანტი-ფრაზას) - "კინოს მავნე ზეგავლენა ახალგაზრდობაზე" და, თუ ბერტოლუჩი თავად არ გვიშველის, იმ ადამიანთა რიგში ჩაგვაყენებს, ყოველ დემონსტრაციაში "შეთქმულებას" რომ ხედავენ, ხოლო ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს დაუნდობლად რომ სწირავენ ცენზურის სამსხვერპლოზე.

(შემთხვევითი არაა, რომ ფილმის ორ სცენაში წამოჭრილ ორივე "საგამოცდო" კითხვას გავყავართ 1932 წელს გადაღებულ ფილმებზე, ანუ იმ დროზე, როცა ევროპას ერთი ნაბიჯი აშორებს ჰიტლერის საკაცობრიო ცენზურის სამსხვერპლოსგან).



ფილმის გმირები ბოლომდე უძალიანდებიან რევოლუციაში მონაწილეობის მწველ გრძნობას

და რით უშველოს ევროპას ბერტოლუჩიმ? რით გვიშველოს ჩვენ – მაყურებელს?

იმით ხომ არა, რომ ინტიმურობის ხვეულებში ისე ოსტატურად, თუმცა, უხეში პირდაპირობით შევყავართ, რომ რაღაც მომენტიდან "გონების სიშიშვლე" (და არა "გრძნობების სიშიშვლე", როგორც აზროვნების ჩვენი ტრადიციული სქემა გვთავაზობს) არათუ გვაღიზიანებს, არამედ თანაგრძნობით გვმსჭვალავს რევოლუციის (ან თუნდაც აბაზანის) სარკის წინ მდგომი სამი ახალგაზრდის მიმართ (აბაზანის სამნაწილიანი სარკე ქმნის იმ ტრიპტიქს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ეს თითქოს გარყვნილი ახალგაზრდები წმინდანები არიან, რომლებიც რევოლუციის კოცონზე უნდა დაწვან).

იმით ხომ არა, რომ არც ევროპა და არც ამერიკა ის არ ყოფილა, რაც აქამდე გვეგონა? "ბებერი (მეძავი) ევროპა" მთლად ქალწული აღმოჩნდება, ხოლო ტრადიციულად ძალადობაში ბრალდებული ამერიკა – რევოლუციის თანმდევი ძალადობის მოწინააღმდეგე.

ფილმში ყოველ ფეხის ნაბიჯზე კონტრასტებია: თაობებს შორის (რაც ყბადაღებული თემაა, მით უმეტეს, 1968 წლის კონტექსტში, და განხილვას აღარ ექვემდებარება), გმირებს შორის (ქერა ამერიკელი და შავგვრემანი ფრანგები), მაყურებლის წარმოდგენებში არსებულ კლიშეებსა და ფილმში მოცემულ სქემებს შორის. მაგრამ მთავარი, რასთანაც ბერტოლუჩის ჩვენი – რევოლუციის მონაწილეების თუ მოწმეების ("რევოლუციის მოწმე" ძალიან რელიგიურად ჟღერს – ზ.ჭ.) – დაპირისპირება სურს დროა, რომელიც, ასევე ტრადიციული კლიშეს მიხედვით, შლის კონტრასტებსა და განსხვავებებს.

ბერტოლუჩი სრულიად ახლებურად გვთავაზობს ანტიკურ მითს იმის თაობაზე, რომ ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისკენ ლტოლვა, ერთმანეთის ძიება (იზა და მეთიუ) მათ მიერ ოდესღაც თავისი ბუნებრივი ნახევრის (რასაც თეო წარმოადგენს იზასთვის) დაკარგვითაა გაპირობებული. ბერტოლუჩი შლის არა განსხვავებებს, არამედ დროს, რაც იზასთვის თეოს დაკარგვასა და მეთიუს პოვნას შორის უნდა იყოს (საგულისხმოა, რომ თეოსთან თუ ბავშვობასთან კავშირის გასაწყვეტად მეთიუს იზა სწორედ კინოსეანსზე (თუ ფსიქოანალიტიკურ სეანსზე?) მიჰყავს, რითაც ბერტოლუჩი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს კინოს როლზე თანამედროვე სამყაროში).

რომ არა იზას დროში თეოსა და მეთიუს ერთდროულად ყოფნა, თითქოს არაფერი შექმნიდა უხერხულობას, განსაკუთრებით მეთიუსთვის, რომლისთვისაც ბევრი რამ უცხო და მიუღებელია – მამის ყურთან ჩამოშლილი იზას თმის სექსუალურობით დაწყებული და რევოლუციის ცეცხლმოდებული ბოთლებით დამთავრებული.

ამერიკელი მეთიუსთვის მნიშვნელოვანია გარეგანი წესრიგი, რისი ყველაზე მკაფიო გამოვლინება სანთებელის წიბოებსა და მაგიდის გადასაფარებლის კვადრატულ მოხაზულობას შორის მკაცრი გეომეტრიული კანონზომიერებების დადგენაა. არადა, თუ მარტოა, ამ წესრიგისგან ისევე არაფერი რჩება, როგორც ხელსაბანში მეთიუს შარდისგან.

სიმარტოვე – აი, რა აწუხებს ამერიკელ მეთიუს (რა გახარებული წერს დედას იმის შესახებ, რომ პარიზში მეგობრები შეიძინა) და აი, რა არის ჩვენი ევროპელი გმირების, თეოსა და იზას რეალური ოცნება. განცალკევება – აი, რისკენ ილტვიან, ერთი მხრივ, ფილმის სიამის ტყუპები - თეო და იზა, ხოლო, მეორე მხრივ, ბერტოლუჩის რეალობის სიამის ტყუპები – ევროპა და ამერიკა.

ფილმი და რეალობა ან, უფრო სწორად, ბერტოლუჩის რეალობა და რეალობა, რომელიც ფილმამდე ვიცით, წვრილმან დეტალებში ეჯახებიან ერთმანეთს და, გავიმეორებ, გვაძლევენ ჩვენი ტრადიციული წარმოდგენებისთვის ძალიან უცნაურ წარმონაქმნებს, როგორიცაა "განათლებული ამერიკელი" (მეთიუ ტოლს არ უდებს მეგობრებს კინოხელოვნების ცოდნაში) ანდა "ხელმოკლე ამერიკელი" (მეთიუს ხაზგასმულად ვიწრო შარვალი და პიჯაკი მხოლოდ 60-იანი წლების მოდას არ უნდა მივაწეროთ); ფრანგული ოჯახი, რომლის სამზარეულოში მუდმივად პრობლემაა (სტუმრის მოუმზადებლად დახვედრა, იზას მიერ სამზარეულოს ავანჩავანის არცოდნა); ფრანგი პოეტი, რომელიც რევოლუციას მხარს არ უჭერს.

ლამის ერთადერთი, რასაც ბერტოლუჩი არ ეხება, ღვინის ბოთლებია, რომელიც, ტრადიციისამებრ, უხვადაა იმგვარ ოჯახშიც კი, სადაც საჭმლის მხრივ სერიოზულ კრიზისს ვხედავთ. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ბოთლმა ფილმის ბოლოს ჩვეულებრივი ყოფისთვის მოულოდნელი, მაგრამ რევოლუციური დროებისთვის სრულიად ბუნებრივი ფუნქცია შეიძინოს და თეოს ხელში იმ იარაღად იქცეს, რომელშიც სწრაფად აალებადი საწვავი ასხია.

ჩვენ, ერთი მხრივ, ისევე გვიჭირს ბერტოლუჩის ლოგიკაში გარკვევა, როგორც მეთიუს პარიზელი მეგობრების სახლის სტრუქტურის გაგება (რაც, ბუნებრივია, ჩვენს გონებაში ახალ ალუზიებს წარმოშობს), მეორე მხრივ კი, ყველაფერი ისევე მარტივია, როგორც იზას მარადიული ბავშვობის მოსაგონარი –საძინებელი ოთახი, საიდანაც თავის დაღწევაზეა მიმართული პარიზელი და-ძმის (ზევსის და ჰერას) მთელი ძალისხმევა.

ბერტოლუჩიმ იცის, რომ რევოლუციის პირობებში სისხლი უნდა დაიღვაროს, მაგრამ იგი იღვრება არა იქ, სადაც ყველანი მოველით (ანუ ქუჩაში), არამედ ერთი პარიზული სახლის სამზარეულოში, სადაც თეო მოჩვენებითი სიმშვიდით ტაფაზე ერბოკვერცხს წვავს და ასე გადააქვს მისთვის ყველაზე საკრალური და მტანჯველი სცენა.

ბერტოლუჩიმ იცის, რომ უფროს თაობას სურს, ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც არის, უფროსი თაობა საკუთარი შვილების შიშველი სხეულების თვალწინ იხდის საფასურს… პირდაპირ ჩეკით.

ფილმის გმირებმაც იციან ბევრი რამ. უფრო სწორად, გრძნობენ და ბოლომდე უძალიანდებიან რევოლუციაში მონაწილეობის მწველ გრძნობას. ამიტომ თვრებიან თეო და მეთიუ, ამიტომ აშენებს იზა პარიზულ სახლში გამოგონილ სახლს, რომელში სიკვდილიც უთუოდ იქნებოდა მარტივი გამოსავალი.

მშობლების უეცარ გამოცხადებასა და იზას ბავშვურ გადაწყვეტილებაზე – სიკვდილით გააქვავოს მის გარშემო არსებული იდილია – საშინელია რეზინის მილის გველისებრი ცოცვა იზას სამოთხისკენ, სადაც დიაცის გვერდით უცოდველი ადამიც წევს (თეო) და იზას "შემცნობი" ადამიც (მეთიუ).

რა ზუსტია ქვა, რომელიც, რევოლუციის ქაოსური ლოგიკით, ნებისმიერი სახლის ფანჯარას შეიძლება მოხვდეს. ეს ქვა ბერტოლუჩისთვის რევოლუციის ლამის ერთადერთი გამართლებაა, რევოლუციის, რომლის გვირაბის ბოლოს სინათლეს მხოლოდ პოლიციის ჯავშანმანქანები ასხივებენ.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდი "კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**"სახიობა"**
ვაჟა-ფშაველა "მართალი კაცი"
რეჟისორი: გიორგი კახელი
დას: 15:00 სთ.

**"პანტომიმის თეატრი"**
გურამ დოჩანაშვილი "ფიროსმანი მეფე"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

## კინო

**"ამირანი"**
"ბეჭდების მბრძანებელი 3: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 12:00; 16:00 სთ.

"მეოცნებენი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

**"რუსთაველი"**
"გოთიკა"
დას: 12:00; 16:00; 20:00; 22:00 სთ.

"ერთხელ მექსიკაში"
დას: 14:00; 18:00 სთ.

## გამოფენა

**"ძველი გალერეა"**
დავით აკრიანის ფოტონამუშევრები

**"სახლი"**
ვახო კუნცევის ნამუშევრები

**"ორიენტი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**სურათების ეროვნული გალერეა**
ზაალ ბაჩანაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*




# წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 12 თებერვალს 17 საათზე,** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება" - ანზორ სალუქვაძეს იგონებენ: თენგიზ არჩვაძე, ემზარ კვიტაიშვილი, გივი შახნაზარი, ლაშა თაბუკაშვილი.

**პარასკევს, 13 თებერვალს 17 საათზე,** ლაშა იმედაშვილის წიგნის - "ბიოგრაფიები" პრეზენტაცია.

**კვირას, 15 თებერვალს, 16 საათზე** ნოდარ გაბუნიას წიგნის - "პედაგოგიური სისტემა" (გამომცემლობა "სანი") პრეზენტაცია.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

*მოკლედ*

## "სუხიშვილები" რეგიონებში



ქართული ნაციონალური ბალეტი, შესაძლოა, ავსტრალიაში გამგზავრებამდე კონცერტებით საქართველოს რეგიონებს ეწვიოს. ნინო სუხიშვილის თქმით, საქართველოს რეგიონებში გასტროლები მათ მოგვიანებით ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ რადგანაც მოცეკვავეთა კოსტიუმების ავსტრალიაში წინასწარ გაგზავნა, შესაძლოა, შეფერხდეს, ამიტომ, ანსამბლი დროს უქმად არ დაკარგავს და ამ პერიოდში ის რამდენიმე რეგიონს ეწვევა. ანსამბლი ამჟამად მოლაპარაკებებს მართავს აჭარის რეგიონთან. ჯერჯერობით უცნობია, მოხერხდება თუ არა ბათუმში სუხიშვილების კონცერტების გამართვა. მარტში კი "სუხიშვილები" სამი თვით ავსტრალიაში მიემგზავრებიან. ***24 საათი***

## ბათუმი ფესტივალის მოლოდინში

ბათუმი ტრადიციული მუსიკალური ფესტივალისათვის ემზადება. "ბათუმის გაზაფხული", რომელიც მესამედ გაიმართება, კლასიკური, ფოლკლორული და საესტრადო მუსიკის საღამოებს უმასპინძლებს.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 12 წლის და უფროსი მუსიკოს-შემსრულებლები. მათ შორის საუკეთესონი ფესტივალის პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

ფესტივალის ორგანიზატორები მონაწილეებს კიდევ ერთ სიახლეს შესთავაზებენ: საუკეთესო კოლექტივებს და შემსრულებლებს საზღვარგარეთის ფესტივალებში მონაწილეობის უფლება ექნებათ. ფესტივალი "ბათუმის გაზაფხული" ერთ თვეში გაიმართება. მასში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს სამეგრელოსა და გურიის რეგიონებმა. ***მედია-ნიუსი***

# კრემლი ქართულ ლეგენდას ირწმუნებს

### "ერისიონი" მოსკოვის დასალაშქრად ემზადება

ვერა ნეფარიძე

*"ერისიონი" რუსეთში შარშან გაიცნეს. ქართული კულტურის დღეებზე მოსკოვში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, როგორც ჩანს, სერიოზული შთაბეჭდილება დატოვა – მოსკოვმა ქართულ პროდიუსერულ კომპანია "ისთერნ პრომოუშენს", რომელმაც ფრანგული მხარისგან მოიპოვა უფლება, წარმართოს "ერისიონის" საკონცერტო საქმიანობა დსთ-ს სივრცეში, "ქართული ლეგენდის" ორდღიანი გამოსვლები შეუკვეთა. კონცერტები კრემლის საკონცერტო დარბაზში 17-18 მარტს გაიმართება.*

"სახელგანთქმული, თავისი მასშტაბითა და გაფორმებით უნიკალური წარმოდგენა Georgian Legend რამდენიმე წელიწადია, მსოფლიო მუსიკალურ სცენაზე ნამდვილ ფურორს ახდენს. ფრანგი პროდიუსერების პროფესიონალიზმზე დამყარებული გლობალური საერთაშორისო პროექტი, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის "ერისიონის" არტისტების მონაწილეობით, გახდა ფენომენალური კულტურული მოვლენა, რომელიც თავის თავში ქართული კულტურის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას აერთიანებს", - ასე წარადგენენ მოსკოველი ორგანიზატორები "ერისიონის" ერთადერთ და განუმეორებელ საკონცერტო პროგრამას - "ქართულ ლეგენდას" რუსული აუდიტორიის წინაშე. რუსი პრომოუტერები, "ქართულ ლეგენდას" ჟანრის ერთ-ერთ ლიდერებად მოიხსენიებენ. მათი აზრით, "ერისიონის" ეს პროექტი თანამედროვე საბალეტო შოუებზე - "რივერდანსსა" და Lord of the Dance-ზე აღმატებულიც კია. ასე რომ, აშშ-ს, საფრანგეთის, შვეიცარიისა თუ ბელგიის წამყვანი საკონცერტო დარბაზების შემდეგ, "ერისიონს" დიდი იმედებით კრემლის სახელმწიფო სასახლეშიც ელიან.



*"ერისიონის" მოსკოვური კონცერტის პლაკატი*

მოსკოვური კონცერტებისთვის რუსეთის დედაქალაქში ქართულ მხარესთან (ანსამბლის წევრები და "ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლობა, სულ - 80 კაცამდე) ერთად ფრანგი პროდიუსერები და ტექნიკური პერსონალიც ჩავლენ. საერთო ჯამში, მათი რაოდენობა ას კაცამდე მიაღწევს. იმის მიუხედავად, რომ კრემლის საკონცერტო დარბაზი ტექნიკურად საკმაოდ გამართულია, "ქართული ლეგენდის" სრულყოფილი წარმოდგენისთვის ადგილობრივი ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ მოსკოვში აპარატურის დამატებით ნაწილს საფრანგეთიდან ჩაიტანენ. მოსკოველებს "ქართული ლეგენდის" ორდღიანი კონცერტების სახით ულტრათანამედროვე სანახაობას ჰპირდებიან.

"კრემლის კონცერტები ერთგვარი წინაპირობა იქნება "ერისიონის" კონცერტებისთვის რუსეთის მთელ ტერიტორიაზე", - ვარაუდობს კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" მარკეტინგის მენეჯერი კახა კანდელაკი. დაიგეგმება თუ არა "ქართული ლეგენდის" რუსული ტურნე, ამას კრემლის კონცერტები გადაწყვეტს. რაც შეეხება "ერისიონს", ანსამბლს უკვე დაგეგმილი აქვს კონცერტები პარიზში. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის თქმით კი, ამჟამად ფრანგული მხარე თანხებს აგროვებს აპარატურის საქართველოში ჩამოსატანად – იმედია, "ქართულ ლეგენდას" საქართველოში ყველაზე ბოლოს არ იხილავენ.

# შესაძლო ცვლილებები კულტურის პოლიტიკაში

1. **ემხრობით თუ არა კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტების გაერთიანებას?**
2. **როგორია ამ სახელმწიფო უწყებათა გაერთიანების თქვენეული ვერსია?**


*რეზო ესაძე*

**რეზო ესაძე**
*რეჟისორი*

**1.** არავითარ შემთხვევაში, იმიტომ, რომ მე მიმაჩნია - სამივე ცალ-ცალკე ქართული საქმიანობის პრიორიტეტია. სპორტი თავისთავად არის უზარმაზარი დატვირთვა საქართველოში, ქართული ხასიათის, ქართული რეალობის, შესაძლებლობების და ა.შ. რომელსაც სჭირდება უზარმაზარი ძალისხმევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამით უნდა იყოს დაკავებული და სხვა არაფრით. მიმაჩნია, რომ ტურიზმი საქართველოს მომავალია, რომელმაც საერთოდ სოფლის მეურნეობასთან ერთად შეიძლება არჩინოს საქართველო. არ ვიცი, შეიძლება ნავთობი და გაზი აღმოაჩინონ, მაგრამ მე მაინც მრეწველობა საქართველოს პრიორიტეტულ საქმიანობად არ მიმაჩნია. საქართველოს პრიორიტეტული საქმიანობა არის აგრარული, ე.ი. სოფლის მეურნეობა. ჩვენი მიწა, რომ გემოს ააყოლებს მის ჭირნახულს, ასეთ მსოფლიოში მეორე მაგალითი არ არსებობს. მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს ქართული მოსავალი, მისი გემო. ტურიზმი, თუკი მას ქართველი კაცი და ქართული საზოგადოება აალორძინებს, ეს არის ღმერთის მიერ ხელის გულზე დადებული ოქრო. ამიტომ ის მოითხოვს ცალკე, განსაკუთრებულს. მოგეხსენებათ, რომ ტურიზმს თავისი ინფრასტრუქტურა აქვს, რომელსაც თავისებური მიწოდება სჭირდება, მას თავისი რეჟისურა და უმაღლესი კულტურა აქვს. როგორ შეიძლება ეს სამი პრიორიტეტული, უკიდურესად ქართული სულიერებით დატვირთვის მქონე საქმიანობები ერთ სახლში მოთავსდეს. ერთი ჭერი ამ ყველაფერს ვერ აწევს, ვერ მოერევა. ეს არის დაუფიქრებლობის, საქმეში ჩაუხედაობის და არსის არ ცოდნის, თუ ვერ ცოდნის შედეგი. ეს ყოვლად წარმოუდგენელია, რადგანაც ეს სამი ცალკე სახელმწიფოა. ამიტომ მე საოცარი გულისწყრომით, შინაგანი განგაშითა და შეძრწუნებით, ვისმენ დაბეჯითებულ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ეს შეიძლება ერთ ძალისხმევაში გაერთიანდეს. ადამიანს, რომელიც ასე ფიქრობს, ჩემი აზრით, ან არ ესმის რეალურად, ცალ-ცალკე თითოეულ მათგანთან დაკავშირებით ჩვენი შესაძლებლობები, ან თუ ესმის, ყოველ შემთხვევაში, ღრმად არ დაფიქრებულა.

**2.** როგორ შეიძლება ამ სტრუქტურის კალკირება?! კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამისა. ევროპულ ქვეყნებში ასეა, ერთად არისო, ევროპაში ბევრი რამაა კიდევ სხვა, რისი კალკირებაც ჩვენთან შეუძლებელია. ეს უნდა მოერგოს ჩვენს ქართულ ყოფას და ხასიათს. სპორტშიც კი, ვთქვათ, მარტო ჭიდაობასაც მოვლა უნდა. მე რომ მინდოდა გამაკეთებინა "თეთრი ქალაქი", მე მხედველობაში მქონდა გამეკეთებინა პრეცედენტი, გამეკეთებინა ქალაქში ქალაქი, რომელიც ამ ინფრასტრუქტურებზე ერთად იმუშავებდა. მაგრამ ეს კულტურის სამინისტრო კი არ იქნებოდა, არამედ ეს იქნებოდა ქალაქი, რომელიც დაკავებულია ტურიზმის, სპორტისა და კულტურის სიმბიოზით, რომელსაც გააჩნია თავისი ინფრასტრუქტურები, სასტუმროები, მაღაზიები, კულტურული მომსახურეობა, სახელოები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, კერძო სასტუმროების სახით, თავისი გიდით, ტრანსპორტით, ცხენით, ჟოკეით, ყოველივე ამის რეჟისურა და ა.შ. ჩანაფიქრში ეს უზარმაზარი რამაა, მაგრამ ამას სჭირდებოდა დაწყნარებული ქვეყანა, დიდი ინვესტიციები, არც ერთი და არც მეორე ჩვენ არ გვქონდა, ამიტომაც ჯერჯერობით, ასე ვთქვათ, ამ იდეაზე თავი შემონახული გვაქვს, მხოლოდ და მხოლოდ ხელსაყრელ პროცესებს ველით, იმ დროს, როდესაც საშუალება გვექნება, კვლავ დავიწყოთ ამაზე საუბარი.


*ნინო სეხიშვილი*

**ნინო სუხიშვილი**
*"ქართული ნაციონალური ბალეტის" დირექტორის მოადგილე*

**1.** ცალსახად ძნელია, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. საერთოდ, საქართველოში კულტურა ყოველთვის იყო და, ალბათ, უნდა იყოს, პრიორიტეტული დარგი, მაგრამ სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის გამო კულტურის სამინისტრო თავის ფუქნციებს, თავის როლს ვერ ასრულებდა. სიმართლე რომ ითქვას, კარგი იქნება - კულტურის სამინისტრომ ცალკე იარსებოს, მაგრამ თუკი იგი თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს, არ აქვს მნიშვნელობა დეპარტამენტი დაერქმევა მას, გაერთიანდება ტურიზმთან და სპორტთან, თუ არა; თუკი მას ან სახელმწიფოდან ან მდიდარი მეცენატებისაგან დაფინანსება არ ექნება, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ანუ დაფინანსების გარეშე მას ყველა შემთხვევაში გაუჭირდება. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა უფრო ეს არის, ვიდრე ის, თუ რა ფორმით იარსებებს რეალურად იგი, დეპარტამენტი დაერქმევა, მერიის კულტურის სამსახური, თუ თავისთავად კულტურის სამინისტრო დარჩება. მთავარია, მან შეასრულოს ის ფუნქცია, რომ დაეხმაროს კულტურას და საქართველოში ეს დარგი პრეროგატივებით სარგებლობდეს. ტურიზმის, სპორტისა და კულტურის გაერთიანების შემთხვევაში თუ მაინც შეასრულებს იმ ფუნქციას, რაც მას ეკისრებოდა და იგივე როლს შეასრულებს, რაც მას უნდა ჰქონდეს, მაშინ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ცალკე იარსებებს კულტურის სამინისტრო თუ დეპარტამენტის სახით.

**2.** ჩემეული ვერსიით, გაერთიანების შემთხვევაში მაინც წამყვანი როლი კულტურას უნდა ჰქონდეს. არ ვიცი, საბოლოოდ რა მოდელით განვითარდება სახელმწიფო და სამინისტროები, რომელი ქვეყნის მოდელს მიემხრობა იგი, მე გამახსენდა იტალიის მაგალითი, სადაც კულტურა, ასევე, ქვეყანაში წამყვანი სფეროა, იმის მიუხედავად, რომ იგი სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ერთ-ერთი ნაწილია. კულტურას, გაერთიანების მიუხედავად, დიდი ყურადღება ენიჭება, სადაც კულტურას მასის წინააღმდეგ საბრძოლველადაც კი იყენებენ. მე ვფიქრობ, რომ კულტურას დღესდღეობით, მაინც დიდი როლი აქვს. არის ქვეყნები, სადაც კულტურა ყოველთვის წინ უნდა იყოს წამოწეული, საქართველოს სწორედ ასეთ ქვეყნად მიმვიჩნევ.

# "ფანჯარა" კინოსეანსებს შორის, ანუ პრესკონფერენცია

### ბერლინის 54-ე კინოფესტივალი

ნინია კაკაბაძე
ბერლინი



კინოსეანსის შემდეგ, უზარმაზარ კინოდარბაზში, რომელიც ათასამდე მაყურებელს იტევს, ფილმის ტიტრები დაიწყება თუ არა და ფინალური საუნდტრეკი გაიჟღერებს, ყველა ერთდროულად ფეხზე დგება და გვერდზე მდგომ შენობაში გარბის. გვერდითი შენობა სასტუმრო "ჰაიატია", სადაც ფესტივალის პრესცენტრი და შესაბამისად, პრესკონფერენციის დარბაზია მოთავსებული. აქაც ყველაფერი ტრადიციულად ხდება (თუკი თავად მონაწილე არ არის გამონაკლისი). დარბაზში შემოსულ მსახიობებს, რეჟისორს თუ პროდიუსერს ფოტორეპორტიორები ერთად შეჰკივლებენ - "ჩიიის" (რაც ღიმილს ნიშნავს), ისინიც გაიღიმებენ და შემდეგ იწყება სრულიად აბსურდული კითხვა-პასუხი. შესაძლებელია ისიც იფიქრო, შეცდომით სხვა ფილმის პრესკონფერენციაზე ხომ არ მოვხვდიო. თურმე მხოლოდ ქართველ ჟურნალისტებს არ უჭირთ ლოგიკური, გამართული და, რაც მთავარია, მთავარ თემასთან მიახლოებული კითხვების დასმა. მაგალითად, კითხვები ამგვარია: "რატომ გადაიღეთ ფილმი რუმინეთში და არა უნგრეთში?" "რას ნიშნავდა ველოსიპედის გამოჩენა ფილმში?" "როგორ არიან თქვენი მეუღლე და შვილები?"... კითხვა მსახიობს - "რას განიცდიდით, როდესაც ამ როლს განასახიერებდით?" "ვის გაგონებთ თქვენი გმირი?" და ასე შემდეგ.

ამგვარი შემთხვევაც მოხდა. 6 თებერვალს არასაკონკურსო ჩვენებაში წარმოდგენილი იყო ამერიკელი ვარსკვლავებით გადატენილი, ნენსი მეიერსის რომანტიკული კომედია Something's Gotta Give (ჯეკ ნიკოლსონი, დაიან კიტონი, კეანუ რივზი და ფრენსის მაქდორმანდი). ეს უკანასკნელი ბერლინის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეა. ფილმი მოხუცებული ჯეკ ნიკოლსონის და დაიან კიტონის ვნებიანი სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს, რომელნიც, ბუნებრივია, ასაკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ფიზიოლოგიურ პრობლემებს აწყდებიან. პრესკონფერენციაზე დაიან კიტონი ოდნავ ნასვამი გამოცხადდა და ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე: - ეშინია თუ არა მას სიბერის? - მშვენიერმა ქალბატონმა ჯერ ტირილი დაიწყო და შემდეგ გაბრაზებული ტონით უპასუხა, რომ მას ჯერ მთელი ცხოვრება წინ აქვს. ფილმზე უფრო საინტერესო, ამ შემთხვევაში ამ ეპიზოდის ხილვა და სმენა იყო.

აქედან გამომდინარე, ჩემი მოკრძალებული რჩევაა, თუკი მოხვდებით ფესტივალზე: არავითარ შემთხვევაში არ დაესწროთ იმ ფილმის პრესკონფერენციას, **რომელიც მოგეწონებათ,** რადგან ფილმის შესახებ ვერაფერს საინტერესოს და ახალს ვერ შეიტყობთ; შეიძლება უარესიც მოხდეს, ჟურნალისტებისა და შემოქმედებითი ჯგუფის ბრიყვული კითხვა-პასუხის კასკადის შედეგად, რადიკალურად შეგეცვალოთ ფილმის მიმართ დამოკიდებულება. **და თუკი არ მოგეწონებათ ფილმი**, მაშინ აუცილებლად დაესწარით პრესკონფერენციას, ვინაიდან თქვენს გაღიზიანებულ დამოკიდებულებას აუცილებლად გააქარწყლებს ტრაგი-კომიკური ეპიზოდები, რომელიც ფილმს თქვენ თვალწინ ცოცხლად გააგრძელებს.

**თუკი მე ვცდები** და იქნება გამონაკლისი, როდესაც ბერლინის ფესტივალზე კარგი ფილმის ნახვის შემდეგ საინტერესო საუბარს მოვისმენ, ამასაც აუცილებლად გიამბობთ.

# მუსიკალური "ბარომეტრის" შედეგები

### "გრემი" ერთი წლით გვემშვიდობება

კვირა საღამოს ლოს ანჯელესში, სტეიპელზის ცენტრში "გრემის" ყოველწლიური ცერემონიალი გაიმართა. სტინგის, "ქოლდფლეის", სელინ დიონის, პრინცის, ჯასტინ ტიმბერლეიკის სიმღერების პარალელურად, მუსიკალურმა სამყარომ წლის რჩეულები 100-ზე მეტ კატეგორიაში გამოავლინა. წელს აღარსად ჩანდა ნორა ჯონსი – შარშანდელი ახალი სახე და ტრიუმფატორი, რომელიც შინ 8 პატარა გრამოფონით დახუნძლული წავიდა და თავისი წარმატებით გზა გაუკვალა ქართველი ქეთი მელუას გამოჩენასაც.

ვინც ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი გოგონას დიდ წარმატებებს ადევნებდა თვალს, ალბათ, გაუკვირდებოდა, რომ მელუა "გრემიზე" არსად იყო ნახსენები. საქმე ის გახლავთ, რომ ხმის ჩამწერი აკადემიის ყოველწლიურ კონკურსში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის ალბომები, რომლებიც 2001 წლის 1 ოქტომბრისა და 2003 წლის 1 სექტემბრის შუალედში იყო გამოშვებული. მელუას ალბომი Call Off The Search კი მხოლოდ წლის ბოლოს გამოჩნდა (ის უკვე მესამე კვირაა ბრიტანული ალბომების ჩარტებში პირველობას ინარჩუნებს, როცა მელუას "კეთილი ფერია" – ნორა ჯონსი მე-15-ზეა). თუმცა, ტრადიციული ჯაზის მომღერალ ქართველ გოგონას მაინც ყველაფერი წინ აქვს, ხმის ჩამწერი ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია ხომ არსად გარბის, "გრემი" მომავალ წელსაც გაიმართება და იმედია, ამასობაში მელუა ევროპული და ამერიკული შოუბიზნესის შეკრულ წრესაც გაარღვევს...

ასე რომ, წლევანდელ "გრემის" არ ჰყოლია ისეთი სასიამოვნო აღმოჩენა, როგორიც შარშან ნორა ჯონსი იყო, მაგრამ ტრიუმფატორები მაინც არ მოკლებია. ყველაზე ბევრი, ხუთი გრამაფონი წელს ბიონს ნოულსმა მოიპოვა. მას ერთი ჯილდოთი ჩამორჩა ლუთერ ვანდროსი, სამ-სამი გრამაფონი "აუთქასთმა" და ელისონ კრაუსმა დაიმსახურეს. მართალია, ამ შედეგებით სერიოზული მუსიკის მსმენელები არ აღფრთოვანებულან, მაგრამ უამრავი ნომინაციის გამო გემოვნებათა შორის ლავირება მაინც მოხერხდა – თავისი საყვარელი შემსრულებელი გამარჯვებულთა ნუსხაში, მეტნაკლებად, ყველამ იპოვა.

წლევანდელი "გრემი" ერთ ისტორიულ იუბილესაც დაემთხვა. ის გაიმართა ერთი დღით ადრე, ვიდრე მელომანები "ბითლზის" ამერიკული ექსპანსიის დაწყებიდან 40 წლის იუბილეს აღნიშნავდნენ. ზუსტად 40 წლის წინ, 1964 წლის 9 თებერვალს ედ სალივანის პოპულარულ ტელეშოუში გამოჩნდა ჯგუფი, რომელმაც მუსიკის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. "გრემის" ცერემონიალზე პუბლიკას ამ ამაღელვებელ ხანას იოკო ონო და სტინგი ახსენებდნენ – ეს უკანასკნელი დეივ მეტიუსთან ერთად "ბითლზის" სიმღერას ასრულებდა...

ერთი სიტყვით, მაღალ დონეზე ორგანიზებულმა, პომპეზურმა სანახაობამ ტკბილი მოგონებების ფონზე ჩაიარა. თუმცა, გაისმა ერთი პოლიტიკური მოწოდებაც – ბრიტანული ჯგუფის "ქოლდფლეის" ლიდერმა კრის მარტინმა თავისი გრამოფონი რამდენიმე ხნის წინ გარდაცვლილ ქანთრის ვარსკვლავს, ჯონი კეშსა და აშშ-ს პრეზიდენტობის დემოკრატ კანდიდატს ჯონ კერის მიუძღვნა და გამოსვლა ასე დაასრულა, იმედი მაქვს, ოდესმე კერი თქვენი პრეზიდენტი აუცილებლად გახდებაო.

ახლა კი გადავხედოთ გამარჯვებულთა ნუსხას და ვნახოთ, როგორი შედეგებით დასრულდა 2003 წლის გრემის ცერემონიალი. ანუ, ვნახოთ, თუ რა იყო მუსიკალური სამყაროს ყველაზე დიდი მონაპოვარი შარშან.



პრინსი და ბეიონს ნოულზი

REUTERS



No Doubt

REUTERS

#### ძირითადი კატეგორია

**წლის ჩანაწერი** – Clocks, "ქოლდფლეი"
**წლის ალბომი** – Speakerboxxx/The Love Below, "აუთქასთი"
**წლის სიმღერა** – Dance With My Father, რიჩარდ მარქსი და ლუთერ ვანდროსი
**საუკეთესო ახალი შემსრულებელი** – Evanescence

#### პოპი

**საუკეთესო ვოკალი ქალი** – კრისტინა აგილერა, Beautiful
**საუკეთესო ვოკალი მამაკაცი** – ჯასტინ ტიმბერლეიკი, Cry Me A River
**საუკეთესო შესრულება დუეტის ან ჯგუფის მიერ** – "ნოუ დაუთი" Underneath It All
**საუკეთესო ვოკალური თანამშრომლობა** – სტინგი და მერი ჯი ბლაიჯი, Whenever I Say Your Name
**საუკეთესო ინსტრუმენტული შესრულება** – ჯორჯ ჰარისონი, Marwa Blues
**საუკეთესო ინსტრუმენტული ალბომი** – "მამბო სინუენდო", რაი კუდერი და მანუელ გალბანი
**საუკეთესო ვოკალური ალბომი** – Justified, ჯასტინ ტიმბერლეიკი

#### საცეკვაო

**საუკეთესო საცეკვაო ჩანაწერი** – Come Into My World, კაილი მინოუგი

#### როკი

**საუკეთესო ვოკალი, ქალი** – ფინქი, Trouble
**საუკეთესო ვოკალი, მამაკაცი** – დეივ მეთიუსი, Gravedigger
**საუკეთესო შესრულება დუეტის ან ჯგუფის მიერ** – უორენ ზევონი და ბრიუს სპრინგსტინი, Disorder In The House
**საუკეთესო შესრულება, მძიმე როკი** – Evanescence და პოლ მაქოი, Bring Me To Life
**საუკეთესო შესრულება, მეტალი** – "მეტალიკა", St. Anger
**საუკეთესო სიმღერა** – Seven Nation Army, სიმღერის ავტორი ჯეკ უაიტი, ასრულებს ჯგუფი "ვაიტ სტრაიფზი"
**საუკეთესო ალბომი** – One By One, "ფუ ფაიტერზი"

#### ალტერნატივა

**ალტერნატიული მუსიკის საუკეთესო ალბომი** – Elephant, "უაიტ სტრაიფზი"

#### რიტმ-ენ-ბლუზი

**საუკეთესო ვოკალი, ქალი** – Dangerously In Love 2, ბიონსი
**საუკეთესო ვოკალი, მამაკაცი** – Dance With My Father, ლუთერ ვენდროსი
**საუკეთესო შესრულება დუეტის ან ჯგუფის მიერ** – The Closer I Get To You, ბიონსი და ლუთერ ვანდროსი
**საუკეთესო ვოკალი ტრადიციულ რიტმ-ენ-ბლუზში** – Wonderful, არეტა ფრანკლინი
**საუკეთესო შესრულება ურბან/ალტერნატივა** – Hey Ya!, "აუთქასთი"
**საუკეთესო სიმღერა** – Crazy In Love, ბეიონს ნოულსი
**საუკეთესო ალბომი** – Dance With My Father, ლუთერ ვანდროსი
**საუკეთესო ალბომი (თანამედროვე რიტმ-ენ-ბლუზი)** – Dangerously In Love, ბიონს ნოულსი

#### რეპი

**საუკეთესო სოლო-შემსრულებელი ქალი** – მისი ელიოტი, Work It
**საუკეთესო სოლო-შემსრულებელი მამაკაცი** – ემინემი, Lose Yourself
**საუკეთესო შესრულება დუეტის ან ჯგუფის მიერ** – ნელი, ფი. დიდი, მერფი ლი, Shake Ya Tailfeather
**საუკეთესო თანამშრომლობა** – ბიონს ნოულსი და ჯეი-ზი, Crazy In Love
**საუკეთესო სიმღერა** – Lose Yourself, ემინემი
**საუკეთესო ალბომი** – Speakerboxxx/The Love Below, "აუთქასთი"

#### ქანთრი

**საუკეთესო ქალი შემსრულებელი** – ჯუნ კარტერ კეში, Keep On The Sunny Side
**საუკეთესო მამაკაცი შემსრულებელი** – ვინს გილი, Next Big Thing
**საუკეთესო სიმღერა** – ალან ჯექსონი და ჯიმი ბაფეტი, It's Five O'Clock Somewhere
**საუკეთესო ალბომი** – Livin', Lovin', Losin' - Songs Of The Louvin Brothers, სხვადასხვა შემსრულებელი

#### ნიუ ეიჯი

**საუკეთესო ალბომი** – One Quiet Night, ფეთ მეთანი

#### ჯაზი

**საუკეთესო ალბომი (თანამედროვე ჯაზი)** – 34th N Lex, რენდი ბრეკერი
**საუკეთესო ინსტრუმენტული სოლო** – ჩიკ კორეა, Matrix
**საუკეთესო ინტრუმენტული ალბომი** – Alegr a, უეინ შორტერი

#### ლათინური მუსიკა

**საუკეთესო ტრადიციული ტროპიკულ-ლათინური ალბომი** – Buenos Hermanos, იბრაჰიმ ფერერი

#### ბლუზი

**საუკეთესო ალბომი (ტრადიციული ბლუზი)** – Blues Singer, ბადი გაი
**საუკეთესო ალბომი (თანამედროვე ბლუზი)** – Let's Roll, ეთა ჯეიმსი

#### ფოლკი

**საუკეთესო ალბომი (ტრადიციული ფოლკი)** – Wildwood Flower, ჯუნ კარტერ კეში
**საუკეთესო ალბომი (თანამედროვე ფოლკი)** – The Wind, უორენ ზევონი

#### რეგეი

**საუკეთესო ალბომი** – Dutty Rock, შონ პოლი

#### World Music

**საუკეთესო ალბომი (ტრადიციული World Music)** – Sacred Tibetan Chant, შერაბ ლინგის მონასტრის მღვდლები
**საუკეთესო ალბომი (თანამედროვე)** – Voz D'Amor, სეზარია ევორა

#### სიტყვა

**საუკეთესო თხრობითი ალბომი ბავშვებისთვის** – პროკოფიევი: პეტია და მგელი, ბილ კლინტონი, მიხეილ გორბაჩოვი, სოფი ლორენი (დირიჟორი კენტ ნაგანო, რუსეთის ნაციონალური ორკესტრი)

#### კინო/ტელე/ვიზუალური მედია

**საუკეთესო შედგენილი ალბომი ფილმისთვის** – "ჩიკაგო", სხვადასხვა შემსრულებელი
**საუკეთესო ორიგინალი ალბომი ფილმისთვის** – "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება", კომპოზიტორი ჰოვარდ შორი

#### ისტორიული

**საუკეთესო ალბომი** – "მარტინ სკორსეზე წარმოგიდგენთ ბლუზს: მუსიკალური მოგზაურობა"

#### კლასიკური მუსიკა

**საუკეთესო კლასიკური ალბომი** – მალერის მესამე სიმფონია, დირიჟორი მაიკლ ტილსონ ტომასი
**საუკეთესო საოპერო ჩანაწერი** – იანეჩეკი: იენუფა, დირიჟორი ბერნარდ ჰაიტინკი, ქოვენთ გარდენის სამეფო ოპერის გუნდი და ორკესტრი
**საუკეთესო ინსტრუმენტული სოლო შესრულება** – ბრიტენის სავიოლინო კონცერტი, დირიჟორი მსტისლავ როსტროპოვიჩი, ლონდონის სიმფონიური ორკესტრი
**საუკეთესო თანამედროვე ნაწარმოები** – Argento: Casa Guidi, დომინიკ არგენტო, მინესოტას ორკესტრი.

სვეტი

# კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

შეიცვალა ვკუსები
აღარ გვინდა რუსები.

■ ■ ■

მაგალითად მომყავს,
ის ვინც ინდობს მოყვასს.

■ ■ ■

უშრომველად ვერ ამზადებ ხარჩოს
გაუნძრევლად ვერ აბოლებ თრიაქს
ღმერთი აძლევს ყველას თავის სარჩოს
მაგრამ სახლში არავისთან მიაქვს.

■ ■ ■

შევარდნაძე არ წასულა იმიტო,
რომ ამ ქვეყნად ახლა შენ იგრიმიტო.

■ ■ ■

ამ ახალ წელს გაგებედოს!
სიმართლე რომ დაგებედოს.

■ ■ ■

როგორ შევძინოთ შრომას ფუნქცია
რომ კარგად წერონ აწი მგოსნებმა
არ გაიფურჩქნოს რომ კორუფცია
და არ გაირყვნას პატიოსნება
გახდეს საერთო წესი ერების
კულტივირება წესიერების.

■ ■ ■

ძაღლი არ ყავს როცა ფარას,
მგელი ხომ ცხვარს მოიპარავს,
მაგრამ მაინც, როგორც წესი,
მთავარია კარგი მწყემსი,
მთას რომ უწევს ყოფნა მარტოს,
ფარა რომ არ დაიფანტოს.

■ ■ ■

უნდა გითხრა სიმართლე
სახელმწიფოს მადლობა
თუ კი გვექნა სინათლე
გაზი წყალი გათბობა.

■ ■ ■

დღეს ჩვენს ქვეყანას რაც არცხვენს
და აქცევს ველურ ნაციად,
არის, რომ ვილაც გაძარცვეს,
ან ვილაც მოუტაციათ

თავში ურტყავდნენ ნაჯახებს
თუმცა ჯერ გაუგუდიათ,
ვილაცა დააყაჩაღეს,
ვილაცა გაუქურდიათ.

რამდენიც ჩუმად ვერაგობს,
მოხვალ და განზე გადგება,
ამიტომ ვერვინ ვერ ამბობს
წესრიგი როდის აღდგება.

მე კი დავრწმუნდი ამაში,
თუმც გამიჭირდა გაგება,
რომ ცხოვრებაა თამაში,
მოგებას მოსდევს წაგება.

მოსდევს და ველარ ეწევა,
რადგან სიკვდილი სხვენზეა,
როცა სტუმარი გეწვევა
პატივისცემა შენზეა.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, სამ-ოთხ დღეში
ვერ მოხვდები სამოთხეში,
იმ გზით, ხალხს რომ არ მოსწონდეს
ვეჭვობ რამე გამოსწორდეს.

პატიოსანმა რომ გვმართოს,
ეგებ რამე დაგვემართოს,
უქმად ფული აღარ ვყაროთ
და წესრიგი დავამყაროთ.

■ ■ ■

საქართველო ასე მალე,
ბევრიც მისცენ დღეს რომ ფული,
ვერ გახდება გენაცვალე
სახელმწიფო ევროპული.

■ ■ ■

ქცევის წესია მეტად მარტივი,
შენ თავს უნდა სცე შენვე პატივი
და სხვებს ნაკლებად თავზე ახურო,
რომ იგივე არ დაიმსახურო.

■ ■ ■

მუსუსური ხელისუფლება

■ ■ ■

ბოლო-ბოლო
საქართველოს
დიდი-დიდი
სჭირდება
ერთი პოეტი
ჰა-ჰა ორი
ან ჰა-ჰა-ჰა სამი
მეტი არის ზედმეტი

■ ■ ■

მაგრად მომძღარი
შემხვდა მოძღვარი

მოკლედ

## "მის იამაიკამ" ლუისი მოაჯადოვა

ლენოქს ლუისის კრივიდან წასვლის ფაქტმა ბევრი გააკვირვა. თავის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე მსოფლიო ჩემპიონს კარიერის დასრულების მიზეზებზე არ უსაუბრია, მხოლოდ ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლა. სპეციალისტთა აზრით, ლუისი ვიტალი კლიჩკოს უფრთხის და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კრივიდან წასვლა. თუმცა, ინგლისური გაზეთის, The Sun-ის კორესპონდენტები ამტკიცებენ, ლუისი შეყვარებულია და დაქორწინებას აპირებსო. სწორედ ამ ფაქტს მიიჩნევენ ჟურნალისტები ლუისის სპორტული კარიერის დასრულების მიზეზად.

ჟურნალისტებმა ლუისის საცოლის ვინაობაც გაამხილეს. ეს გახლავთ სილამაზის კონკურსის ყოფილი გამარჯვებული ვიოლეტა ჩანგი, რომელიც 2000 წელს "მის იამაიკა" გახდა. The Sun-ი ამტკიცებს, რომ სწორედ ვიოლეტამ გადააწყვეტინა ლუისს კრივიდან წასვლა. 26 წლის ჩანგი ოთხი წლის განმავლობაში ცდილობდა ლუისის გულის მოგებას და ბოლოს მიაღწია კიდეც საწადელს. ახლა ლუისი ამბობს, რომ მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც ვიოლეტაზე დაქორწინდება.

ლუისის გადაწყვეტილებამ მისი მეგობრებიც გააკვირვა. სულ ცოტა ხნის წინათ ის კლიჩკოსთან ორთაბრძოლაზე ფიქრობდა, ახლა კი უეცრად გადაიფიქრა და კრივიდან მიდის. შესაძლოა, ყველაფერში დედაა დამნაშავე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედის რჩევას ლენოქსისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ცოტა ხნის წინათ ქალბატონი ლუისი ვიტალი კლიჩკოს შეხვდა, გაესაუბრა, ამის შემდეგ კი გადაწყვიტა, რომ აჯობებდა, მისი შვილი კრივიდან წასულიყო.

## კიგანის ავტორიტეტმა "სიტის" მოძულეს 25 ათასი მოაგებინა

ინგლისის თასის მეოთხე ეტაპის მატჩში "მანჩესტერ სიტი" 0:3-ს აგებდა "ტოტენჰემთან", თანაც, "სიტის" ერთი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს და ეს გუნდი ათი კაცით თამაშობდა. ამ დროს 33 წლის პოლ მაკენი "უხილავმა ძალებმა შთააგონეს" და მან ტოტალიზატორში დარეკა. სხვას რას უნდა დავაბრალოთ, თუ არა ზებუნებრივი ძალების ჩარევას, ის ფაქტი, რომ პოლ მაკენმა ფსონი "მანჩესტერ სიტის" გამარჯვებაზე დადო. ამ დროს "სიტის" მოგებაზე კოეფიციენტი იყო 250:1-თან.

მატჩის შედეგი საყოველთაოდ არის ცნობილი – "მანჩესტერ სიტიმ" იმ შეხვედრაში 4:3 გაიმარჯვა. შედეგად, მაკენმა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი მოიგო.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ პოლ მაკენი სულაც არ გახლავთ "სიტის" გულშემატკივარი, მეტიც, ის "სიტის" დაუძინებელი მტრის, "მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგია.

საინტერესოა, რამ გადააწყვეტინა მაკენს, "სიტის" მოგებაზე დაედო ფსონი? შესაძლოა, ამ კლუბის მწვრთნელის პატივისცემამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. იქნებ გულშემატკივრებს სძულთ კიდეც მოწინააღმდეგე გუნდები, მათი ფეხბურთელები, მაგრამ "სიტის" ახლანდელი თავკაცი, კევინ კიგანი ინგლისში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. პოლ მაკენმა ისიც კი თქვა, კიგანს ერთ ბოთლ შამპანურს გავუგზავნიო. თუმცა, იქვე დაამატა: "მიუხედავად იმისა, რომ "სიტიმ" დიდი ფული მომაგებინა, მისი გულშემატკივარი მაინც არ გავხდები".

TV–სპორტი

### შაბათი. 10 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
15:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" – "იუვენტუსი"
19:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 სეზონი. "მონაკო" – "დეპორტივო". შესვენებისას (23:45) – თავისუფალი დარტყმა
01:05 "პოსტსკრიპტუმი"
01:35 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
02:05 02:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. 1995 წელი. "ყველა ვარსკვლავთა" მატჩი
06:30. NBA TV. დღიური

**НТВ+ СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
12:15 მაგიდის ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი "TOP 12" ლუქსემბურგში
15:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში. მეორე დღე
17:15 "რკინის ფაქტორი" მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგში. ესპანეთი. ნაწილი მე-3
17:45 "კეგლის დროა"
18:15 ჰოკეი. შოუ NHL-ის ვარსკვლავთა მონაწილეობით. შესვენებისას (20:00) – პრესცენტრი
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:20 ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა
23:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
23:45 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:00 "კეგლის დროა"

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 სნუკერი. შეჯიბრება დიდ ბრიტანეთში
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
15:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 მულტისპორტი
03:00 ახალი ამბები
03:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
04:15 ახალი ამბები




ფეხბურთი

## ზინედინ ზიდანი: "ძალებს ბოლოსთვის ვინახავ"

*მადრიდის "რეალის" კრიზისზე საუბარი ნაადრევი აღმოჩნდა. უკანასკნელ მატჩებში სამეფო კლუბი კვლავ იმარჯვებს და ძველებურად განაგრძობს ყველა ტიტულისთვის ბრძოლას. ზინედინ ზიდანი ფიქრობს, რომ ახლა ის არ არის საუკეთესო ფორმაში, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ძალებს სეზონის ბოლოსთვის ინახავს.*



*ზიდანი ამბობს, რომ საუკეთესო ფორმაში არ არის.*

**- უკანასკნელ მატჩებში "რეალი" ისევ იმარჯვებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ საუკეთესო ფორმაში ხართ?**

- ვერ გეტყვით, რომ ამ წუთში კარგ ფორმაში ვარ. პირიქით, ბევრად უკეთ უნდა ვითამაშო, რადგან, სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მე ვისვენებდი, როცა ტრავმა მქონდა. ფორმაში შესასვლელად დრო მჭირდება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ყოველდღიურად უკეთესად ვარ.

**- "რეალის" ყოფილმა ფეხბურთელმა, მიხაელ ლაუდრუპმა განაცხადა, რომ თქვენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ხართ.**

- თავად ლაუდრუპი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო. მან ბევრი რამ იცის ფეხბურთის შესახებ. ბედნიერი ვარ, რომ ის ასე ფიქრობს ჩემზე.

**- ამბობენ, რომ "რეალთან" კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ.**

- მართალია. მინდა, რომ ახლანდელი კონტრაქტის დასრულების შემდეგ ისევ "რეალში" დავრჩე. მადრიდში ბედნიერი ვარ, მე მომწონს აქ. "რეალში" გატარებული სამი წლის შესახებ მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები და თუ მათაც ენდომებათ, "რეალში" კარიერის ბოლომდე ვითამაშებ. ძალიან მინდა, კარიერა "რეალის" თეთრ მაისურაში დავამთავრო.

**- ამბობენ, რომ მსაჯები "რეალს" ეხმარებიან.**

- მსაჯები თავის საქმეს აკეთებენ. ისინი პროფესიონალები არიან და არავისაც არ ეხმარებიან. ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ იმისთვის, რომ ჩვენ გაგვაკრიტიკონ.

**- როგორ ახერხებთ უმაღლეს დონეზე თამაშს, როცა ასეთი დაძაბული გრაფიკი გაქვთ?**

- ჩვენს გუნდს შესწევს უნარი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითამაშოს უმაღლეს დონეზე. გარდა ამისა, სათადარიგო ფეხბურთელები ამტკიცებენ, რომ საჭირო მომენტში მათ უმაღლესი კლასის თამაშის ჩვენება შეუძლიათ. შესაძლოა, 60 მატჩის შემდეგ დაღლა ვიგრძნოთ. ეს იგივეა, რაც ორი სეზონის შეუსვენებლივ თამაში. 36 წლის ფეხბურთელისთვის ძნელია, ასეთ ტემპს გაუძლოს.

**- ახლა "რეალი" ერთადერთი გუნდია, რომელიც ყველა ტიტულისთვის იბრძვის.**

- ჯერ არც ერთი ტურნირიდან არ გამოვვარდნილვართ. მომავალშიც გავაგრძელებთ ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის ბრძოლას.

**- წინ გაქვთ მატჩი "ბაიერნთან".**

- თებერვლის ბოლო ყველაზე კარგი დროა "ბაიერნთან" სათამაშოდ. მათ შესანიშნავი გუნდი ჰყავთ. მომავალი მატჩები ძალიან დაძაბული იქნება და, შესაძლოა, უმნიშვნელოვანესიც მთელ სეზონში. ორი წლის წინათ "ბაიერნს" 2:0 მოვუგეთ. იმედი გვაქვს, ახლაც ასე იქნება.

**- რას ფიქრობთ ტოტიზე, როგორც ფეხბურთელზე?**

- ის დიდი ფეხბურთელია. "რომაში" დიდ სამუშაოს ასრულებს და ამ გუნდის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ის ჩემს პოზიციაზე თამაშობს.

**- დაუჯერეთ თუ არა ანრის, როცა მან განაცხადა, რომ "რეალში" თამაში არ უნდა?**

- თუ ის ამბობს, რომ "რეალში" თამაში არ სურს, მაშინ მე არ მაქვს მიზეზი იმისა, რომ მის ნათქვამში ეჭვი შევიტანო. როდესაც ფეხბურთელი რაღაცას ამბობს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ის გულწრფელია. მან "არსენალთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა, როგორც ჩანს, ლონდონში ყოფნით და თავისი სამსახურით ის კმაყოფილია. ასე რომ, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის გადაწყვეტილებას. მე არ ვარ პრეზიდენტი და არც სპორტული დირექტორი. მე არ ვწყვეტ, ახალი ფეხბურთელები გვჭირდება თუ არა. ამას ფლორენტინო პერესი წყვეტს.

**- მაგრამ არიან ფეხბურთელები, რომლებმაც აზრი შეიცვალეს...**

- ყველას განსხვავებული ხასიათი აქვს. როდესაც მე გადავდიოდი "რეალში", ხმამაღლა და გარკვევით ვთქვი, რომ "იუვენტუსის" მიტოვება და "რეალში" გადასვლა მსურდა.

ფორმულა 1

## ამ სეზონში მიხაელ შუმახერი ველარ გაიმარჯვებს!

### რა აზრისაა მიკა ჰაკინენი თანამედროვე ფორმულა 1-ზე

ნინო პირველი

ის დიდხანს იყო ჩუმად. კარიერის დასრულების შემდეგ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, ერიდებოდა მედიასთან ურთიერთობას, ინტერვიუს მიცემას, კომენტარების გაკეთებას. ფინელი პილოტი მიკა ჰაკინენი, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ცნობილი ფიგურა, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ბოლო წლებში ისე იქცეოდა, კაცი იფიქრებდა, რომ საერთოდ აღარ აინტერესებდა თავისი ყოფილი პროფესია. მეუღლე და შვილები მისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო. თითქოს სხვა აღარაფერი ახსოვდა, მაგრამ როცა მიხაელ შუმახერი მეექვსედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და მეშვიდე ტიტულის მოპოვებაზე ალაპარაკდა, მიკა ჰაკინენმა დუმილი დაარღვია და ანალიტიკური ინტერვიუ მისცა "F1 Racing"-ს. როგორც გაირკვა, თურმე ფინელ პილოტს არ სჯერა, რომ "ფერარის" გერმანელი საოცრება 2004 წელსაც მოახერხებს ყველა მეტოქის ჩამოტოვებას და იტალიურ საჯინიბოს კიდევ ერთხელ მოუტანს გამარჯვებას. "ფერარი" ისე უცნაურად იქცევა, რომ თავად იძლევა ეჭვის საფუძველს. იტალიელები არაფრით არ ახდენენ საჯაროდ ახალი ბოლიდის შესაძლებლობების სრულ დემონსტრირებას. მაინც რატომ? F2004-ს პრობლემები აქვს თუ "ფერარის" არ სურს ვადაზე ადრე ყველა კარტის გახსნა? წლევანდელი სეზონი 7 მარტს დაიწყება მელბურნში, მანამდე კი იტალიელებს არ უნდათ, მეტოქე საჯინიბოებმა ბევრი რამ იცოდნენ მათი ახალი ბოლიდის შესახებ. რაკი "ფერარი" ყველაფერს ასე ასაიდუმლოებს, სპეციალისტები ლუკა დი მონტეძემოლოს გუნდის საჩემპიონო შანსებს მაინცდამაინც მაღალ შეფასებას არ აძლევენ. "წლეულს ფავორიტი "უილიამსია". მათი მანქანა საათის მექანიზმივით მუშაობს", - ამბობს ექს-პილოტი კრისტიან დანერი. BMW FW 26 -ს უკვე 10198 კილომეტრი აქვს გავლილი, მაკლარენ MP4-19-ს - 9500. მსოფლიო ჩემპიონმა კი ახალი ბოლიდით აქამდე 1170 კილომეტრის გავლა მოასწრო. 6 თებერვალმდე ახალი მანქანით მხოლოდ მიხაელ შუმახერი დაბრძანდებოდა, შაბათს მისი კოლეგა რუბენს ბარიკელო პირველად მიუჯდა F2004-ის საჭეს. თავად მიხაელ შუმახერი ახალ ბოლიდს არ ემდურის, არც იმაში ეპარება ეჭვი, რომ მეშვიდე ტიტულსაც შესწვდება, სპეციალისტები კი უფროს "შუმის" დაჟინებით უწინასწარმეტყველებენ წარუმატებლობას. ზემოთ ხსენებული მიკა ჰაკინენი, როგორც ჩანს, მეტად ანტიპათიურად არის განწყობილი ორივე ძმის მიმართ. მიხაელზე ხომ თქვა, ჩემპიონი ვერ გახდებაო, მერე ადგა და რალფი საერთოდ მიწასთან გაასწორა - რას უნდა ელოდე იმ კაცისგან, რომელმაც ვინ იცის, რამდენჯერ გაატანა ქარს გრან-პრის მოგების რეალური შანსიო. "მფრინავი ფინელი" მხოლოდ თავის თანამემამულე კიმი რაიკონენის მიმართ იჩენს გულმოწყალებას, მხოლოდ მას მიიჩნევს წინა თაობის ღირსეულ მემკვიდრედ, სხვა დანარჩენი პილოტები, მისი აზრით, ახლოსაც ვერ მივლენ ფორმულა 1-ის ყოფილ ვარსკვლავებთან: "კიმი რაიკონენს ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ მიხაელ შუმახერის ჰეგემონია დაამხოს და 2004 წლის გამარჯვებული გახდეს", - ამბობს მიკა ჰაკინენი.



*მიკა ჰაკინენი ჩემპიონობის დაბრუნებას აპირებს.*

მოდით, ახლა ერთად გადავხედოთ, რა აზრის ბრძანდება წარსულში სახელგანთქმული ფინელი სპორტსმენი თანამედროვე ფორმულა 1-ზე და ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლ პილოტებზე:

**რალფ შუმახერი:** "ვფიქრობ, მან უფრო მეტი უნდა იმუშაოს და ნაკლები დრო დაუთმოს პრესასთან ურთიერთობას. ის ზოგჯერ ძალიან, ძალიან კარგია, ზოგჯერ კი საერთოდ არაფერი გამოსდის, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ტექნიკური პრობლემა არა აქვს. 2003 წელს ის, უბრალოდ, მზად არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ დიდი მიზნებისთვის ებრძოლა."

**ხუან პაბლო მონტოია:** "რალფის მსგავსად, მასაც უყვარს ბევრი ლაპარაკი და ტრაბახი. 2002 წელს შვიდი პოული მოიგო, მაგრამ 2003 წელს საკვალიფიკაციო რბოლებში ხშირად რალფზე უფრო ნელი იყო. ვფიქრობ, ის ზოგჯერ ძალიან ფრთხილია და რისკზე არ მიდის. იმედია, ამას გააზრებულად აკეთებს."

**ფერნანდო ალონსო:** "არა მგონია, ფერნანდო კიმი რაიკონენის კლასის პილოტია. აქამდე მისთვის ისეთი არაფერი შემინიშნავს, რითაც მის გარეშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამართლება ყოფილიყო შესაძლებელი. ის სწრაფია, მაგრამ არის კი ისე სწრაფი, როგორც მიხაელი? თუნდაც, როგორც კიმი? ამაში დარწმუნებული არა ვარ. გასულ წელს მას გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა იარნო ტრულისთან და ამ დუელიდან ვერც ერთი ვერ გამოვიდა გამარჯვებული. ფერნანდო რომ მართლაც სწრაფი ყოფილიყო, გასულ სეზონს უკეთესი შედეგით დაასრულებდა."

**ჯეისონ ბატონი:** "როგორც კი გამოჩნდა, მაშინვე ახალი სენა შეარქვეს. ჩემი აზრით, ეს სასაცილოა. ის დამწყები იყო და არა სუპერვარსკვლავი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ახლა მაინც მიხვდა ამას."

რამდენად სწორია ჰაკინენის შეფასებები, ამას სულ მალე დავინახავთ. პირველი პასუხი უკვე 7 მარტს გახდება ცნობილი.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს, ეროვნული ნაკრების შვედ მწვრთნელს სვენ-გორან ერიქსონს კონტრაქტი 2008 წლამდე გაუგრძელოს. გაზეთ "სან სპორტის" ცნობით, მოლაპარაკებები მას შემდეგ დაჩქარდა, რაც ერიქსონმა აღიარა, რომ "ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა მას თავის გუნდში მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მილანი" სლოვენიის ახალგაზრდული ნაკრების (18 წლამდე) კაპიტან სანდრო ბლოუდეკს აკვირდება. "როსონიერის" ხელმძღვანელობა "მარიბორის" ამ ნახევარმცველთან კონტრაქტის გაფორმებას სეზონის ბოლოს აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" მეკარემ, ვიქტორ ვალდესმა "ოსასუნასთან" მატჩში სეზონში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო და მადრიდის "ატლეტიკოსთან" მორიგი ტურის შეხვედრას გამოტოვებს. გუნდის მწვრთნელს, ფრენკ რაიკაარდს მოუწევს, რუშთუსა და ხორკერს შორის არჩევანი გააკეთოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი, თურქი ილხან მანშიზი საფეხბურთო კარიერას იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ "ვისელ კობეში" გააგრძელებს. ბოლო დრომდე ფორვარდი "ბეშიქთაშის" ღირსებას იცავდა. მანშიზმა ახალ კლუბთან კონტრაქტი 2006 წლის 31 იანვრამდე გააფორმა. ის პირველი თურქი იქნება, რომელიც ჯეი-ლიგაში ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ლივერპულისა" და ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელი ჰარი კიუელი ოკეანიის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ეს ჯილდო კიუელმა უკვე მესამედ მიიღო. კიუელმა გამოკითხვაში თანამემამულე მარკ ვიდუკასა და ახალზელანდიელ რაიან ნელსენს აჯობა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** სახელოვანი გორან ივანიშევიჩი ცდილობს, ჩოგბურთში დასაბრუნებლად ძალები უკანასკნელად მოიკრიბოს. მან მხრის ტრავმა მთლიანად მოიშუშა და ამ კვირაში მილანის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამას გარდა, უკვე მიიღო როტერდამის ტურნირის "ველური ბარათი". 32 წლის ივანიშევიჩმა ჩოგბურთში დაბრუნების გადაწყვეტილება აგასის მაგალითზე მიიღო. "როცა დავინახე, როგორ უსწორდება 34 წლის აგასი მასზე 10 წლით უმცროს მეტოქეებს, ვიფიქრე: მე რატომ არ უნდა ვცადო". 2001 წელს უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ ივანიშევიჩს დიდი ტურნირი აღარ მოუგია, 2002 წელს კი საერთოდ არ უთამაშია.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიო ჩოგბურთის ყოფილი ლიდერი ტომას მუსტერი ავსტრიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გახდა. მან ამ პოსტზე შეცვალა გიუნტერ ბრესნიკი, რომელმაც აშშ-ის გუნდთან დამარცხების შემდეგ დატოვა თანამდებობა. "ჩვენ უაღრესად ახალგაზრდული და ამბიციური გუნდი გვყავს. იმედი მაქვს, ჩემი გამოცდილება ავსტრიულ ჩოგბურთს უმაღლეს მწვერვალზე დაბრუნებაში დაეხმარება", - განაცხადა მუსტერმა.

■ ■ ■

**ცურვა.** სლოვაკმა მარტინა მორავცოვამ და ამერიკელმა ედ მოზესმა "პატარა წყალზე" ცურვაში მსოფლიო თასი მოიგეს. საერთო ჩათვლაში 1007 ქულით მორავზოვამ რუმინელი კამელია პოტეცი და უკრაინელი იანა კლოჩკოვა ჩამოიტოვა. მოზესმა 1041 ქულა მოაგროვა და თანამემამულე ეჟილეზაკსა და სამხრეთაფრიკელ რიკ ნიტლინგზე წინ აღმოჩნდა. შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება მსოფლიო რეკორდები და ის ადგილები, რომლებიც მონაწილეებმა მსოფლიო თასის ეტაპებზე დაიკავეს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ჯორდანის" პილოტის ვაკანტურ ადგილზე ახალ ფავორიტად იტალიელი ჯორჯო პანტანო მოგვევლინა. მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელ იოს ფერსტაპენთან მოლაპარაკება ჩაიშალა, "ჯორდანის" ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა პანტანოს, რომელიც ფორმულა 3000-ის შარშანდელ სეზონში მესამე ადგილზე გავიდა. ამ სპორტსმენს უკვე აქვს ფორმულა 1-ის ბოლიდის მართვის გამოცდილება. ადრე მან ძალები მოსინჯა "უილიამსის", "მაკლარენისა" და "ბენეტონის" ტესტ-პილოტის რანგში. თუ პანტანოსთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, "ჯორდანის" გუნდში ის პარტნიორობას გაუწევს გერმანელ ნიკ ჰაიდფელდს, რომელმაც ბრიტანულ საჯინიბოსთან კონტრაქტი ადრე გააფორმა. იტალიელის გარდა, "ჯორდანის" კოკპიტში ადგილზე რალფ ფირმანი და ალან მაკნიშიც აცხადებენ პრეტენზიას.

■ ■ ■

**ჰოკეი.** მარკ მესიემ ყველა ვარსკვლავის მატჩის რეკორდი დაამყარა. თამაშის პირველ პერიოდში ადრიან ოკოინუსთვის გადაცემული მისი შედეგიანი გადაცემა ამგვარ მატჩებში მე-14 იყო. მესიემ გაასწრო რეი ბურკს, რომელმაც ყველა ვარსკვლავის მატჩებში 13-ჯერ იკისრა ასისტენტობა.

რაგბი

# ბორჯღალოსნები საპორტუგალიოდ შეიკრიბნენ

პაატა თოთაძე

ევროპის ერთა თასის პირველ მატჩამდე ხუთი დღით ადრე საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ დაასახელა იმ მოთამაშეთა ვინაობა, ვინც კვირას "ლოკომოტივის" სტადიონზე დაუპირისპირდებიან პორტუგალიის ეროვნულ გუნდს.

გუშინ საღამოს პარიზიდან ჩამოვიდა ნაკრებში გამოძახებული ცხრა ლეგიონერი და საპორტუგალიო 22-კაციანი შემადგენლობაც შეივსო:

**პირველი ხაზი** – კოპალიანი, ღვაბერიძე, ხინჩაგიშვილი, კუთარაშვილი, სუჯაშვილი.

**მეორე ხაზი** – ზედგენიძე (კაპ), გორგოძე, მჭედლიშვილი

**მესამე ხაზი** – მაისურაძე, უდესიანი, ურუშაძე, ბელქანია

**ნახევარმცველები** – მოდებაძე, სამხარაძე, კვინიხიძე

**სამმეოთხედელები** – ალანია, ზიბზიბაძე, ანდღულაძე, მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, გუგავა

**მცველი** – ხამაშურიძე

მათ გარდა, ნაკრებში გამოძახებულნი იყვნენ გოდერძი შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, დავით აშვეთია, გრეგ იაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე და გია ჩხაიძე, თუმცა, ყველა მათგანს ტრავმა აქვს და საკვირაოდ გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებენ. რაც შეეხება საფრანგეთში მობურთალ სხვა ქართველ მორაგბეებს, ნაკრების ხელმძღვანელობამ პორტუგალიასთან მატჩისთვის ზოგიერთის გამოძახებისგან თავი შეიკავა, ზოგმაც სანაკრებო კარიერის დასრულების სურვილი გამოთქვა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გასაჭირის შემთხვევაში ისინი ეროვნულ გუნდს არ დაეხმარებიან. ნაკრების უფროსის, მიშა ბურძგლას თქმით, თუ ამის საჭიროება იქნება, ნაკრებში თამაშზე უარს არავინ იტყვის. ასეთივე ვითარებაა ლევან ცაბაძესთან დაკავშირებითაც. საერთო ჯამში ნაკრების ხელმძღვანელობა გუნდის გადახალისებაზე, გაახალგაზრდავებაზე ფიქრობს. დროთა განმავლობაში ის მოთამაშეები, რომლებმაც მსოფლიო თასზე ითამაშეს, სულ უფრო იშვიათად გამოჩნდებიან ეროვნულ გუნდში. ბუნებრივი პროცესია და ამას ვერავინ გაექცევა. მწვრთნელების მთავარი საზრუნავი კი ისაა, რომ შემადგენლობის ცვლა როგორმე უმტკივნეულოდ განახორციელონ.





*თედო ზიბზიბაძე და მახო ურჯუკაშვილი თბილისის აეროპორტში.*

რაც შეეხება მეტოქეს, პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა ჯერჯერობით ვერ შეარჩია ის 22 მოთამაშე, რომელსაც თბილისში ჩამოიყვანს, არჩევანის გაკეთება კი ახლა შეკრებაზე მყოფი ამ 33 მორაგბისგან მოუწევს:

*ჟოზე კარლუში, ლორენსო ანდრადე, პაულო სანტუში, სებასტიანუ კუნია, ანტონიო კუნია, ფრანსისკო მორეირა, ნუნუ გარვაუ, დიოგუ მატეუში, დავიდე მატეუში, პედრო სილვა (ყველა "ბელენენსეში"), ფრედერიკო ნუნიეში, ფრედერიკო სოუზა, ანტონიო აკილარი, ვასკო უვა, პედრო კარვალიუ, ბერნარდო მოტა, გონსალო უვა (ყველა "დირეიტო"), მარსელო დურეი, ჟოაკიმ ფერეირა, ჟორო ლიმა, ანტონიო სარმენტო, გონსალო მალეირუ (ყველა "CDUP"), ლუიშ პისარა, გონსალო ბაროში, დუარტე პინტუ, ლუიშ ფიკეირედუ (ყველა ყველა "აგრონომია"), რუი კორდეირუ, ვასკო კუსეირუ, გონსალო ნეტუ (ყველა "აკადემიკა"), პაულო გონკალვეში, ფელიპე გრენიუ (ყველა "ბენფიკა"), პაულო მურინელუ ("CDUL"), პედრო ლეალი ("ბრივი" საფრანგეთი).*

აქამდე ევროპის ერთა თასზე ბორჯღალოსნები სამჯერ შეხვედრიან პორტუგალიელებს. ორი მატჩი პორტუგალიაში გაიმართა, ერთი - თბილისში. პირველი მატჩი, 2001 წელს, ქართველებმა 36:12 მოიგეს, მომდევნო, უკვე პორტუგალიაში, – 27:23, შარშან კი ისევ პორტუგალიაში დავმარცხდით – 34:30. როგორც ხედავთ, პორტუგალიის ნაკრების პროგრესი წლიდან წლამდე აშკარაა. შესაძლოა, პორტუგალიელთა წინსვლა ვინმემ ისევ ქართველებს დააბრალოს – მოულოდნელად წააგესო, არაერთხელ ითქვა შარშან. ეს რომ ასე არაა, რუმინეთის მაგალითიც მეტყველებს – 2001 წელს რუმინელებმა მშრალზე, 47-ქულიანი სხვაობით დაამარცხეს პორტუგალიელები, ერთი წლის შემდეგ ანგარიშში სხვაობა უკვე 20 ქულა იყო, შარშან კი სულაც პორტუგალიელებმა მოიგეს. აქედან გამომდინარე, კვირას ქართველებს დიდი ბრძოლა ელით. ნაკრების კაპიტნის, ილო ზედგენიძის თქმისა არ იყოს, ქართველებმა უნდა შეწყვიტონ პორტუგალიელთა აღმასვლა, თუმცა, გაახალგაზრდავებული შემადგენლობით ამის გაკეთება ერთიორად გაძნელდება.

ალპინიზმი

# სტუმრად ანდებში აკონკაგუასთან



*აკონკაგუას სამხრეთის ხედი პუენტა დელ-ინკადან.*

ბიბა ბურასაშვილი

ბიძინა გუჯაბიძემ ჰიმალაებში ხეტიალის შემდეგ ანდებს მოულერა წერაყინი. მართალია, ჰიმალაებიდან დაბრუნებული გუჯაბიძე სულის მოთქმის შემდეგ ტიან შანისკენ გაემართა, მაგრამ ახლანდელი ექსპედიცია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალის აკონკაგუას (6962 მ.) დაპყრობას ისახავს მიზნად. შარშან, როდესაც ქართველმა მთამსვლელმა მეორედ დალაშქრა ევერესტი (8848 მ.), მის თითოეულ ნაბიჯზე ეტაპობრივად ჩვენი გაზეთიც იუწყებოდა. ვაქვეყნებდით დღიურებს, რაშიც ექსპედიციის ხელმძღვანელი ალექსანდრ აბრამოვი გვეხმარებოდა. გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ პირობებში უწევთ მთამსვლელებს ყოფნა, ამჯერადაც შეგიქმნით და ისევ ალექსანდრ აბრამოვის დახმარებით.

ფათერაკების მაძიებელთა ჯგუფი - "ალპინდუსტრია" 31 იანვარს ერთდროულად ორი მიმართულებით გაემგზავრა. პირველმა ჯგუფმა, რომელშიც 11 კაცი შედის, ტანზანიაში, აფრიკის უმაღლესი მწვერვალის, კილიმანჯაროს (5895 მ.) დასალაშქრავად, ხოლო მეორე, 18-კაციანმა ჯგუფმა, ექსპედიციის ხელმძღვანელის ლუდმილა კოროზეშკოსა და ალექსანდრ აბრამოვის კაპიტნობით, არგენტინისკენ, კერძოდ, ანდებისკენ აიღო გეზი. ასე რომ, "ალპინდუსტრიის" წევრები აფრიკისა და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების უმაღლეს მწვერვალებს უტევენ. ჩვენ მეორე ექსპედიცია გვაინტერესებს, რადგან მასში ბიძინა გუჯაბიძეა.

ვაქვეყნებთ აბრამოვის მიერ ინტერნეტით გავრცელებულ ჩანაწერებს.

**1 თებერვალი:**

"ცივი და სუსხიანი მოსკოვიდან 31 იანვარს გავფრინდით და ბარსელონაში, პალმებს შორის დავეშვით, სადაც 15-გრადუსიანი სითბო დაგვხვდა. ესპანელებმა არატრანზიტულ ზონაში შეგვყარეს, სადაც ვიზების გარეშე ბუენოს აირესის რეისამდე მთელი 9 საათი უნდა გვეყურყუტა. მოვიწყინეთ, არადა, ფანჯრებს მიღმა პალმები და ზღვაა. ბოლოს ვერ მოვითმინეთ და შეტევაზე გადავედით – მესაზღვრეებს დავუსხლტით.

ოთხი საათი ესპანეთის ზღვის სანაპიროზე თოლიების ცქერით ვტკბებოდით და პაელიას (ესპანური კერძი) შევექცეოდით. თქვენ წარმოიდგინეთ, საპროტესტო აქციაშიც მივიღეთ მონაწილეობა. მერე აეროპორტში დავბრუნდით. ჩვენს დანახვაზე მესაზღვრეებს ყბა ჩამოუვარდათ. არაფერი უთქვამთ, დაბნეულებმა, ვიზების გარეშე უკან შეგვიშვეს. ცხოვრებაში პირველად ვიფრინეთ ორსართულიანი "ბოინგ 733"-ით, სადაც 70 რიგია, თითოეულში ათ-ათი ადგილით. აბა, ამის მერე კიდევ იტყვით, რუსეთი ავიამშენებლობაში პირველი ქვეყანააო?"

14-საათიანმა ფრენამ ძალიან დაგვღალა. ესეც არგენტინა!!! ზაფხული!!! მწვანეში ჩაფლული ლამაზი ბუენოს აირესი; ფართო პროსპექტებითა და ვიწრო ქუჩებით; XIX-XX საუკუნეში აგებული შენობებით. სანაპიროზე რესტორანია, რომელსაც ჰქვია "დაენიე ძროხას". აქ რვა დოლარად მოგართმევენ ერთ ლიტრ ღვინოსა და ხორცს. "ჭამე რამდენიც გინდა, გასკდომამდე".

სადილის შემდეგ, ორ საათში, ურიკების გამოძახება დაგვჭირდა. ქალაქი უფრო ბრწყინვალე გახდა. ვის აღარ ნახავთ ქუჩაში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით რუსებს, უკრაინელებს. ქუჩაში ტანგოს მოცეკვავე რუსიც კი ვნახეთ. და კიდევ, როგორ გგონიათ, ბულვარში ვინ ყომარბაზობს? ვინ და ჩეჩენი".

**2 თებერვალი:**

"დილით, 06:30 საათზე, მენდოზაში გადავფრინდით. მენდოზაში შეგვეგება მეგზური ხებერ ორონა, რომელსაც, სხვათა შორის, 1999 წელს ევერესტი დაუპყრია, ხოლო ორი წლის წინათ კავკასიონზე, იალბუზზე ყოფილა. არგენტინელი მეგზურები ძლიერები არიან. მწვერვალისკენ გაგვიძღვება ავგუსტა ორტეგა, რომელიც ევერესტზე ორჯერ, ხოლო აკონკაგუაზე 73-ჯერ ყოფილა.

მენდოზა მწვანე ქალაქია. მწვერვალზე ასვლის ნებართვა თითოეულ კაცზე 200 დოლარად ვიყიდეთ. ამისთვის ყოველი ჩვენგანი ვალდებული იყო, პერსონალურად ხლებოდა ეროვნული პარკის ხელმძღვანელობას".

**3 თებერვალი:**

"როგორც იქნა, უსასრულო გადაფრენებისა და უღელტეხილებზე ხეტიალის შემდეგ ნორმალური ძილის საშუალება მოგვეცა. დილით უცნაურმა ხმამ გაგვაღვიძა - მეეზოვეები პალმის რტოებით ქუჩას გვიდნენ.

მენდოზიდან კურორტ პენიტენსამდე ექვსი საათის გზაა. წასახემსებლად ერთხელ შევჩერდით, სადაც ჩვეულებისამებრ მოგვართვეს თევზის ვეება ნაჭერი და ბოთლი ღვინო თითო კაცზე.

გზა მთის ხეობაზე გადის და პერიოდულად გვირაბებში შედის. ზოგან ნაკადულები მოჩუხჩუხებს. თუ კიდევ გააგრძელებთ გზას, მაშინ ჩილეს საზღვართანაც აღმოჩნდებით (მწვერვალი აკონკაგუა არგენტინასა და ჩილეს შორისაა.-რედ.). იქიდან სანტიაგომდე კი ერთი ხელის გაწვდენაა.

პენიტენსი სამთო სათხილამურო კურორტია. ზღვის დონიდან 2700 მეტრზე მდებარეობს. იქვე მოვაწყვეთ სააკლიმატიზაციო გასვლა და ფეხით 3000 მეტრამდე ავედით. თავს ყველა კარგად გრძნობს. ხვალისთვის ჯორებს მორეკავენ და ზევით დავიძვრებით".

**4 თებერვალი**

"პენიტენსიდან გავემართეთ და ოც წუთში ეროვნული პარკის "Puenta del Inca"-ს შესასვლელთან ვიდექით. აქედან საბაზო ბანაკამდე ბილიკი მიდის. უცებ ქედის იქიდან ოთხადგილიანი შვეულმფრენი გამოჩნდა. იქიდან გადმოვიდა ბუმბულისქურთუკიანი და პლასტიკურბოტებიანი კაცი, რომელსაც ხელები ჰქონდა მოყინული. აშკარაა, რომ ყველაფერი არცთუ ისე იოლია მთაში.

ბილიკებს ზევით გავუყევით. თავს დაგვყურებდა პირქუში კლდეები. ხეობის ბოლოს კი აკონკაგუას უზარმაზარი ქათქათა სამხრეთის კედლი მოჩანს.

როგორც იქნა, 3400 მეტრზე Confluencia-ს ბანაკში ვართ. სიტყვა Confluencia ითარგმნება როგორც "თავის ტკივილი". ეს პირველი სასიმაღლო ბანაკია. მეორე და უფრო სარწმუნო მნიშვნელობა სიტყვისა ასე ჟღერს – "ორი მდინარის შერწყმა". მდინარეები მშფოთვარე, წყალი კი მუქი ყავისფერია.

ქარიანი და ცივი ამინდია. ბანაკში ნახევარსფეროს მსგავს უზარმაზარ კარავში დაგვაბინავეს. სამზარეულოსაც ნახევარსფეროს ფორმა აქვს. საწუწუნო არაფერი გვაქვს. კარვებიც კარგია და საჭმელიც. არგენტინელები გულღია და თბილი ხალხია.

**5 თებერვალი:**

ვინმემ არ გაგვთვალოს, ბრწყინვალე ამინდია. გუშინდელი მსვლელობის შემდეგ ნახევარი გუნდი გარუჯულია. დილიდან გასაღების ძებნას ვიწყებთ, რადგან თითოეულ ბანაკს საკუთარი ჩარაზული საპირფარეშო აქვს.

ყველა პრობლემა უკან მოვიტოვეთ და აკლიმატიზაციისთვის აკონკაგუას სამხრეთის ცნობილი კედლისკენ მივემართებით. სამი საათის შემდეგ ჩვენ წინ იშლება ულამაზესი ხედი – ყინულის კულუარებით გადაკვეთილი დაკიდული კედლები. ვიპოვეთ ტომას ჰუმარის მიერ გამართული მარშრუტი (ჰუმარი ცნობილი ამერიკელი მეგზურია, რომელიც ყოველწლიურად ექსპედიციებს აწყობს იალბუზზე. ამერიკელ მეგზურს ექსპედიციის წევრები ბანაკში 4 თებერვალს შეხვდნენ.-რედ.).

საღამოს არგენტინელებს "კატიუშა" ვუმღერეთ. ისე დავმეგობრდით, რომ ცოტა ხანში ორი ბოთლი შუშხუნა ღვინო მოგვიტანეს. სასმელზე უარი ვუთხარით. ხვალ მძიმე დღე გველის. "Confluencia"-ს ბანაკიდან "Plaza de Mulas" ბანაკში 4300 მეტრზე უნდა ავბარგდეთ. თავს ყველა კარგად გრძნობს".

ნესტან ნიჟარაძე იუსტინა მილნიკიევიჩი

რეპორტაჟები (ფოტო)კომენტარებით



# "გიჟები არ არსებობენ!"

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

კლინიკა 1959 წელს აშენდა და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები მას შემდეგ აღარ ჩატარებულა. კედლები გაბზარულია, ჭერიდან წყალი ჩამოდის. გათბობის სისტემა, რა თქმა უნდა, არ ფუნქციონირებს და თელასიც არსებული დავალიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდებაზე ხშირად უარს ამბობს. არ არის თეთრეული და ვერ ხერხდება ელემენტარული სანიტარული ნორმების დაცვა, რაც პაციანტების დატილიანების მიზეზი ხდება. არ არის საკმარისი რაოდენობის მედიკამენტები. პაციენტების კვებაზე დღეში 1 ლარი და 70 თეთრია გამოყოფილი. რეგულარულად მიღებული ჰუმანიტარული დახმარება რომ არა, კლინიკა პაციენტების გამოკვების პრობლემის წინაშე დადგებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფსიქიატრიულ კლინიკებში შექმნილი ვითარების დამამძიმებელ ფაქტორთაგან ერთ-ერთი, რა თქმა უნდა, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაა, ხოლო მეორე, სამწუხაროდ, სახელმწიფოს და საზოგადოების ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისადმი დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება ხშირად მხოლოდ შიშით, არაჯანსაღი ინტერესით და ავადმყოფების სრული იზოლირების სურვილით შემოიფარგლება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პაციენტები სოციალურად საშიშები არ არიან.

■ ■ ■

ფსიქიკური დარღვევების გამომწვევ მიზეზთა შორის მძიმე სოციალური ფაქტორები სახელდება. ფსიქიკური აშლილობის მანიფესტაცია ხშირად შიდა და გარე ფაქტორების ურთიერთზემოქმედებაზეა დამოკიდებული. სიღარიბეს, ომს, იძულებით გადაადგილებას და სხვა სოციალურ კატაკლიზმებს შეუძლია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობის მანიფესტაციას, ან გავლენა მოახდინოს დაავადების სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შიზოფრენიით 7,5 მილიონი ადამიანია დაავადებული, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში ეს ციფრი 37,5 მილიონს აღწევს. ჩვენს რეალობაში არა თუ ფსიქიკური აშლილობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე, არამედ იმ პირობების გაუმჯობესებაზეც არავინ ფიქრობს, რომლებშიც ფსიქიატრიული საავადმყოფოების პაციენტები იმყოფებიან.

თუ იმ მაჩვენებელსაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში 100 ათასი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანია რეგისტრირებული (სავარაუდოდ, იგივე რაოდენობა არ არის რეგისტრირებული!) და მომდევნო წლებში მათი რაოდენობის შემცირების არანაირი წინაპირობა არ არსებობს, ნათელი გახდება, რომ მედიცინის ამ დარგის რეორგანიზაციის საკითხი სამომავლოდ გადადებას არ ითმენს.

## ფსიქიატრიული კლინიკა - სააქციო საზოგადოება(?!)

თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკაში, დღევანდელი მონაცემებით, სტაციონარულ დახმარებას 240 პაციენტი იღებს (როგორც წესი, პაციენტების რაოდენობა გაზაფხულზე მატულობს და 280-ს აღწევს).

სამი წლის წინ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებებისთვის სტატუსის შეცვლის საკითხი დადგა, თბილისის ფსიქიატრიის ინსტიტუტი სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა. ეს სტატუსი ინსტიტუტის აქციონერებისათვის მოგების მოტანას გულისხმობს. თუმცა, როგორ ან ვის ხარჯზე უნდა იქცეს ფსიქიატრიის ინსტიტუტი მომგებიან საწარმოდ, გაუგებარი რჩება. სამაგიეროდ, გასაგები და ნათელია, რომ ფსიქიატრიის ინსტიტუტი, ისევე როგორც მეწარმეთა კანონის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სხვა საწარმო, იხდის ყველა სავალდებულო გადასახდს, რომელიც ინსტიტუტის საერთო ბიუჯეტის 30 პროცენტს შეადგენს.

ის პარადოქსი, რომ საქართველოს კანონმდებლობა ფსიქიატრიულ დაწესებულებას თავისი სტატუსის გამო მომგებიან საწარმოდ განიხილავს, სხვა მრავალ პარადოქსსაც იწვევს. თუმცა, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სხვა საწარმოებისგან განსხვავებით, იგივე სახელმწიფოსგან დაფინანსების მიუღებლობის შემთხვევაში, ფსიქიატრიის ინსტიტუტი ვერ შეაჩერებს მუშაობას და ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს კლინიკიდან ვერ დაითხოვს.

ინსტიტუტის კლინიკა ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობს. პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც 1996 წელს შედგა, 3 მილიონ ლარს შეადგენს. უკანასკნელი წლების მანძილზე მასში ცვლილებები აღარ შეტანილა, მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუნდაც საყოფაცხოვრებო გადასახადების ტარიფები. სურათი ნათელი ხდება ერთი პატარა დაზუსტების მეშვეობით: სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წელიწადში 3 მილიონი ლარი პაციენტზე დღეში მხოლოდ 6 ლარის დახარჯვის შესაძლებლობას იძლევა. ამ 6 ლარში შედის პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, კვება, სამეურნეო გადასახადები და თანამშრომლების ხელფასები. ევროპული მაჩვენებლების გათვალისწინებით, სურათი არა თუ ნათელი, შემზარავიც კი ხდება: ევროპული სტანდარტის მიხედვით, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მკურნალობაზე გათვალისწინებული დღიური ბიუჯეტი მინიმუმ 500 ევროს შეადგენს.

2003 წელი ისე დასრულდა, რომ კლინიკას სახელმწიფო პროგრამიდან ორი თვის ფული ჯერ არ მიუღია. 2000 წლამდე დაგროვილი ვალი კი 250 ათასი ლარია. "ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ნორმალურად მოვუაროთ პაციენტებს, - ამბობს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ნანეიშვილი, - არც იმის შესაძლებლობა გვაქვს, ეფექტურად წარვმართოთ მკურნალობის პროცესი და სრული მოცულობით შევიძინოთ მედიკამენტები, ხელფასებით უზრუნველვყოთ ჩვენი თანამშრომლები, რომლებიც უმძიმეს სამუშაოს ასრულებენ; ალარაფერს ვამბობთ ელემენტარული სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე."

ბოლო სამი წლის განმავლობაში ფსიქიატრიული პროგრამა, ფაქტობრივად, აღარ მუშაობს. ეს კი, პირველ რიგში, პაციენტების საერთო მდგომარეობაზე და კლინიკაში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებზე აისახება. "პირობები, რომლებშიც პაციენტები ამჟამად იმყოფებიან, ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში მამაკაცთა მეორე კლინიკური განყოფილების გამგე ლალი ბანძელაძე, - ეს დაუშვებელიც კი არის. მაგალითად, ელექტროენერგიის გათიშვა და სიბნელეში ყოფნა პირდაპირ აისახება მათი მდგომარეობის გამწვავებაზე (იყო შემთხვევა, როდესაც ფსიქიატრიულ კლინიკას 10 დღე-ღამის განმავლობაში არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია). პაციენტებში მძლავრდება სუიციდიალური აზრები. მათ შეუძლიათ, ზეწარი დაახვიონ და თავის ჩამოხრჩობა სცადონ; ან ფანჯარა ჩაამტვრიონ და ნატეხით ვენები გადაიჭრან. ასეთი მცდელობების აღკვეთა მხოლოდ სანიტრების გაძლიერებული ყურადღების ხარჯზე ხდება."

არსებული უსახსრობის ფონზე მკურნალობის პროცესში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პრეპარატების გამოყენებაც ვერ ხერხდება. მედიკამენტები ძვირია, მათი ინდივიდუალურად შეძენის შესაძლებლობა კი პაციენტებს არ აქვთ.

## სამომავლო მოდელი

სახელმწიფო პროგრამით მკურნალობას იძულებითი მკურნალობის, ფსიქოზური რეგისტრის და გამწვავების პერიოდში მყოფი ქრონიკული პაციენტები ექვემდებარებიან. ამ პროგრამით სახელმწიფო 100 ათასიდან მხოლოდ 23 ათასის მკურნალობას ფარავს. დანარჩენი 75 ათასი სახელმწიფოს პატრონაჟის გარეშე რჩება. და ეს მაშინ, როდესაც ფსიქიატრია მედიცინის პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული პირველ რიგში იმიტომ, რომ პაციენტების დიდი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელია.

დღეს საქართველოში არსებული რვა ფსიქიატრიული კლინიკა (ბათუმი, სურამი, ბედიანი, ქუტირი, ფოთი, ძევრი, გლდანი და ასათიანის ქუჩა) 1500 საწოლზეა გათვლილი. ამჟამად იქ 1200 პაციენტი მკურნალობს. ფოთის კლინიკა იძულებითი ტიპის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაა, სადაც ის პირები თავსდებიან, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით აქვთ მისჯილი მკურნალობა. ხოლო ძევრის კლინიკაში უპატრონო და ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები არიან განაწილებულები.

ყველა ამ კლინიკის ფუნქციონირება, ისევე როგორც მკურნალობის მეთოდები, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შემუშავებულ პრინციპებს ემყარება. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს პრინციპები არც მკურნალობის ეფექტურ წარმართვას და არც პაციენტებისთვის ნორმალური საარსებო პირობების შექმნას არ გულისხმობს. ფსიქიატრიის დარგში გასატარებელი რეფორმების საკითხი დღეს სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად განსაკუთრებულ სიმწვავეს და აქტუალურობას იძენს.

"ჩვენ მოვამზადეთ საფუძველი იმისათვის, რომ რეფორმა გავატაროთ ფსიქიატრიაში. პირველ რიგში, ეს არსებული ფსიქიატრიული დაწესებულებების რეორგანიზაციას გულისხმობს," - ამბობს გიორგი ნანეიშვილი.

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის მიერ შემუშავებული რეორგანიზაციის გეგმა საერთაშორისო დონეზე უკვე განიხილეს და დადებითი შეფასებაც დაიმსახურა. ეს გეგმა პატარა კლინიკებისა და რაიონული დისპანსერების ბაზაზე 15-20 პაციენტზე გათვლილი განყოფილებების ამოქმედებას გულისხმობს. გამოცდილებამ ცხადყო, რომ დიდი საავადმყოფოების არსებობა არ არის გამართლებული.

ამგვარი განყოფილებები უკვე შეიქმნა ლანჩხუთში, ქუთაისსა და სენაკში. თანამშრომლებმა ტრენინგები ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის სპეციალიზებულ ცენტრში გაიარეს. ახალი მოდელი მკურნალობის პროცესში სოციალური რეაბილიტაციის სამსახურის მუშაობის ჩართვას გულისხმობს. პაციენტთა აქტიური რეაბილიტაციის გარეშე თანამედროვე ფსიქიატრია უკვე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ ახალი მოდელი, მკურნალობის პროცესის დახვეწის გარდა, პაციენტთა სოციალურ რეაბილიტაციაზე მიმართული ჯგუფების ფორმირებასაც გულისხმობს; ისევე, როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლში ფსიქიატრიის ინტეგრაციას. ეს კი, პირველ რიგში, ფსიქიკური დარღვევების დროული აღმოჩენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობასაც შექმნის.

## ალტერნატივა

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრმა, რომელიც ფსიქიატრიის ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებაშია განთავსებული, 1999 წლის 1 ივნისიდან დაიწყო მუშაობა. ცენტრი ერთადერთია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც. ცენტრის ფუნქციონირებას ჰოლანდიური გრანტი უზრუნველყოფს და მისი საქმიანობა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას მოიცავს. "ჩვენ ვართ ხიდი ავადმყოფობიდან ჯანმრთელი ცხოვრებისკენ, იზოლაციიდან – საზოგადოებისკენ," - ამბობს ცენტრის ექიმი-ფსიქიატრი მარინა კურატაშვილი, - "ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ პაციენტებს, დაუბრუნდნენ საზოგადოებას და თავიანთი ადგილი იპოვონ ამ საზოგადოებაში, თავი დაჩაგრულად და გარიყულად რომ არ იგრძნონ."

ცენტრი ამბულატორიული ტიპის დაწესებულებაა და 40-45 პაციენტზეა გათვლილი. ამჟამად ცენტრში 35 პაციენტი იმყოფება. იქ, ძირითადად, ენდოგენური ფსიქოზებით (ფართო გაგებით შიზოფრენიით) დაავადებული ის პაციენტები მკურნალობენ, რომლებიც რემისიის პერიოდში იმყოფებიან.

ცენტრის თანამშრომლები მულტიდისციპლინარული ჯგუფის პრინციპებზე მუშაობენ. ჯგუფის თითოეულ წევრს - ფსიქიატრს, ფსიქოლოგს, ერგოთერაპევტს, ხელოვნების თერაპევტს, ფსიქოტერაპევტს, მუსიკის თერაპევტს, ექთანს და სოციალურ მუშაკს - უშუალოდ აქვს შეხება პაციენტთან. პაციენტის პრობლემაზე ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი დატვირთვით მუშაობს. "ეს მოდელი თანამედროვე ფსიქიატრიაში გარდაუვალია. პაციენტების მკურნალობის 50 პროცენტი სწორედ ამგვარი ცენტრების ფუნქციონირებაზე მოდის. სტაციონარებში ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები მინიმალურ დროს ატარებენ და იგივე ჰუმანური მოსაზრებებით მკურნალობას სწორედ ამ ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრებში აგრძელებენ," - განმარტავს მარინა კურატაშვილი.

ამგვარი ცენტრის არსებობა ქართულ ფსიქიატრიაში სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს. მოდელი განსხვავებულია არა მხოლოდ პაციენტებისთვის შექმნილი საყოფაცხოვრებო პირობებით და მკურნალობის მეთოდებით, არამედ ექიმების პაციენტისადმი დამოკიდებულებითაც. ცენტრის თანამშრომელთა მიზანი პაციენტების მკურნალობის პროცესში ჩართვაა. იძულებითი მკურნალობის ფაქტორი გამორიცხულია და ძირითადი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მიმართულია იმაზე, რომ პაციენტს თავად გაუჩნდეს მკურნალობაში მონაწილეობის მიღების სურვილი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის საქმიანობა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: დაავადების გამწვავების პროფილაქტიკას, ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანები გახადოს საზოგადოებისთვის სასარგებლო და დაეხმაროს მათ, საზოგადოებაში თავიანთი ადგილი იპოვონ.

ცენტრის შექმნა საქართველოში ამ მეთოდის დანერგვის პირველი მცდელობაა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მხოლოდ 18 პროცენტი არ ექვემდებარება მკურნალობას, 20 პროცენტი განკურნებადია, ხოლო 60 პროცენტს ცხოვრების გარკვეულ პერიოდებში აღენიშნება გამწვავებები. სარეაბილიტაციო ცენტრის მუშაობა სწორედ ამ 60 პროცენტის მკურნალობაზეა გათვლილი. შესაბამისად, გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები მკურნალობას არ ექვემდებარებიან, სინამდვილეს არ შეესაბამება.

სარეაბილიტაციო ცენტრის მოდელის ფუნქციონირების ეფექტურობას, პირველ რიგში, პაციენტების მკურნალობაში მიღწეული შედეგებიც ცხადყოფს.

ზაური 34 წლისაა. ცენტრში გახსნის დღიდანვე დადის. სარეაბილიტაციო კურსის გავლის შედეგ თხოვნით მიმართა თანამშრომლებს, ნება დაერთოთ, დარჩენილიყო ცენტრში და მონაწილეობა მიელო ცენტრის მუშაობაში. "ადრე გამწვავებების პერიოდები მქონდა. ახლა კი ხუთი წელია, ფსიქიატრიულ განყოფილებაში აღარ მოვხვედრილვარ და ცენტრთან ვთანამშრომლობ. ვაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია - დავდივარ მაღაზიაში, გენერატორი მაქვს ჩაბარებული. მოვდივარ დილით და საღამომდე აქ ვრჩები. სახლში მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ. ისიც კი ვთხოვე თანამშრომლებს, რომ ღამის ყარაულად გამაფორმონ და სულ აღარ წავალ აქედან. ყველაზე უფრო ცენტრში თანამშრომლების დამოკიდებულება მომწონს," - ამბობს ჩვენთან საუბარში ზაური.

## სტიგმა ანუ დაღი

ფსიქიატრიაში არსებულ მთელ რიგ პრობლემათაგან ყველაზე მწვავე დაავადებული ადამიანებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაა. ფსიქიკური დარღვევების მქონე პაციენტები უფრო გარიყულები, პასიურები და იზოლირებულები არიან, ვიდრე სხვა ნებისმიერი დაავადების მქონე ადამიანები. საუკუნეების მანძილზე საზოგადოებისათვის საუკეთესო გამოსავალი მათი იზოლაცია იყო. თუმცა, იზოლაცია, ბუნებრივია, არ არის გამოსავალი.

სტიგმა და ფსიქიკურად დაავადებულთა დისკრიმინაცია დღემდე რჩება მნიშვნელოვან წინააღმდეგობად ამ ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესების გზაზე. თუმცა, თანამედროვე ფსიქიატრიაში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მკურნალობის სრულყოფილად და ეფექტურად წარმართვა მხოლოდ იმ პირობებში ხდება შესაძლებელი, თუ საზოგადოება ამ ადამიანების მისაღებად მზად არის.

20 წლის ქეთი სარეაბილიტაციო ცენტრის ყოფილი პაციენტი იყო, დღეს კი თანამშრომელია. მას სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად მეგობრებთან ურთიერთობა მაშინ გაუმწვავდა, როდესაც ერთი წლის წინ ფსიქიატრიული კლინიკის ქალთა განყოფილებაში მოათავსეს. მეგობრებმა კლინიკაში მის მონახულებაზე უარი განაცხადეს. "მათ იცოდნენ, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, უბრალოდ, გიჟს დამიძახებდნენ," - ამბობს ჩვენთან საუბარში ქეთი, - "ეს დაღია, რომელიც ადამიანს ედება და რომლის მოხსნაც ძალიან ძნელია. გიჟები არ არსებობენ! არსებობენ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ არ უნდა გაგვრიყონ. ამისთვის, ალბათ, დროა საჭირო. თუ ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, რომ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანზე ეს უფრო კარგად იმოქმედებს, ვიდრე ნებისმიერი წამალი." ბოლოს ქეთი ამბობს: "თუ კიდევ მომიწევს კლინიკაში დაწოლა, ერთს ვისურვებდი - მეგობრები ისე მოვიდნენ ჩემ სანახავად, რომ აღარ შერცხვეთ."

## დასკვნის მაგივრად

"დამოკიდებულება ფსიქიატრიის მიმართ საზოგადოების ცივილიზაციის დონეს განსაზღვრავს," - წერდა გერმანელი ფსიქიატრი და ფილოსოფოსი კარლ იასპერსი.


სასადილო


ქალთა განყოფილება


საპირფარეშო


დერეფანში


სადილის შემდეგ


პალატა N 6


აბაზანა

# ბუნებრივი და ოსტატური

## ვარსკვლავების მაკიაჟი





ლამაზი ქალი ყოველთვის ლამაზია, გინდ დახატე, გინდ – არა. ამიტომაც **ანჯელინა ჟოლი** მხოლოდ ნატურალურ ფერებს ირჩევს, რაც მის ბუნებრივ სილამაზეს უსვამს ხაზს. ასეთ შემთხვევაში მთავარი პუდრის ტონალობაა – ატმისფერი. ამას უფერული პომადა ერთვის, მოვარდისფრო ჩრდილები, და როცა ნაცრისფერ თვალებსაც ხაზს გაუსვამს ხოლმე, ანჯელინაზე თამამად ითქმის, ძალიან ლამაზი ქალიაო.

**ჯულიან მურმა** კი თმა წაბლისფრად შეიღება და იისფერსა და სპილენძისფერს მიეძალა. ეს მისი დიდი საიდუმლო ყოფილა – იცის, რომ უჩვეულო ფერთა შეხამება უფრო ქალურსა და მოხდენილს აჩენს. ხოლო როცა შოკოლადისფერ მაკიაჟს ხმარობს, მისი ცნობა შეუძლებელი ხდება – ერთიათად ახალგაზრდავდება.

**მიშელ ფაიფერი** თვლის, რომ ქალის სახის კანი მწიფე ატმისფერი უნდა იყოს, ხოლო როცა დრამატული გამომეტყველების მიღწევა უნდა, წარბის ქვეშ თეთრ ხაზს ავლებს და ზედა ქუთუთოს მოვერცხლისფრო ჩრდილს ადებს. შედეგი, სიტყვის სრული მნიშვნელობით, სახეზეა: ის რომანტიკულია და მნიშვნელოვანი.

**გვინეტ პელტროუ** ჰოლივუდში მოდის კანონმდებელია, ცნობილი მოდელიორები ახალ სამოსს საგანგებოდ მისთვის ქმნიან. გვინეტს რომანტიკული კინო და შესაბამისი სტილი მოსწონს. მისი ქერა თმა მაინცდამაინც ხარისხიანი არაა, მაგრამ ვარცხნილობა ჩინებული აქვს. ვარდისფერი ტუჩები და შავი ფანქრით დახატული თვალები – მთელი მაკიაჟი ესაა, მაგრამ როგორი ეფექტურია!

სამოცდაათიანი წლების ვარცხნილობა კვლავ მოდაშია, მაგრამ ამჟამად უფრო სექსუალური და რომანტიკული სახით. შეიძლება, ცოტა მოუვლელი იერი დაჰკრავდეს და გაწეწილი იყოს – ესეც მოდაშია. **კემერონ დიასი** სწორედ ასე გამოიყურება – დიდად მოწესრიგებული იერი საერთოდ იშვიათად აქვს ხოლმე, ეს მისი სტილია. ის მაკიაჟის დიდი ტრფიალი არაა – დიდი-დიდი, ღია ვარდისფერი პომადა წაისვას.

კოსმეტიკა არც **რენე ზელვეგერს** ჰყვარებია. თუ მაინცდამაინც საჭირო გახდა, ის აქცენტს ტუჩებზე აკეთებს, "ჟღალ" პომადას ისვამს. ისევე, როგორც კემერონს, მყვირალა ფერები მასაც არ უყვარს.

სამაგიეროდ, **ლივ ტაილერი** სტაფილოსფერ პომადას ხმარობს, და მის გარუჯულ კანსა და კუპრივით შავ თმას ის ძალიან უხდება. წესით, აგრესიული იერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ლივს ნატიფი ნაკვთები შველის, და ამას ჭრელი საყურეებიც რომ დაურთოს, მაინც ძალიან სექსუალურია.

**პენელოპა კრუსი** კი ძალიან კმაყოფილია, რომ წითელი ტუჩები მის სექსუალურ აგრესიულობას უსვამს ხაზს. მოგეხსენებათ, თვალშისაცემი გარეგნობა აქვს, მაგრამ სწორ ნაკვთებს ვერ დაიკვეხნის, და ამიტომ პენელოპამ ტუჩების გამოჩენა ამჯობინა – სავსებით სამართლიანად.

შავი კულულები და ოქროსფერი სახის კანი **სალმა ჰაიეკის** ძირითადი მშვენებაა. ლათინოამერიკელმა ლამაზმანმა ზუსტად იცის, რა უხდება და რა – არა. გააჩნია, როგორ პომადას ისვამს – მას შეუძლია მონაზონსაც ჰგავდეს და მეძავსაც.








# შარლიზ თერონი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

მსახიობი შარლიზ თერონი სიკვდილით დასჯის სასტიკი წინააღმდეგია. "ამერიკის იმ შტატებში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, გაცილებით მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე იმ შტატებში, სადაც ეს საშინელება აღიკვეთა," განაცხადა ვარსკვლავმა ბერლინში, სადაც მისი ნამუშევარი, კინოფილმი "მონსტრი", საერთაშორისო კინოფესტივალზეა წარმოდგენილი.

მორალური თვალსაზრისით, სიკვდილით დასჯა მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. 28 წლის ვარსკვლავმა განაცხადა: "მე ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ისეთ საზოგადოებას შევქმნით, რომელიც გაარკვევს, რა აიძულებს ადამიანებს, მკვლელები გახდნენ".

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



პირველი კლასიკური გიმნაზიის საგალეტო სტუდიის ხელმძღვანელი მაკა მახარაძე

### შვეი ქუქუ

**ინგრედიენტები:**

ღორის ხორცი 1კგ
ხახვი 3 თავი
კვერცხი 3 ცალი
ტომატ-პასტა 2 ს/კ
ზეთი 4ს/კ
ხარჩოს სუნელი
მარილი 3ჩ/კ
შაქარი 3ჩ/კ
პილპილი
ბრინჯი 1 ჭიქა

**მომზადების წესი:**

დავჭრათ ღორის ხორცი პატარა ნაჭრებად და მოვათავსოთ ჯამში. ჩავახალოთ კვერცხი, დავუმატოთ ტომატ-პასტა, ზეთი, ხარჩოს სუნელი, მარილი, პილპილი და შაქარი. კარგად ავურიოთ, ამის შემდეგ შეგვიძლია ჩავაბასტურმოთ თუ ამის დრო გვაქვს.
მთლიანი მასა გადავიტანოთ ტაფაზე და დავდგათ ცეცხლზე.
ცალკე მოვხარშოთ ბრინჯი.
მაგიდაზე მისართმევად მოხარშული ბრინჯი მოვათავსოთ თეფშის ცენტრში და გარშემო შემოვუწყოთ მზა კერძი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

10 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **00.05** მხ. ფილმი "სადა ხარ ძმაო". მთ. რ-ში: ჯორჯ კლუნი, ჯონ ტურტურო.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "მოხსენიების დღე" **11.45** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "სამოთხის ძიებაში" **16.50** დოკ. ფილმი "მინორკის ცხენები" **17.15** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "არტე" წარმოგიდგენთ **21.50** ჩვენი ფეხბურთი **22.35** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **23.45** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ"მე-4ს.

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ტანგო სამში" მთ.რ-ში ნივ კემბელი, დილან მაკდერმოტი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "თაფლობის თვე ლას-ვეგასში" მთ.რ-ში სარა ჯესიკა პარკერი, ჯეიმს კაანი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "დანიშნულების პუნქტი 2" (დევონ სავა) **23.45** მხ. ფილმი "დაისიდან აისამდე" (კვენტინ ტარანტინო)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.30** კინოსეანსი "მოგზაურობა აფრიკაში" **21.00** ისტორიანი **21.30** პალიტრა **22.10** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "უცხოელი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ლეონი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ფორესტ გამპი" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 17.20, 19.30, 21.40, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** დოკ. ფილმი **12.00** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მოჯადოებული სიყვარული" **17.30, 18.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "მერცხლების ბულვარი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მარი მარმეი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.35, 17.50, 22.30** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ" **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "ედგარ ალან პოს საიდუმლო ამბავი" 1ს. **01.00** მხ. ფილმი "ვინ ესროლა პეტს?".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მუღამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.00** კალათბურთი. საქართველოს პირველობა. **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "კასანდრას გადასასვლელი"

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "102 დალმატინელი" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხ. ფილმი "ქართან მოსაუბრენი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი "ქართან მოსაუბრენი" **14.40** თრილერი "არც გაიფიქრო" **16.20** მულტფილმი "ახალი ბრემენელი" **17.15** კომედია "ციხეში მინდა" **18.50** მუსიკა **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.10** კომედია "რისხვის მართვა" **21.50, 23.20, 02.40** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** დრამა "მეზობელი ქალი" **03.00** მხატვრული ფილმი "ჯერი მაგუაიერი" **05.10** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Следующий" 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Диснейклуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Драма "Незваный друг" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Спасатели. Экстренный вызов" **20.50 Сериал "Моя граница" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Следующий" 23.40** "Русские тайны вьетнамской войны" **00.50** "На футболе" **01.20** "Сканер" **01.50** "Гении и злодеи". Б.Пастернак **02.20 Боевик "Полицейский с половиной" 04.05 Комедия "Сестры, братья, соперники, соперницы" 05.30 Сериал "Шпионка"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Подари мне жизнь" 10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.45, 17.25, 01.15** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Вокзал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Кобра. Антитеррор". "Обратный отсчет" 19.00 Сериал "Спас под березами" 19.55 Сериал "Тайны следствия 2. Заказчик" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Подари мне жизнь" 23.00 Сериал "Вокзал" 00.00** "Вести+" **00.20** Док.фильм "Крейсер "Варяг". Фильм 2 **01.30 Худ.фильм "Потерянное сокровище" 03.00 Биатлон.** Чемпионат мира. Гонка 15 км. Женщины. Трансляция из Германии **04.00** "Дорожный патруль" **04.20** "Агентство одиноких сердец" **04.40 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.50 Сериал "Я все решу сама" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Дикий мир". Экспедиция Т.Баженова **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Шик" 15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Премьера "Стилет", 6 с. 21.50 Сериал "Я все решу сама", 6 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа: Большой малыш" 00.50 Сериал "Стилет"**

## ამერიკელებმა ევროპელები დაჩაგრეს

ნიუ იორკის მოდის კვირეული პრეზენტაციების რეკორდული რაოდენობით გაიხსნა. ორგანიზატორების ერთ-ერთი მიზანი ჰოლივუდის ვარსკვლავების ყურადღების მიპყრობა იყო. გახსნის ცერემონიალს მრავალი ცნობილი სახე ესწრებოდა, მათ შორის, მსახიობები სარა ჯესიკა პარკერი და მომღერალი ბიორკი.

ვინაიდან "ოსკარების" გადაცემა 29 თებერვლისთვისაა დაგეგმილი, კონკურენციის თავიდან ასაცილებლად ამერიკელმა დიზაინერებმა ევროპელები "არ მიუშვეს" – რატომ უნდა ჩააცვან მათ ვარსკვლავებს არმანიმ ან დიორმა?! ამიტომ პარიზსა თუ მილანში მოდების ჩვენება მხოლოდ იმის შემდეგ გაიმართება, რაც "ოსკაროსნების" ვინაობა დადგენილი იქნება.

90 დიზაინერიდან თავისი ხელოვნება პირველმა კენეთ კილმა წარმოადგინა. მის შემდეგ პოდიუმზე დონა კარანის, მაიკლ კორსისა და კელვინ კლაინის მოდელები გაივლიან.

მოდების ჩვენების გარდა, კვირეულის ფარგლებში უამრავი წვეულებაც იმართება. განსაკუთრებული მოწონება რაფ სიმონსისა და ახალი თაობის ვარსკვლავის, ზაკ პოსენის მიერ მოწყობილმა დღესასწაულებმა დაიმსახურეს.

## ეს რა მოსვლია კლაუდიას?

გერმანელი სუპერმოდელი, რომელსაც დღეში, როგორც წესი, 25 ათას ევროს უხდიან, 33 წლის კლაუდია შიფერი სასტიკადაა გაძვალტყავებული. მისი მკერდი, რომელიც ოდესღაც მამაკაცების ყურადღების საგანი იყო, სადღაც გაუჩინარდა – აღარც კი შეიხედება. გაზეთი "ბილდი" აღნიშნავს, რომ "ბერლინალეზე", "ოქროს კამერის" გადაცემის დროს, კლაუდია ისეთივე "ფიცარივით ბრტყელი" იყო, როგორიც მასთან ერთად სცენაზე მდგომი 53 წლის მოდერატორი, თომას გოტშალკი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ქალი H&M-ის საცვლების კოლექციის რეკლამას აკეთებდა.

შვილის გაჩენის შემდეგ კლაუდია 13 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იკლებს წონას. გაზეთის სამედიცინო ექსპერტმა ეს ამბავი ძალიან მარტივად ახსნა: "ის ქალები, რომლებიც საკუთარი სხეულის გამო მეტისმეტად იწონებენ თავს, ორსულობის შემდეგ ხშირად ე.წ. "დიეტის მახეში" ებმებიან. მათ უნდათ, უწინდებურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ დიეტაში ზომას ველარ იცავენ".

## ნახვამდის, პაკო!

თითქმის ექვსწლიანი დუმილის შემდეგ პაკო დე ლუსიამ მუსიკალურ სამყაროს თავი შეახსენა. მისი ახალი კომპაქტ-დისკის სახელწოდებაა Cositas buenas. ამ ალბომით ესპანეთის უდიდესი ფლამენკოს შემსრულებელი გიტარისტი თავის დაბრუნებასა და დამშვიდობებას აღნიშნავს, რადგან უკვე დაგეგმილი ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში მისი უკანასკნელი გამოსვლა იქნება.

"მეტი აღარ შემიძლია," განაცხადა 56 წლის ოსტატმა. "მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში თორმეტიდან რვა თვეს გზაში ვატარებდი. მე მგონი, სავსებით საკმარისია". სცენაზე გატარებული ორმოცი წლის შემდეგ მას გადაწყვეტილი აქვს, მთელი დრო მუსიკის წერას დაუთმოს.

ამ უკანასკნელი, რიგით 26-ე ალბომის შესაქმნელად მუსიკოსი მექსიკის ნახევარკუნძულ იუკატანზე, თავის საკუთარ სახლში, მისივე თქმით, "ბერივით" ცხოვრობდა. მართალია, გაწეულმა ძალისხმევამ სავსებით გაამართლა, კრიტიკოსებმა ის ძალიან შეაქეს. გაზეთი El Pais წერდა: "გენიალურია, როგორც ყოველთვის, მაგრამ უფრო ღრმა გრძნობით დაწერილი". მუსიკათმცოდნეები განსაკუთრებით აღნიშნავენ კომპოზიციას Que venga el alba ("განთიადი მოვა"), რომელშიც დე ლუსიამ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით კამარონ დე ლა ისლას "დაბრუნება" შეძლო – ეს მომღერალი, რომელიც 1992 წელს გარდაიცვალა, დღემდე ფლამენკოს საუკეთესო ინტერპრეტატორად ითვლება. "ჩანაწერი როცა მოვისმინე, ბავშვივით ვტიროდი," ჰყვება გიტარისტი.

## ლაიზას ცხოვრების მიზანი

მსახიობმა ლაიზა მინელიმ გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრების მიზანი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაა. "ამ ბრძოლის შეწყვეტა არ შეიძლება, ის ყოველდღიურად უნდა განვაახლოთ," თქვა "ოსკაროსანმა". მისი თქმით, შიდსზე დიდი განსაცდელი კაცობრიობას არ ჰქონია, და ერთ დღეს მსოფლიო მისგან უნდა გათავისუფლდეს.




















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.